ეროვნული ბიბლიოთეკა

[illegible]

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრალური აღმასკომის
ორგანო.

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58
ექსპედიციის ტელეფ. 6—48.

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 31,
ტელეფონი № 10—49
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსა[illegible] 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., [illegible] წერში მიიღებენ ჟურნალ „დროშას" და „მეცნიერება და ტეხნიკას". განცხადებები: ნონპარელის სტრ[illegible] —40 კაპ., ტექსტში ორჯერ მეტი, [illegible] —10—15—20 მან. დოკუმენტების [illegible]—1 მ., განცხადებები [illegible] 3 საათამდე
სტამბის ტელეფ. 18—80.

— [illegible]
— [illegible] დემონსტრაციები.
— [illegible] მელითონეთა გაფიცვა.
— [illegible] მძვინვარებს ეკონომიური კრიზისი.
— ფინ-იუ-სიანი მოსკოვში აპირებს ჩამოსვლას.

შაბათი, 3 აპრილი 1926 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 74 (1529)

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

პირველი მარტისათვის, რომელიც იყო სასოფლო - სამეურნეო გადასახადის შემოტანის უკანასკნელი ვადა ჩვენში, აუკრეფავი დარჩა მთელი გადასახადის დაახლოებით 25 პროცენტი. გადასახადის აღება დაგვიანდა სხვა საბჭოთა რესპუბლიკებშიც. მოსავალი წინა წლებთან შედარებით დიდი იყო შარშან, გლეხობა ნივთიერად უფრო მოღონიერდა და მისი საგადასახადო უნარიანობამ მოიმატა; იმავე დროს გადასახადის რაოდენობა ერთი მესამედით შემცირებულ იქნა, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, მისი დროზე აკრეფა შეფერხდა. რით აიხსნება ეს მოვლენა?

პირველ ყოვლისა აქ აღსანიშნავია საგადასახადო დისციპლინის შერყევა. ხელისუფლება ხშირად ზედმეტ სირბილეს იჩენდა გადამხდელთა მიმართ განსაზღვრული ვადის შემდეგ ნარჩენებს არა იშვიათად სრულებით არ ახდევინებდა მათ. ამან გლეხობის ნაწილი შეაჩვია თავის საგადასახადო ვალდებულების შესრულების გაჭიანურებას, — ეგებ ეხლაც გამოიჩინოს სახელმწიფომ უწინდებური სირბილე და არაფერი გადაგვახდევინოს. ამასთან, ამ საქმეში საჭირო ენერგია ვერ გამოიჩინეს ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა, რომელთაც უშუალოდ დავალებული ჰქონდათ გადასახადის შეგროვება.

ასეთ მდგომარეობას ეხლა ბოლო ეღება. მიღებულია გადამჭრელი ზომები საგადასახადო დისციპლინის აღსადგენად და ნარჩენების ასაკრეფად. და ეჭვი არ არის, რომ გადასახადი მთელი 100 პროცენტით შემოტანილი იქნება.

მაგრამ ეხლანდელმა საგადასახადო კამპანიამ ცხადყო ჩვენი საგადასახადო სისტემის ზოგიერთი ნაკლულევანება, და ეს ერთ-ერთი მიზეზია მთელი გადასახადის დროზე შემოუსვლელობის. მუშათა და გლეხთა ინსპექციის გამოკვლევამ გამოააშკარავა, რომ, მიუხედავათ დაბეგვრის სისტემის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებისა, გადასახადის სიმძიმის განაწილება მაინც არ იყო თანაბარი და არ შეეფერებოდა გადამხდელთა სამეურნეო შეძლებულობას.

მთავარი ნაკლი არსებული საგადასახადო კანონისა იმაში მდგომარეობს, რომ იბეგრება მხოლოდ სასოფლო მეურნეობა ამ სიტყვის ვიწრო გაგებით. გადასახადის ობიექტად [illegible] მაზე გადატანილი სამუშაო სახნავი და სათიბი. სრულიად არ იბეგრება არასამიწადმოქმედო წყაროები. აქედან იქმნებოდა ისეთი მდგომარეობა, როცა, მაგ., რომელიმე გლეხს, რომელსაც სახნავი მიწა მეტი გააჩნია, მაგრამ სხვა შემოსავალი არაფერი აქვს და ღარიბ, ან უკეთეს შემთხვევაში, საშუალო გლეხობის ჯგუფს მიეკუთვნება, უფრო დიდი გადასახადი ედებოდა, ვინემ, ვსთქვათ, მის მეზობელს, რომელსაც თუმცა შედარებით მცირე მიწა აქვს, მაგრამ სამაგიეროდ მოეპოვება შემოსავლის სხვა, არასამიწადმოქმედო წყაროები და გაცილებით უფრო შეძლებულია. არ იყო მთლიანად გატარებული შემოსავლის კვალობაზე გადასახადის გაწერის პრინციპი, ამ მხრივ სავსებით არ ყოფილა დაცული ჩვენი კლასობრივი პოლიტიკა სოფლად.

ახალი კანონპროექტით, რომლის განხილვა სულ ეხლა დაამთავრა საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ და რომელიც დასამტკიცებლად წარედგინება მომავალ საკავშირო სესიას, აღნიშნული მდგომარეობა არსებითად იცვლება. ფართოვდება დასაბეგრ ობიექტების რიცხვი, დაბეგვრას ექვემდებარება მთელი მოსახლეობა, რომელსაც აქვს შემოსავალი მინდვრეობიდან, მესაქონლეობიდან, სათიბებიდან, სასოფლო - მეურნეობის სპეციალური დარგებიდან და არასამიწათმოქმედო წყაროებიდან. ამით სასოფლო - სამეურნეო გადასახადი ნამდვილად ხდება შემოსავლის კვალობაზე გადასახადათ, ღარიბ და საშუალო გლეხობის ინტერესები ზედმიწევნით იქნება უზრუნველყოფილი და გადასახადის სიმძიმის ცენტრი გადავა უმთავრესად სოფლის შეძლებულ ნაწილზე. ეს კანონი მძლავრი იარაღი იქნება სახელმწიფოს ხელში, რომ ერთგვარი საზღვარი დაუდოს კერძო - კაპიტალისტურ დაგროვებას, ამასთან მას გაუჩნდება დამატებითი შემოსავალი სოფლის შეძლებულ მოსახლეობის ხარჯზე.

რაკი დასაბეგრ ობიექტების რიცხვი ფართოვდება, უკვე უხერხული და ტეხნიკურად პირდაპირ შეუძლებელი ხდება გამოანგარიშების ძველი სისტემის დატოვება, რომელსაც საფუძვლად ედვა სახნავი მიწა და რომელსაც უამისოდაც ვერ შეეთვისა გლეხობა. შემოსავლის მრავალ წყაროების დაბეგვრის დაწესება და გადასახადის სისტემის გამარტივება მოითხოვს გლეხის შემოსავალი გამოხატულ იქნეს ფულის ერთეულში და უარყოფილ იქნეს ნატურალური საზომი. ეხლანდელი კანონპროექტიც ამ გზას დაადგა და ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცვლილებაა, მომქმედ კანონში შეტანილი. გლეხის მთელი მოსავალი განისაზღვრება ფულის ერთეულით.

სასოფ.-სამეურ. გადასახადის რეფორმა, რომელიც ნაბიჯია წინ ჩვენს საგადასახადო სისტემაში, მისი მკაცრი კლასობრივი ხასიათი და სიმარტივე საწინდარია მშრომელ გლეხობის ინტერესების მაქსიმალური დაცვის, სასოფლო მეურნეობის განვითარების და სახელმწიფოს ფინანსიური მოღონიერების. ეს კანონი ბოლოს მოუღებს იმ გაუგებრობათ, რომელთაც დღემდე ჰქონდა ადგილი სასოფლო - სამეურნეო გადასახადის დარგში.

საზოგადოებრივი კვების საქმე

მშრომელი მოსახლეობის ჯანმრთელობის, ქალის განთავისუფლების, ახალი ყოფა-ცხოვრების განმტკიცება-განვითარების და წარმოებათა ნორმალურ მუშაობის საკითხი მჭიდროთაა დაკავშირებული საზოგადოებრივ კვების ორგანიზაციის საქმესთან. საბჭოთა რესპუბლიკებში საზოგადოთ, და კერძოთ ჩვენშიაც, დღეს საკმაოთ გავრცელებულია კოოპერატიული სასადილოები. ქალაქებსაც რომ თავი დავანებოთ, იშვიათია ისეთი დაბა, სადაც კოოპერატიული სასადილო არ მოიპოვებოდეს. ზოგჯერ ასეთ სასადილოებს ეკონომიურათ და კულტურულათ დაწინაურებულ სოფლებშიაც კი შეხვდებით.

მიუხედავათ ამისა, კოოპერატიულ სასადილოთა არსებული ქსელი მაინც ვერ აუდის მოთხოვნილებას და აქ კერძო კაპიტალს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. კიდევ მეტი, საზოგადოებრივ კვების სასადილოთა რიცხვს არ ემჩნევა მოთხოვნილების შესადარისი ზრდა. ბევრგან ისინი ზარალითაც მუშაობენ და იძულებულნი არიან არსებობა შესწყვიტონ.

რაში მდგომარეობს საზოგადოებრივ კვების სასადილოთა მტკივნეული მხარეები? პირველ ყოვლისა აღსანიშნავია კვების სიძვირე. დღევანდელი ფასები ჩვენს საზოგადოებრივ სასადილოებში გაცილებით დიდია მასიურ მუშა-მოსამსახურეთა საშუალო ხელფასისათვის. აქ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი, რომ საზოგადოებრივ ძალებით მოწყობილი კვება ეკონომიურათ მიმზიდველი გახდეს ფართე მშრომელი მასებისათვის და რომ მან მნიშვნელოვანი კონკურენცია გაუწიოს არა მარტო კერძო კაპიტალს, არამედ ოჯახის სამზარეულოსაც.

კვების ასეთი სიძვირე საზოგადოებრივ სასადილოებში, გამოწვეულია არა იმდენათ საზოგადო პირობებით, როცა ბაზარზე საერთოდ კიდევ არ არსებობს ნორმალური ფასები, რამდენადაც თვით სასადილოების მოუწყობლობით, მომზადებულ გემო-კვების მუშაკ. სიმცირით და საზოგადოთ ჩვენი გამოუცდელობით და უნიათობით საზოგადოებრივ მუშაობის ამ მნიშვნელოვან დარგში.

ამიტომაა, რომ აქ კერძო კაპიტალი ასეთი წარმატებით კონკურენციას უწევს კოოპ. და მუშკვება ორგანიზაციებს ამიტომაა, რომ საზოგადოებრივ კვების საქმე ჩვენს დაბა ქალაქებში ჯერ კიდევ უმთავრესად ძველი საზოგადოების ნაანდერძევ, სამიკიტნოების, კაფე-შანტანების და რესტორან-ყავახანების ხელში იმყოფება, რომელნიც მიუღებელნი არიან ჩვენთვის არა მარტო ეკონომიურათ, არამედ ზნეობრივათ და იდეოლოგიურათაც.

საზოგადოებრივ კვების მნიშვნელობა კარგათ აქვს შეგნებული ბურჟუაზიასაც, რომელიც ამ შემთხვევაში გამოდის მხოლოდ წარმოების, ანუ უკეთ მოგების ინტერესებიდან და საზოგადოებრივ მშვიდობიანობის განმტკიცების მოსაზრებიდან, რასაც ასე საჭიროებს კაპიტალისტური საზოგადოება.

მით უფრო ფართეთ უნდა მოეწყოს ეს საქმე საბჭოთა წყობილების პირობებში, სადაც საზოგადოებრივი კვების ორგანიზაცია მიზნად ისახავს მშრომელთა არა მარტო ფიზიკურ კეთილდღეობას, არამედ მათ კლასიურათ აღზრდა - დარაზმვას და ახალ, სოციალისტურ საზოგადოებრიობის განმტკიცება - გაღრმავებას. საბჭოთა საზოგადოებრივი სასადილოები უნდა აწვდიდენ მშრომელ მასებს, როგორც ფიზიკურ, ისე გონებრივ და სულიერ საზრდოს. ისინი უნდა წარმოადგენდენ საბჭოთა კულტურის ერთ-ერთ ძლიერ კერას.

სინამდვილეში კი ასეთი მდგომარეობაზე დღეს მხოლოდ ოცნება თუ შეიძლება. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი საზოგადოებრივი სასადილოები ხშირათ ვერ ამართლებენ ამ მოთხოვნილების მინიმუმსაც კი.

რომ ასეთ მდგომარეობას ბოლო მოეღოს, საჭიროა საზოგადოებრივ კვების საქმეს ხელი მიჰყონ არა მარტო კოოპერატივებმა, არამედ მას აქტიურათ უნდა დაეხმარონ პროფკავშირები, წარმოებები და დაწესებულებები. უნდა მიღებულ იქნას ზომები საზოგადოებრივ სასადილოთა მუშაობის მექანიზაციისათვის, რაც გაიაფებს კვებას და გააუმჯობესებს კერძის თვისებას.

ამასთანავე უნდა ვიზრუნოთ სასადილოების მუშაკთა კვალიფიკაციის აწევაზეც. გარდა ამისა ყურადღება უნდა მიექცეს კერძის ნოყიერობას, სისუფთავეს, გემოვნებას და სხვადასხვაობას.

საჭიროა ამასთანავე საზოგადოებრივ სასადილოებში შემოღებულ იქნას მუშა - მოსამსახურეთათვის ფართე კრედიტის სისტემა.

ყველა ამ პირობათა განხორციელების შემდეგ, ეჭვი არაა, ჩვენი საზოგადოებრივი სასადილოები ნამდვილ საშიშარ კონკურენტებათ გადაიქცევიან კერძო ვაჭრისათვის, ძველი ყოფა - ცხოვრებისათვის და დედაკაცის მონობისათვის.

მაგრამ ამისათვის, ვიმეორებთ, საჭიროა საზოგადოებრივ კვებისათვის შექმნილ იქმნას ერთგვარი მატერიალური საფუძველი. ეს კი მარტო კოოპერატივს არ შეუძლია. ამ საქმის ორგანიზაციაში ერთნაირათ დაინტერესებულნი უნდა იყვნენ ყველა საზოგადოებრივი და სახელმწიფო ორგანიზაციები. მათ უნდა იზრუნონ მუშათა და წითელ სასადილოების გაჯანსაღებისათვის და ამ სასადილოების თავის მოწოდების სიმაღლეზე აყვანისათვის.

საკითხი არც ისე პატარაა, როგორც ეს შეიძლება ერთი შეხედვით ვისმე მოეჩვენოს. ის უთუოდ ღირსია ყურადღების და მოთხოვნილების შესაფერისად მოწესრიგების.

მექრთამეთა მთავრობა

ვენა, 1 აპრილი. სამხრეთ-სლავიის რადიკალურ პარტიის ლიდერებს პრემიერ მინისტრს **პაშიჩსა** და **ივანოვიჩს** შორის სწარმოებს ბრძოლა, რომელმაც თავისი გამოხატულება ჰპოვა ექიმ სტოიადინოვიჩის (ივანოვიჩის სიძის) მხილებაში. **სტოიადინოვიჩმა გამოაქვეყნა წერილი, რომელშიაც ბრალს სდებს პრემიერ მინისტრის შვილს რადა პაშიჩს მექრთამეობაში.** სტოიადინოვიჩი ემყარება დოკუმენტებს და აცხადებს, რომ **რადა პაშიჩმა მიიღო 5 მილიონი დინარი** (დინარი—3 კაპეიკი) **იმისათვის, რომ მან დახმარება გაუწია ჩეხის სააქციონერო საზოგადოებას სამხრეთ - სლავიაში ხიდების ასაშენებლათ შეკვეთების მიღებაში.** სტოიადინოვიჩი ბრალს სდებს რადა პაშიჩს იმაში, რომ **მან თავის მამის ყალბი წერილით მიიღო 100.000 ფრანგული ფრანკი, რომელიც შემდეგ გაჰყიდა 540.000 დინარათ.**

სტოიადინოვიჩის სიტყვით, ამ აფიორაში **წილი უდევსთ პაშიჩის ოჯახის სხვა წევრებსაც და აგრეთვე მინისტრ - რადიკალებს.**

გაზეთის აზრით, კონფლიქტს აქვს სერიოზული პოლიტიკური მნიშვნელობა და მას შეუძლია მოჰყვეს რადიკალურ პარტიის განხეთქილება და მთავრობის კრიზისიც კი.

ოპოზიცია სარგებლობს ამ შემთხვევით, რათა დააჩქაროს კაბინეტის ჩამოგდება. დემოკრატების ლიდერმა **დავიდოვიჩმა** მოიწვია ყველა ოპოზიციონურ პარტიების თათბირი, რომელზედაც გადასწყდა შეტანილი იქნას პარლამენტში შეკითხვა **რადა პაშიჩის აფიორის გამო.**

გაზეთის აზრით, ახალი მთავრობის სათავეში უნდა დადგეს ან **ნინჩიჩი** (გარეშე საქმეთა მინისტრი), ან **ივანოვიჩი**, ამასთანავე მთავრობის წრეები სცდილობენ შეიყვანონ მთავრობის კოალიციაში **დავიდოვიჩიც.**

რადა პაშიჩმა გაზეთ „პოლიტიკა"-ში გამოაქვეყნა წერილი, რომელშიაც აღნიშნავს, რომ მის მის წინააღმდეგ დაწყებულ კამპანიის ინიციატორია ივანოვიჩი და რომ სტოიადინოვიჩი და ივანოვიჩიც ჩარეული არიან მექრთამეობაში.

რადა პაშიჩს განზრახული აქვს პასუხი გასცეს მის წინაშე წაყენებულ ბრალდებებზე მთელ რიგ წერილებში.

პაშიჩის გადადგომა

ვენა, 1 აპრილი. გადადგა რადიჩი და ხორვატიის გლეხური პარტიის დანარჩენი მინისტრები. მოსალოდნელია პაშიჩის მთელი მთავრობის გადადგომა.

მთავრობის კრიზისის მიზეზია კონფლიქტი პაშიჩსა და რადიჩს შორის. კონფლიქტი გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ რადიჩი მოითხოვდა სკუპშჩინას (პარლამენტის) მოწვევას აპრილის პირველ რიცხვებში იმ მიზნით, რომ მას პასუხი მიეცა ოპოზიციურ პარტიების შეკითხვებზე პაშიჩის შვილის მექრთამეობის და სხვა ბოროტმოქმედებათა შესახებ და დაემტკიცებია სავაჭრო ხელშეკრულება ავსტრიასთან. პაშიჩმა ეს მოთხოვნილება უარყო.

რეაქციონერების კამპანია

პარიჟი, 1 აპრილი. მოსალოდნელ სამეურნეო გართულების გამო ფრანგული რეაქციონური გაზეთები გაძლიერებულ კამპანიას აწარმოებენ საფრანგეთში მყოფ უცხოელ მუშების (დაახლოვებით 3 მილიონი მუშის) წინააღმდეგ.

მაგ. ნახევრად-ბულვარული გაზეთი „პტიბლე" აღნიშნავს, რომ რევოლიუციონურ ელემენტების 60 პროცენტს შეადგენენ უცხოელი კომუნისტები. ბოროტმოქმედებათა უმ[illegible] უმეტესად პოლონელები.

„საჭიროა, — ამბობს გაზეთი— რომ პოლიციამ დაუყოვნებლივ გაასახლოს ის უცხოელები, რომელნიც არღვევენ სტუმართმოყვარეობის წესებს".

პარიზის მუნიციპალიტეტის წევრები, რომელნიც მემარჯვენე პარტიებს ეკუთვნიან, აღნიშნავენ იმ ხარჯებს, რომელიც აწვება ქალაქს და სენის მთელ დეპარტამენტს სამ[illegible] მოსულ უცხოელების წყალობით.

მენშევიკების თვალთმაქცობა

პარიზი, 1 აპრილი. ბელგიაში ფაშისტური მოძრაობა უკანასკნელ დროს იმდენად განვითარდა, რომ სოციალისტური პარტია იძულებული შეიქნა ყურადღება მიექცია მისთვის.

ამ დღეებში ბრიუსელში გაიმართა სოციალისტების მიერ მოწყობილი მნიშვნელოვანი ანტი-ფაშისტური დემონსტრაცია, რომელზედაც სიტყვა წარმოსთქვეს სოციალისტების ცნობილმა ლიდერებმა: რენიემ (რკინისგზელთა რეფორმისტული კავშირის თავმჯდომარემ) და დე-ბრუკერმა.

რენიემ განაცხადა, რომ რკინისგზელები ყოველთვის ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლ მუშათა კლასის პირველ რიგებში იქნებიან. დე-ბრუკერმა ბელგიის მშრომელთა მიერ 1924 წელში შესრულებულ „ნაციონალურ მოვალეობას" დაუპირდაპირა კლასობრივი მოვალეობა, რომელიც, მისი სიტყვით, „სასწრაფოდ შესრულებული უნდა იქნეს".

ფინ-იუ-სიანი მოსკოვში მოდის

ულან-ბატორ, 1 აპრილი. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბრის დროს ფინ-იუ-სიანმა ჩინეთის პოლიტიკურ მდგომარეობის და ეროვნულ - განმათავისუფლებელ მოძრაობის შესახებ განაცხადა:

„ჩინეთი ამჟამად გარდამავალ პერიოდში იმყოფება. ჩინეთის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი იმყოფება რეაქციონურ ჯგუფების ხელში, რომელთაც ჩჟან-ძო-ლინი და უ-პეი-ფუ მეთაურობენ. **ისინი ჩინეთის უცხოელ მჩაგვრელთა იარაღებია, ჩანძო-ლინი მუშაობს იაპონიის სასარგებლოთ, უ-პეი-ფუ—ინგლისის სასარგებლოთ. ორივეს თავიანთ ბატონებისაგან ეძლევა ფულები, იარაღი და ხალხი.**

ეროვნულ - განმათავისუფლებელ მოძრაობას მეთაურობს გომინდანი, რომელსაც მუშებიც ემხრობიან. სახალხო არმიის შემადგენლობაში შედის სტუდენტობის დიდი ნაწილი. ვაჭრები და გლეხობის ერთი ნაწილი ძველ მხარს ადგანან, რადგან არ შეუძლიათ გაერკვიონ მომხდარ ამბებში. საჭიროა მუშაობა გავაძლიეროთ მასების გასანათლებლად და ვაწარმოვოთ აგიტაცია და პროპაგანდა, რათა დაჩქარებული იქნას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა".

შეკითხვაზე, როგორ დამოკიდებულებაშია ის გომინდანთან, ფინ-იუ-სიანმა განაცხადა:

„ჩემი დამოკიდებულება გომინდანისადმი ისეთია, რომ მე ჩქარა ამ პარტიის წევრი გავხდები. ჩემს ამოცანას შეადგენს ჩვენი მასწავლებლის სუნ-იატ-სენის აღთქმათა შესრულება.

მე გადავსწყვიტე, მოსკოვში ჩასვლის შემდეგ შევიდე ფაბრიკაში, ან ქარხანაში უბრალო მუშათ, გავიარო მშრომელთა წრეში საფუძვლიანი პოლიტიკური სკოლა და ყოველმხრივ შევისწავლო საბჭოთა კავშირის პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა.

საბჭოთა კავშირში მე განზრახული მაქვს დავრჩე 7 წელიწადი. მხოლოდ ამის შემდეგ მე დავბრუნდები ჩინეთში პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მისაღებად. მე არ მაშინებს ცხოვრების პირობების გამოცვლა, რადგან მე დავიბადე ქვის მთლელის ოჯახში; შემდეგ კი დიდი ხნის განმავლობაში უბრალო ჯარისკაცი ვიყავი.

პოლონეთის ჯარი

ვარშავა, 31 მარტი. **სეიმმა მიიღო კანონპროექტი 1926 წ. ჯარში გაწვევის შესახებ.**

პოლონეთის სოციალისტური პარტიის ორატორმა **ლიბერმანმა** წარმოსთქვა პატრიოტული სიტყვა, რომელშიაც მიუთითა ნაციონალური თავდაცვის აუცილებლობაზე და მოითხოვა არმიის 23.000 კაცით შემცირება. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პოლონეთის სოციალისტური პარტიის დეპუტატებმა თანხმობა განაცხადეს, რომ მათი წინადადებები კენჭისუყრელად გადაეცათ სამხედრო კომისიისათვის და ხმა მისცეს მთავრობის კანონპროექტს.

ვოიტიუკი (კომუნისტი) და ბონი (გლეხთა პარტია) მოითხოვდენ არმიის მოსპობას და მთელი ხალხის შეიარაღებას.

მთელმა მუშურ-გლეხურმა ბლოკმა, უკრაინელებმა, ბელორუსებმა და აგრეთვე ზრილის გლეხურმა პარტიამ ხმა მისცეს მთავრობის კანონპროექტის წინააღმდეგ.

პოლონეთის სოციალისტური პარტიის დეპუტატებმა კი ბურჟუაზიულ უმრავლესობასთან ერთად ხმა მისცეს თავიანთივე წინადადების წინააღმდეგ.

ჩემბერლენის სიტყვა და საქმე

ლონდონი, 1 აპრილი. თემთა პალატაში ჩემბერლენმა განაცხადა, რომ სასურველად არ სთვლის ინ[illegible] ჩინეთში. [illegible] რებს ჩინეთში მიცემული აქვთ ინსტრუქციები „მიმართონ იარაღს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც საფრთხეში იქნება უცხოელების მდგომარეობა".

ლიბერალური გაზეთი **„მანჩესტერ გარდიენი"** იწონებს ჩემბერლენის განცხადებას და დასძენს: ინგლისის მიერ მიღებულ ლონისძიებათა შეთანხმება ჩემბერლენის ამ განცხადებასთან".

მენშევიკების მორიგი ღალატი

პარიზი, 1 აპრილი. „ჰავასის" სააგენტო იუწყება, რომ ფინანსიურ კანონპროექტის კენჭის ყრამდე გამართულ კამათის დროს დეპუტატთა პალატაში სიტყვა წარმოსთქვა **ფურნიემ** (კომუნისტი დეპუტატი, რომელიც ხელმეორედ არჩეულია პარიზის მეორე სექტორიდან), რომელმაც გამოაქვეყნა მოწოდება მთავრობის საფინანსო პროექტის და მემარცხენე ბლოკის საპარლამენტო პოლიტიკის წინააღმდეგ.

ფურნიემ წინადადება მისცა სოციალისტებს შექმნან ერთიანი ფრონტი პალატაში.

საპასუხო სიტყვაში **რენოდელმა** უარჰყო ერთიანი ფრონტი კომუნისტებთან „სანამ ბოლშევიკებს ციხეებში ეყოლებათ სოციალისტები".

წერილი ინგლისიდან

კონფლიქტი მექანიკურ წარმოებაში

(ჩვენი კორესპონდენტისაგან)

უკანასკნელ ორი კვირის განმავლობაში ინგლისის ტრედუნიონებში საყურადღებო კრიზისი დადგა ზოგიერთი ბელადის წყალობით. ეს შეეხება მექანიკურ ინდუსტრიას.

მოკლედ ამ კრიზისის ისტორია ასეთია:

ორი წლის წინედ მექანიკურ ინდუსტრიის ტრედუნიონებმა მეპატრონეებს წარუდგინეს მოთხოვნილება ხელფასის საერთო მომატების შესახებ 20 შილინგით კვირაში. მეპატრონეებს და პროფკავშირებს შორის არსებობს შეთანხმება, რომლის მიხედვითაც მუშათა ყოველ მოთხოვნილებამ ათსნაირ ქსელში უნდა გაიაროს და ამგვარად ის იწვევს დაუბოლოვებელ კამათს. ამას უწოდებენ „კონფლიქტის თავიდან ასაცილებელ შეთანხმებას".

ოცი შილინგით მოთხოვნილება მიფუჩეჩდა. ორი წლის განმავლობაში კი ამაოდ აწარმოებდენ ყოვლად უთავბოლო მოლაპარაკებას, რომელსაც ხელს უწყობდენ მექანიკოსთა კავშირის ბელადი ბროული და მუნიციპალურ მუშათა კავშირის—კლაინსი.

მოლაპარაკების დასაწყისშივე მეპატრონეები თავიანთ გაჭირვების მიზეზათ ასახელებდენ წარმოების დაცემას და უცხოეთის კონკურენციას. ამის გამო მუშებს უარს ეუბნებოდენ მათ მოთხოვნილებებზე და ამაში მოსერხებით იყოლიებდენ მუშათა ბელადებსაც. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ბელადები კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად ბევრ დათმობაზე მიდიან და ბოლოს გადიქცენ მეპატრონეების ნამდვილ დამქაშებათ.

ინგლისის მექანიკური ინდუსტრიაც იმავე დღეშია, როგორშიაც ყველა სხვა წარმოება: უმუშევრობა დიდია (300.000 მუშა) და ზოგიერთი ქარხანაც მუდმივათ არ მუშაობს. მიუხედავად ამისა, წარმოების ასეთ კრიზისის დროს მეპატრონეებმა მაინც კარგა ზარაქიანი მოგება მიიღეს.

აი, რამდენიმე მაგალითი:

ფირმა არმსტრონგ-ვიტვორტმა მისცა დივიდენდი ექვსი მეოთხედი % და 1924 წლის ბოლოს ჰქონდა სათადარიგო თანხა 2.274.336 გირ. სტერლინგი.

ფირმა ბაბკოკ-ვილკოკმა 1923—24 წლებში მისცა დივიდენდი 24 %. სათადარიგოდ დარჩა 947.395 გირ. სტერ. როლ-როისის ქარხანამ კი 1923 წელში მისცა დივიდენდი 50 პროც., 1924 წელში—80 პროც., ხოლო 1925 წელში—133 პროც.

რაც შეეხება უცხოეთის კონკურენციას—ესეც სიყალბეა: თვით ინგლისელი კაპიტალისტები ხსნიან ფირმებს სხვადასხვა ქვეყნებში, მაგ. ავსტრიაში, რადგან იქ ეხარბებიან დაბალ ხელფასს. ამგვარად, თუ ინგლისის ნაწარმოები აღარ გადის საზღვარ გარედ, ამ კონკურენციას უმთავრესად ისევე ინგლისელი კაპიტალისტები ჰქმნიან.

მუშების მიერ ხელფასის გადიდების მოთხოვნილება ყოვლად სამართლიანია, რადგან 1914 წელთან შედარებით ცხოვრებამ აიწია 75 პროც. ხელფასმა კი მხოლოდ—45 პროცენტით.

ორი წლის უნაყოფო მოლაპარაკების შემდეგ რეფორმისტ-ბელადებმა მუშათა მასების ზეგავლენით შესწყვიტეს ეს თვალთმაქცობა, მაგრამ მათ აღარ ეყოთ იმდენი გამბედაობა, რომ დაეწყოთ ფართო აქტიური მოძრაობა, რათა თავიანთ მოთხოვნილებისათვის საყოველთაო ხასიათი მიეცათ. ისინი ურჩევდენ მუშებს, თუ სურდათ, თავიანთი მოთხოვნილებანი დაეცვათ ცალ-ცალკე. ეს იყო ტრედუნიონისტულ მოძრაობის ნამდვილი დაქუცმაცება.

ბელადების ასეთი შიშისა თუ ვერაგობის გამო ადგილობრივი კომიტეტები იძულებული იყვნენ წარედგინათ თავიანთი მოთხოვნილება ცალ-ცალკე.

მეპატრონეები მაშინათვე საომრად შეემზადენ.

მათ გადაწყვეტით განაცხადეს: თუ რომელიმე მოთხოვნილებას ზედ მოჰყვა გაფიცვა, მაშინვე გამოცხადებული იქნება საყოველთაო ლოკაუტი.

ამ დროს ლონდონში მოხდა კონფლიქტი: ჰოეს ქარხანაში გაიფიცენ მუშები (1000 კაცი), რადგან მეპატრონეებმა მიიღეს კავშირის გარეშე მყოფი ხუთი მუშა. ამ გაფიცვაზე მეპატრონეებმა უპასუხეს ლოკაუტით. მუშებმაც თავიანთ მხრივ განაცხადეს, რომ არ განაახლებენ მუშაობას, ვიდრე არ მოუმატებენ ხელფასს და არ დაითხოვენ კავშირის გარეშე მყოფ მუშებს. ტრედუნიონების ბელადებმა, იმის მაგიერ, რომ დახმარებოდენ მუშებს, პირიქით, ეს გაფიცვა გამოაცხადეს „არა ოფიციალურად", რადგან ის ნებადართული არ არის აღმასკომის მიერ.

ბელადები კიდევ ამაზე შორს წავიდენ: მეპატრონეებმა განაცხადეს, თუ ჰოეს მუშები არ განაახლებდენ მუშაობას, ლოკაუტი გავრცელდება ამ წარმოების 7 ტრედუნიონზედ. მაშინ ბელადებმაც თავიანთ მხრივ განუცხადეს გაფიცულ მუშებს, თუ დაუყოვნებლივ არ შეუდგებიან მუშაობას, გამორიცხულ იქნებიან ტრედუნიონებიდანო.

კონფლიქტი ძალიან გამწვავდა ლოკაუტში მოყოლილ მუშებსა და 7 ტრედუნიონის აღმასკომს შორის.

ამ უთანასწორო ბრძოლაში მუშები იძულებული გახდენ დაეთმოთ. მაგრამ ეს დათმობა მოხდა მხოლოდ იმ უკანასკნელ საათში, როცა უნდა დაწყებულიყო საყოველთაო ლოკაუტი, რასაც შედეგათ მოჰყვებოდა 400 000 მუშის ქუჩაში გამოყრა.

ეს კონფლიქტი ნამდვილათ წარმოადგენდა არა მუშებსა და მეპატრონეების კონფლიქტს, არამედ მუშებისა და რეფორმისტ-ბელადებისას. ამ შემთხვევამ თვალები აუხილა მუშათა მასებს, რომ მათი ბელადები არაფრად არ ვარგიან, როცა საჭიროა გადაწყვეტილი ბრძოლა და მოქმედება მუშათა კლასის სასარგებლოდ. მუშათა მასებმა გაიგეს, რომ ეს ბელადები არა თუ უვარგისნი არიან, არამედ საფრთხესაც წარმოადგენენ იმ გადამწყვეტ ბრძოლაში, რომელიც მზადდება მომავალისთვის.

ვ. დავიდ.

ლონდონი. 19 მარტი, 1926 წ.

საბჭოთა პრესა

საჭიროა შტატების შემცირება

ზედნართი ხარჯების შემცირებისა და ეკონომიის რეჟიმის გატარებისათვის, რასაც დღეს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებად მიჩნეულია შტატების შემოკლება. ამ მხრივ მრავალჯერ მიღებულ ზომებს თვალსაჩინო რეალური შედეგები არ მოჰყოლია. უდავოა, რომ დღესაც ჩვენს დაწესებულებებში ბევრგან გაბერილი შტატები გვყავს. ამას ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოეღოს ბოლო. მაგრამ რა გზით?

„ამ ოპერაციის (შტატების შემცირების) გატარების წინანდელი გამოცდილება გვასწავლის,—სწერს **„ტორგოვო-პრომიშლენაია გაზეტა"**, რომ თვითეულ საბჭოთა დაწესებულებას ათეულჯერ მოუხდენია ის, მაგრამ ყოველგვარი შემცირება დროთა მსვლელობაში უეჭველად იწვევდა რეაქციას შტატების ახალი გადიდების სახით. რომ ეს მოვლენა არ განმეორდეს, საჭიროა არა მექანიკური შემცირება პირდაპირ თანამშრომელთა სიის მიხედვით, არამედ განყოფილებათა ფუნქციების, თვით განყოფილებათა მუშაობის სისტემის, აგრეთვე განყოფილებათა ურთიერთი დამოკიდებულების გადასინჯვა. მონათესავე ფუნქციების თავმოყრის გზით მუშაობის შემჭიდროების და მუშაობაში პარალელიზმის მოსპობის შედეგათ ჩვენ მივიღებთ განთავისუფლებულ მუშაკებს, რომელნიც უნდა იქნან შემცირებულნი.

შტატების რიცხვობრივ შემცირებასთან ერთად, საჭიროა ზომების მიღება დარჩენილ მუშაკების თვისების გასაუმჯობესებლათ, თორემ აუცილებელი გახდება თანამშრომელთა კადრების ახალი გაფართოება".

ამნაირად, შტატების შემცირებას საფუძვლად უნდა დაედვას დაწესებულებათა მუშაობის რაციონალიზაცია, თანამშრომელთა შერჩევა და მათი კვალიფიკაციის აწევა. ამასთან აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ დაწესებულებას მაინცდამაინც დიდი შტატი არ ჰყავს, მაგრამ არ არის აღმოფხვრილი ზედმეტი სამუშაოები და ამაზე საგრძნობი თანხა მიდის; მაშასადამე, ნორმალურ შტატების არსებობას ასეთ პირობებში მეტნაწილად ეკარგება თავისი მნიშვნელობა. გამონაკლისს შემთხვევებს გარდა, აუცილებლად უნდა მოისპოს ზედმეტი სამუშაოების პრაქტიკა. ეს შესაძლებელია მუშაობის კარგად დაყენებით.

მუშათა და გლეხთა ინსპექცია მუშაობას აწარმოებს მტკიცე შტატების დასაწესებლად დაწესებულებებში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამას შედეგად მოჰყვება შტატების საგრძნობი შემცირება. საბჭოთა აპარატის მუშაობის უფრო მეტი რაციონალიზაცია და სახელმწიფო ხარჯების მნიშვნელოვანი ეკონომია.

ტერორი ბესარაბიაში

ვენა, 1 აპრილი. რუმინეთის პარლამენტის დეპუტატმა **მუჰლერმა** გაზეთ „ადევერულ"-ში მოათავსა წერილი, ბესარაბიის მდგომარეობის შესახებ. აღნიშნულ წერილში აწერილია რუმინეთის ხელისუფლების თვითნებობა ბესარაბიაში. მუჰლერი, სხვათა შორის, აღნიშნავს, რომ ბესარაბიის **ადგილობრივ ნაწილების ჯარისკაცებს სისტემატიურად სცემენ.** ბესარაბიის გლეხკაცობა უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებით იტანჯება ცხენების მოწოდების ბეგარის გამო; ხელისუფლება სარგებლობს ამით და გლეხებისაგან ცხენებს მოითხოვს თავისი პირადი საჭიროებისათვის. მეჰლერი აღნიშნავს, რომ ბესარაბიაში სრულიად გაუქმებულია სათემო ავტონომია. ბურგომისტრები არავის არ აბარებენ ანგარიშებს და თვითნებურად მართავენ სათემო ქონებას. სოფელი—ამბობს დასასრულ მეჰლერი — ძველებურადაა დატოვებული ბურგომისტრების, მამასახლისების და მღვდლების ხელში.

ლიტონი სიტყვები

ლონდონი, 1 აპრილი. თემთა პალატის სხდომაზე მუშათა პარტიის წევრმა **პონსონბიმ** წამოაყენა საკითხი განიარაღების შესახებ.

პონსონბის საპასუხოდ გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგმა **ლოკერ ლემპსონმა** უკმაყოფილება გამოსთქვა იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირმა უარი განაცხადა განიარაღების კონფერენციაში მონაწილეობაზე და დასძინა, რომ ინგლისის მთავრობა გულწრფელად მხარს დაუჭერს ყოველგვარ ნაბიჯს, რომლის მიზანი იქნება საყოველთაო განიარაღება. დასასრულ ლოკერ ლემპსონმა აღნიშნა, რომ ინგლისის წარმომადგენელი კონფერენციაზე შეიტანს წინადადებას განიარაღების საბოლოო გეგმის მიღების შესახებ.

ბრიანის საფინანსო პროექტი

პარიზი, 31 მარტი. **„პარი" იუწყება. რომ საფრანგეთის დეპუტატთა პალატამ 236 ხმის უმრავლესობით 159 ხმის წინააღმდეგ მთლიანად მიიღო საფინანსო პროექტი.**

მუშათა მოძრაობა

რუმინეთის მთავრობა

ვენა, 31 მარტი. ავერესკუს მთავრობამ (რუმინეთში) განკარგულება მოახდინა, გაძლიერებული იქნას გარნიზონები ოპოზიციის დემონსტრაციების თავიდან ასაცილებლად.

ოპოზიციონური პრესა იუწყება, რომ **ავერესკუს მთავრობის კომბინაცია თვით ბრატიანუმ ურჩია მეფეს და იგი ნიშნავს აშკარა ფაშისტურ-რეაქციონურ კურსის აღებას.**

მუშათა ბრძოლა

უმუშევართა დახვრეტა

ვარშავა, 1 აპრილი. სტრიიში (აღმოსავლეთ გალიცია) **გაიმართა რამოდენიმე ათას უმუშევართა დემონსტრაცია, რომელიც მოითხოვდა დახმარების მიცემის განახლებას.**

ქალაქის თავმა ამ მოთხოვნილებაზე უარი განაცხადა, რასაც ასაბუთებდა საშუალებების უქონლობით. ამის შემდეგ უმუშევრებმა განაცხადეს, რომ ისინი არ დასტოვებენ ქალაქის თვითმმართველობის შენობას. მოლაპარაკების დროს ქალაქის თვითმმართველობის მოსამსახურეებმა გამოიძახეს პოლიცია. პოლიციის ძლიერი რაზმი შეეცადა გარეკა დემონსტრაცია და გაენთავისუფლებია თვითმმართველობის შენობა უმუშევრებისაგან. უმუშევრებმა წინააღმდეგობა გაუწიეს და შეტაკების დროს განიარაღეს და დასჭრეს რამოდენიმე პოლიციელი. პოლიციის უფროსმა ლაზარევსკიმ, რომელიც ქვით დაიჭრა თავში, გასცა ბრძანება აეტეხათ სროლა, რის შედეგათ მოკლულ იქნა 4 მუშა და დაიჭრა 12; მათ შორის 3 გარდაიცვალა საღამოთი.

პოლიციამ გარეკა დემონსტრაცია და დაატუსაღა მრავალი მუშა. ახალი გამოსვლების თავიდან ასაცილებლად ქალაქში გამოწვეულია ჯარები.

პარიჟელ მელითონეების დემონსტრატიული გაფიცვა

პარიზი, 1 აპრილი. **დაიწყო პარიზის რაიონის მელითონეების დემონსტრატიული გაფიცვა, რომელიც გამოცხადდა მელითონეების უნიტარულ პროფკავშირების მოწოდების თანახმად, სამუშაო ხელფასის მოსამატებლად.**

ამბოხება გემ „ტენასიტი"-ზე

ლონდონი, 1 აპრილი. **ინგლისის გემმა „ტენასიტი"-მ ესპანეთის ნავთლიცია გემის მოსამსახურეების ამბოხების ჩასაქრობად.** გააფთრებული შეტაკების შემდეგ ესპანეთის საზღვაო ჯარების რაზმმა შესძლო აჯანყებულთა მეთაურების დაპატიმრება.

გერმანიის კომკავშირის ათი წლისთავი

ბერლინი, 1 აპრილი. **გერმანიის ახალგ. კომკავშირი დღესასწაულობს ათი წლისთავს ვენაში გამართულ კონფერენციის დღიდან, როდესაც კარლ ლიბკნეხტმა საძირკველი ჩაუყარა გერმანიის ახალგაზრდობის კომუნისტურ მოძრაობას.**

კავშირმა მიიღო ახალგ. კომინტერნის აღმასკომის, საბჭოთა კავშირის, ჩინეთის, კორეის, მონღოლეთის, იაპონიის, იტალიის და სხვა ქვეყნების ახალგ. კომუნისტურ კავშირების მისასალმებელი დეპეშები.

გერმანიის კომპარტიაში

ბერლინი, 1 აპრილი. გერმანიის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა მოწოდება ყოფილ მეფის საგვარეულოს ქონების აუნაზღაურებლად ჩამორთმევის შესახებ.

„გერმანიის კომპარტიის წინაშე, ნათქვამია მოწოდებაში, დასმულია ახალი სერიოზული ამოცანები. **კომპარტიის მიზანია საყოველთაო კენჭის ყრის დროს შეკრიბოს არა 20 მილიონი ხმა, რამდენიც საჭიროა, არამედ 25 მილიონი.** ამ მიზნის მიღწევის წინასწარ პირობას წარმოადგენს მთლიანობის კომიტეტების მოწყობა თვითეულ წარმოებაში.

მოწოდებაში ნათქვამია, რომ გლეხობის ის ფენები, რომელნიც რეაქციონურმა პარტიებმა ჩამოაშორეს ამ ბრძოლას ყოფილ მეფეებისა და თავადების მტაცებლობის წინააღმდეგ, უნდა დაუკავშირდენ სამრეწველო პროლეტარიატს. ამ მიზნით გამოყენებული უნდა იქნას საგანმანათლებლო მუშაობის მეთოდები. ამავე დროს კომუნისტურმა პრესამ უნდა ჩაატაროს კამპანია, რომლის საშუალებით პარტიამ 100.000 ახალი წევრი უნდა მიიღოს.

შემდეგ მოწოდებაში ნათქვამია, რომ საჭიროა დასრულდეს კომპარტიის რეორგანიზაცია ფაბრიკა-ქარხნების უჯრედთა საფუძველზე.

კრიზისი პორტუგალიაში

პარიზი, 1 აპრილი. **ეკონომიური კრიზისი პორტუგალიაში მწვავე ხასიათს იღებს.** ყოველ თვეში რამოდენიმე ქარხანა იხურება და ამის მიხედვით უმუშევართა რიცხვიც მატულობს. უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში მრეწველობის პროდუქცია 40 პროცენტით დაეცა.

მთავრობას განზრახული აქვს მისცეს მაჰრობა - მრეწველობას მორატორიუმი შარშანდელ გადასახადების გასასტუმრებლად.

ტოლსტოის არქივი

პრაღა, 1 აპრილი. პრაღაში მცხოვრებ ტოლსტოველმა **ბულგაკოვმა** საბჭოთა კავშირის პრაღის საკონსულოს გადასცა ტოლსტოის მუზეუმისათვის გადასაგზავნათ მის მიერ შენახული ტოლსტოის არქივის ნაწილი, რომელიც შეიცავს ზოგიერთ ნაწარმოებთა დედნებს, მიწერ-მოწერას, წერილებს და ფოტოგრაფიებს.

ერთა ლიგაში

პასუხს მოელიან

ბერლინი, 1 აპრილი. შვეიცარიის დეპეშათა სააგენტოს ცნობით **ერთა ლიგის წრეებში მოუთმენლად მოელიან საბჭოთა კავშირის პასუხს** განიარაღების წინასწარ კონფერენციაზე მონაწილეობის მიღების შესახებ, თუმცა პასუხის ოფიციალური ტექსტი ჯერ არ იციან, მაგრამ საქმესთან გაცნობილი წრეებს ეჭვი არ ეპარებათ იმაში, რომ საბჭოთა კავშირი ძველებურად უარს იტყვის კონფერენციაში მონაწილეობის მიღებაზე, თუ იგი მოწვეული იქნება შვეიცარიის ტერიტორიაზე. ამის გამო ერთა ლიგის წრეებში გამოსთქვამენ აზრს, რომ შვეიცარიის მთავრობის ფორმალური აღთქმა, რომ ის ყოველგვარ ზომებს მიიღებს საბჭოთა დელეგატების უშიშროების უზრუნველყოფილად, სავსებით საკმარისია და საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებს საშუალებას აძლევს ჟენევაში ჩავიდენ.

ბრაზილია განმარტებას იძლევა

ბერლინი, 1 აპრილი. ბრაზილიის გარეშე საქმეთა მინისტრმა გერმანიის მთავრობას გაუგზავნა წერილი, რომელშიაც ნათქვამია, რომ ბრაზილია მზად არის ხელი შეუწყოს გერმანიის ერთა ლიგაში შესვლას.

წერილი აღნიშნავს, რომ ბრაზილია მხარს დაუჭერს გერმანიის მოთხოვნილებას მისთვის ერთა ლიგის საბჭოში მუდმივი ადგილის მიცემის შესახებ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საბჭოში მუდმივი ადგილი არც ერთ სხვა სახელმწიფოს არ მიეცემა.

ეროვნული

უკანასკნელი ცნობები

განიარაღების კონფერენცია

ბერლინი, 2 აპრილი. თემთა პალატაში ჟენევაში განიარაღების კონფერენციის მოწვევის საკითხის განხილვის დროს გამოვიდა მუშათა პარტიის წევრი პონსონბი, რომელმაც განაცხადა, რომ ეს კონფერენცია მარცხით დამთავრდებაო, რადგან მიუხედავად იმისა, რომ გერმანია თითქმის სრულიად განიარაღდა, ევროპა დღეს უფრო შეიარაღებულია, ვიდრე 1913 წელშიო და რომ დიდი ბრიტანეთი 10%-ით მეტს ხარჯავს დღეს შეიარაღებაზე, ვიდრე ომამდიო.

გაფიცვა

პარიზი, 2 აპრილი. ნახევარი დღის გაფიცვაში, რომელიც მოაწყო სინდიკატმა, მონაწილეობდა მუშა-მელითონეთა უმრავლესობა.

პეკინის ბედი

ბერლინი, 2 აპრილი. გაზეთ „ჩიკაგო ტრიბუნის" ცნობით პეკინი გამოცხადებული იქნება ნეიტრალურ ზონათ და ქალაქის მართველობა არ გადაეცემა სამხედრო ხელისუფლებას.

მუსოლინის ძალა

ბერლინი, 2 აპრილი. როგორც იტყობინება აზია-აღმოსავლეთ ევროპის სააგენტო, მუსოლინი მოლაპარაკებას აწარმოებს ბრიტანეთის კოლონიების სამინისტროსთან, რომ მას გადაეცეს გერმანიის ყოფილი კოლონიები აღმოსავლეთ-აფრიკაში. სააგენტოს ცნობით ბრიტანეთი მუსოლინის გეგმას დადებითად უყურებს.

ბერლინის მცხოვრებთა რიცხვი

ბერლინი, 2 აპრილი. უკანასკნელ სტატისტიკური ცნობების თანახმად ბერლინის მცხოვრებთა რიცხვი უდრის 4.030.818 კაცს.

მუშების დათხოვნა

ბერლინი, 1 აპრილი. კრუპპის ფირმას განზრახული აქვს დაითხოვოს ამ მოკლე ხანში 2500 მუშა.

კომპარტიის გავლენის ზრდა გლეხებში

ბერლინი, 1 აპრილი. კომპარტიის გავლენა გლეხებში თანდათან იზრდება, რაც, სხვათა შორის, სჩანს იმ წერილებიდან, რომელიც მოსდის რედაქციებს.

ბავარიის გლეხთა კავშირის მემარცხენე ფრთის ორგანოში „ლანდაუერ ფოლკლობატში" ერთმა გლეხმა მოათავსა წერილი, რომელშიც ის შემდეგნაირათ ხსნის გლეხებში კომპარტიის გავლენის ზრდას: „მთავრობის რეალური პოლიტიკა, რომელიც ცდილობს რაც შეიძლება მეტი გადასახადი გამოწოვოს გლეხებს, საუკეთესო პოლიტიკაა კომპარტიის სასარგებლოდ. ამას წინად მე ვნახე ერთი მოხუცი გლეხი, რომელიც სახალხო პარტიიდან გადავიდა კომუნისტებისაკენ".

კომპარტიის რაიონულმა კომიტეტმა მიიღო ერთი მცირე ქონებიან გლეხის წერილი, რომელშიც ის სწერს: „[illegible] აქციონური პრესის გავლენის ქვეშ ვიყავი—რომ ჩაატარა ხელის მოწერა მემამულეებისათვის უსასყიდლოდ ქონების ჩამორთმევისათვის.

ახლა მე მწამს, რომ მხოლოდ კომუნისტები იცავენ გულწრფელად წვრილ გლეხების ინტერესებს.

ბურჟუაზიული გაზეთები დიდ ყურადღებას აქცევენ კომპარტიის გავლენის ზრდას გლეხებში.

თათბირი

მოსკოვი, 2 აპრილი. გაიხსნა საკავშირო თათბირი ნაციონალურ კოოპერაციის რწმუნებულებისა.

აჯანყება ჩააქრეს

ანგორა, 1 აპრილი. შინაგან საქმეთა მინისტრმა ჯებილ-ბეიმ განაცხადა, რომ აჯანყება, რომელმაც ამას წინად იფეთქა მარდინის ვილაიეტში, ქურდისტანის სამხრეთით, სრულიად ჩაქრობილია.

ახალი დელეგაცია

მოსკოვი, 1 აპრილი. ოსმალეთის განათლების სამინისტრომ გადასწყვიტა გამოგზავნოს საბჭოთა კავშირში დელეგაცია, რომელიც ადგილობრივ შეისწავლის სწავლა-განათლების საქმეს.

მონოპოლია შაქარსა და ნავთზე

პარიზი, 1 აპრილი. 293 ხმის უმრავლესობის წინააღმდეგ 256 სადეპუტატო პალატამ გადასწყვიტა ერთი წლის შემდეგ შემოიღოს სახელმწიფო მონოპოლია შაქარსა და ნავთზე.

კანონპროექტით გათვალისწინებულია აგრეთვე შაქრისა და ნავთის შემოტანა.

მემარჯვენეები ამ კანონის წინააღმდეგ პალატაში არ გამოსულან, რადგან იმედი აქვთ, რომ სენატი მაინც უარყოფს მას.

სანიტარული კონფერენცია

მოსკოვი, 2 აპრილი. საკავშირო სახ. კომისართა საბჭომ გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატს დაავალა აცნობოს საფრანგეთის მთავრობას, რომ **საბჭოთა კავშირი თანახმაა მიიღოს მონაწილეობა საერთაშორისო სანიტარულ კონფერენციაში**, რომელიც პარიზშია მოწვეული 10 აპრილისათვის, 1912 წლის სანიტარული კონფერენციის გადასაშინჯათ.

კავშირის დელეგაციის თავმჯდომარეთ კონფერენციაზე სახ. კომისართა საბჭომ დანიშნა **სემაშკო**. უკანასკნელს დავალებული აქვს გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატსა და მოკავშირე რესპუბლიკების სახ. კომისართა საბჭოებთან ერთად შეადგინოს დელეგაცია საერთაშორისო სანიტარულ კონფერენციაზე გასაგზავნათ.

არჩევნები ხონის რაიონში

ხონი, 2 აპრილი. დამთავრდა არჩევნები ხონის რაიონში. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო მცხოვრებთა 70%-მა. განსაკუთრებული აქტივობა გამოიჩინეს ქალებმა. აღმასკომის მუშაობა ყრილობამ დამაკმაყოფილებლად ჩასთვალა.

ახალ აღმასკომში არჩეულია 9 წევრი და 2 კანდიდატი.

კამპანია ვენახების აღსადგენად

თელავი, 2 აპრილი. დაიწყო მუშაობა წარმოკავშირის ძველ სათბოსანერგეში სადგ. მუკუზანის მახლობლად. აქ განზრახულია 400.000 ცალი ნამყენი ვაზის მიღება.

სადგ. გურჯაანში ახლო მომავალში დამთავრებული იქნება წარმოკავშირის ახალი სათბო-სანერგის მოწყობა. ის სათბო-სანერგე გაცილებით [illegible]თესად მოწყობილი.

თესვის კამპანია

თელავი, 2 აპრილი. საგაზაფხულო ხორბლის თესვა დამთავრდა. ამ დღეებში სიმინდის თესვას შეუდგებიან.

საბჭოთა მეურნეობის კონიაკის ქარხანაში

თელავი, 2 აპრილი. დაამთავრა მუშაობა წინანდლის სასოფლო მამულის კონიაკის ქარხანამ.

მიმდინარე წელს ქარხანამ დაამზადა 265.000 გრად. სპირტი. ამ სპირტის ერთი ნაწილი გასაღებულია მოსკოვის ბაზარზე.

პოლიტიკური კომბინაციები

(„იზვესტიას" წერილი)

მოსკოვი, 2 აპრილი. „იზვესტია" ასეთი სათაურით ათავსებს მოწინავე წერილს, რომელშიაც სწერს:

„ევროპის სხვადასხვა კუთხეში დაიწყო დიპლომატიური ბრძოლა, რომელიც მიმართულია ახალი პოლიტიკური კომბინაციების შექმნისაკენ. ბალკანეთში ერთი მხრივ სასწრაფოთ ეწყობა ინგლისის კომბინაცია—ბალკანეთის ლოკარნო, მეორეს მხრივ—მზადდება საფრანგეთ - იტალია - სამხრეთ სლავიის მოძრაობა. გადასინჯული იქნება ცენტრალური ევროპის პოლიტიკური ურთიერთ დამოკიდებულება. ახალ ორიენტაციას ეძებს პოლონეთი, ერთის მხრივ იცქირება ინგლისისაკენ, მაგრამ ამავე დროს ეშინია იმის, რომ ახლო მომავალში მოხდება ინგლის - გერმანიის შეთანხმება.

ახალი სქემების ძებნამ უკანასკნელ ხანებში აშკარად იჩინა თავი საფრანგეთის პოლიტიკაში გერმანიის მიმართ. ლოკარნოსა და ჟენევის ამბებს შუა დადებული საფრანგეთ - ოსმალეთის ხელშეკრულება წარმოადგენს საფრანგეთ - ინგლისის მეტოქეობას და საურთიერთო კომპენსაციების პოლიტიკის ერთ-ერთ ეპიზოდს. ერთა ლიგის საბჭოს უკანასკნელი სესიის დადგენილება ამ ხელშეკრულების არდამტკიცების შესახებ ამჟღავნებს, რომ ინგლისმა კომპენსაცია მისცა საფრანგეთს ხელშეკრულების უარყოფისათვის.

ამჟამად ჩვენ ვხედავთ საფრანგეთის ახალ გამოსვლას, რომლის ოდენობის გათვალისწინება ჯერ კიდევ ძნელია. „ეკო დე პარი"—გაზეთმა, რომელსაც სრულიად არ შეიძლება დავსწამოთ გერმანოფილობა, ათავსებს პერტინაკსის წერილს, რომლის შინაარსი ასეთია: „ლოკარნომ დაგვანახვა, რომ საფრანგეთის გამარჯვება შეკვეცილი უნდა იქნას, უმთავრესად, ინგლის - გერმანიის დაახლოვების წყალობით. საფრანგეთისათვის უფრო ხელსაყრელია, თუ იგი შეუთანხმდება გერმანიას და ამით ძირს გამოუთხრის ინგლისის პოლიტიკას". პერტინაკსის გამოსვლას სრულიადაც არ აქვს პირადული ხასიათი. გერმანიის პრესაში ამ გამოსვლას დიდი თანაგრძნობით შეხვდნენ.

საფრანგეთ - გერმანიის დაახლოვება წარმოადგენს კონტინენტალური გადაჯგუფების სერიოზულ ცდას. იგი ვერ დაკმაყოფილდება წინასწარ გათვალისწინებულ ჩარჩოებით და ახალ პრობლემებს წამოაყენებს.

საბჭოთა საზოგადოებრივი აზრი დიდი ინტერესით ადევნებს თვალყურს ამ ახალი კომბინაციის განვითარებას, რადგან საბჭოთა კავშირის ინტერესებს არ შეადგენს ინდიფერენტულად უცქიროს ევროპის მებრძოლ ძალების გადაჯგუფებას".

„კომუნისტი"
მიიღება ხელის-მოწერა
აპრილისათვის
მთავარი კანტორა რუსთაველის პროს. № 34.

კვირას, 4 აპრილს, დილის 9 საათზე
სადგურ თბილისიდან
გავა სპეციალური მატარებელი
თბილისის საბჭოს წევრების
ექსკურსიისათვის
ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონული სადგურის
დასათვალიერებლად
თხოვნა ყველა საბჭოს წევრებისადმი დილის სრულ 8 ნახ. საათზე გამოცხადდენ თბილისის სადგურზე.
1—1
პრეზიდიუმი.

აღმოსავლეთის ცხოვრება

დე-ჟუვენელის განცხადება

ლონდონი, 1 აპრილი. „მორნინგ პოსტის" კორესპონდენტის ცნობით, იერუსალიმში ჩავიდა საფრანგეთის უმაღლესი კომისარი **დე-ჟუვენელი**, რომელიც ინგლისის ხელისუფლებასთან ერთად არა-ოფიციალურად იხილავს საკითხებს სირიის და პალესტინის საერთო ინტერესების შესახებ.

დე-ჟუვენელმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ მან დამაკმაყოფილებლად მოაწესრიგა სირიის და პალესტინის თანამშრომლობის საკითხი.

კომინტერნში

იტალიის კომუნისტური პარტიის ყრილობა

იანვარში მოხდა იტალიის კომუნისტური პარტიის მესამე ყრილობა. ამ ყრილობამ გაარჩია შინაპარტიული და ტაქტიკური საკითხები და დიდი უმრავლესობით მიიღო რეზოლიუციები, რომელიც პარტიის პოლიტიკას განსაზღვრავენ. როგორც პარტიის ცენტრალური ორგანო აღნიშნავს, დელეგატების 91 პროცენტმა ხმა მისცა ცენტრალური კომიტეტისა და კომინტერნის ხაზს, ხოლო 9 პროცენტი ბორდიგას ჯგუფის თვალსაზრისს მიემხრო. იმისდამიუხედავათ, რომ ფაშისტური ტერორი მძვინვარებს და კომპარტია არალეგალურად მუშაობს, ყრილობა კარგად იყო მომზადებული: მას წინ უსწრობდა ხანგრძლივი პარტიული კამათი, რომელშიც მთელმა აქტივმა მიიღო მონაწილეობა. ასე რომ ყრილობა სწორად გამოჰხატავდა პარტიულ მასაში არსებულ განწყობილებას. აღსანიშნავია, რომ დელეგატებს შორის მრავალი დაზგის მუშა იყო, რომელნიც გამოუკლებლივ წინააღუდგენ ბორდიგას ჯგუფის უკიდურეს მემარცხენე პოლიტიკას. მემარცხენე ჯგუფში მხოლოდ ერთად ერთი ინდუსტრიული მუშა იყო.

წარსული დისკუსიის შემდეგ, რომლის განმავლობაში ბორდიგას ჯგუფი კომინტერნისა და ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ აშკარა ფრაქციულ მუშაობას აწარმოებდა, ადვილი გასაგებია, რომ პარტიულმა ყრილობამ ანგარიშები გაასწორა ულტრა-მემარცხენე მიმართულებასთან. თვით პარტიული ყრილობის შემადგენლობამ დაამტკიცა, რომ უკიდურეს მემარცხენეებს პარტიაში არავითარი მნიშვნელოვანი გავლენა არ აქვთ. პარტიის ცენტრალური ორგანო სამართლიანად ამტკიცებს, რომ ყრილობაზე მხოლოდ **ერთად ერთი** ორგანიზაციულად მოწყობილი ოპოზიცია იყო, სახელდობრ ბორდიგას ჯგუფი, რომელიც სასტიკად დამარცხდა. დაზგის მუშები გარკვეულად ამჟღავნებდნენ უკიდურეს მემარცხენეების შეცდომებს და გულახდილად აღიარებდნენ, რომ ისინი შეცდომაში [illegible] ესმოდათ განსხვავება ცენტრალურ კომიტეტსა და ბორდიგას ჯგუფს შუა. მემარჯვენე ოპოზიცია პარტიულ ყრილობაზე არ ყოფილა. მაგრამ ცენტრალური კომიტეტი დარწმუნებულია, რომ მუშურ-გლეხური მთავრობის, სოციალ-დემოკრატიის როლის და სახელმწიფოს თეორიის საკითხში, ერთგვარი მემარჯვენე განწყობილება არსებობს.

დიდი დრო დასჭირდა კამათს საერთო ფრონტის ტაქტიკისა და პროფესიული კავშირების საკითხის გარშემო. მუშა დელეგატებმა აღნიშნეს საერთო ფრონტის ტაქტიკის წარმატება და საუკეთესო პერსპექტივები. სამხრეთ იტალიის დელეგატების მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ გაერთიანების პოლიტიკამ დაწინაურებულ კომუნისტ მუშებსა და უპარტიო ორგანიზაციებს შორის საუკეთესო ნაყოფი გამოიღო. ის ფაქტი, რომ იტალიის „წითელი დახმარების" ორგანიზაციაში 130 ათასი წევრია, ამტკიცებს, რომ კომუნისტების გავლენა მუშათა კლასში ბევრად უფრო ძლიერია. ვიდრე პარტიული წევრების რიცხვის მიხედვით შეგვეძლია გავზომოთ. ზედმიწევნით სწორი ანგარიშით, იტალიის კომუნისტურ პარტიაში 30 ათასი წევრი ითვლება.

კომუნისტების გავლენა ძლიერდება აგრეთვე ეგრედ წოდებულ თავისუფალ პროფკავშირებში. მრავალ რაიონში, მაგალითად ტრიესტსა, ტრევიზოსა, გენუასა, ვენეციასა, პადუასა, მესინასა, ნეაპოლსა, ბარისა, ფლორენციასა, ლივორნოსა და სხ. კომუნისტებს უმრავლესობა ჰყავთ. პარტიულმა ყრილობამ ერთსულოვნად გამოსთქვა ის აზრი, რომ პარტიამ ბრძოლა უნდა აწარმოვოს თავისუფალ პროფკავშირების დასაცავად ფაშისტური ტერორის წინააღმდეგ. მხოლოდ სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ პარტიაში უკიდურეს მემარცხენე ელემენტების მოღვაწეობის გამო ჯერ კიდევ ძლიერია პროფესიულ კავშირების საწინააღმდეგო სულიერი განწყობილება. საკითხზე ყრილობაზე ერთგვარი ბუნდოვანობა იყო გამეფებული.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ იტალიის კომუნისტური პარტიის ყრილობამ დაამტკიცა, რომ ფაშისტური ტერორის მიუხედავათ, კომპარტია რაზმად დარჩა და მან დიდი ნაბიჯიც გადასდგა მუშათა ფართო მასსების დაპყრობისაკენ.

რა ხდება უცხოეთში

ფერად კანიანების დევნა სამხრეთ-აფრიკის კავშირში

სამხრეთ-აფრიკაში ახლა ისეთი ამბები ხდება, რომ უსათუოდ ყურადღების ღირსია. ამ ქვეყნის თეთრკანიანმა ბურჟუაზიამ (სამხრეთ-აფრიკაში 7 მილიონ მცხოვრებზე 1.500.000 თეთრკანიანია) სასტიკი ომი გამოუცხადა ქვეყნის მცხოვრებთა დიდ უმრავლესობას ფერადკანიანებს (ზანგებს, ინდოელებს და სხვ.).

ბრძოლა „მშვიდობიანი" საშუალებებით სწარმოებს. თეთრკანიანები სარგებლობენ იმით, რომ მხოლოდ მათ აქვთ საარჩევნო უფლება და თავისი პარლამენტების საშუალებით გაჰყავთ კანონები, რომლებიც ფერადკანიან მოსახლეობას ართმევენ ელემენტალურ ადამიანურ უფლებებს, მათ რიცხვში—უფლებას შრომაზე.

მთავრობის კოალიციას, რომელშიც შედის ორი პარტია—ეროვნული, რომელიც იცავს ფერმერების ინტერესებს, და— „მუშათა", რომელიც იცავს (თეთრკანიან) მუშათა არისტოკრატიის ინტერესებს,—პარლამენტში შეტანილი აქვს ორი, თავისი ცინიზმით აღმაშფოთებელი კანონპროექტი.

პირველი მათგანი არის ე. წ. „კალორბარ ბილლ", რაც ნიშნავს „ფერადკანიანების შემზღუდავი კანონი". ამ კანონის თანახმად, მომავალში ყველა იმ პირებმა, რომლებსაც სურთ მუშაობა მაღაროებში და ფაბრიკა-ქარხნებში დირექტორების, ზედამხედველობის, მემანქანეების ან მექანიკოსების ან სხვა რაიმე თანამდებობაზე, მოვალენი არიან იქონიონ შესაფერი მოწმობები მთავრობის ორგანოებისაგან. კანონპრექტში გარკვევით არის ნათქვამი, რომ ასეთი მოწმობები არ მიეცემათ ფერადკანიანებს.

მეორე კანონს ეწოდება „მოსახლეობის მომწესრიგებელი კანონი." თავისი ცინიზმით იგი არაფრით არ ჩამოუვარდება პირველს. იგი მიმართულია უმთავრესად ინდოელების წინააღმდეგ. კანონის მიზანი ასე განმარტა პარლამენტში მინისტრმა მალანმა: „კანონი ეყრდნობა იმ მოსაზრებას, რომ ინდოელები, როგორც რასსა, მოსახლეობის უცხო ელემენტს წარმოადგენენ და რომ ამ საკითხის მიზანშეწონილად გადაჭრა შეიძლება მხოლოდ ინდოელების რიცხვის შემცირებით. კანონი ცდილობს მიაღწიოს ამ მიზანს „შესაფერი გავლენის მოხდენით".

რა გავლენაზეა აქ ლაპარაკი.

პირველ ყოვლისა ინდოელებს შეუზღუდეს უძრავი ქონების შეძენის ან იჯარით აღების უფლება. ქონების შეძენა ან იჯარით აღება მათ შეუძლიათ მხოლოდ განსაზღვრულ პუნქტებში.

ეს კიდევ ცოტაა. კანონი უკრძალავს ინდოელებს მიწის ყიდვას ან იჯარით აღებას მთელი სამხრეთ-აფრიკის საზღვრებში გარდა 50 კილომეტრი სიგანის მქონე სანაპირო ხაზისა ნატალის პროვინციაში.

გარდა ამისა ინდოელებისათვის შეზღუდულია სხვა ქვეყნებიდან ოჯახის წევრების ჩამოყვანის საშუალება.

ამ ცინიკურმა კანონებმა აღშფოთება გამოიწვიეს არა მარტო სამხრეთ-აფრიკის კავშირში, არამედ მის გარეთაც. მოსახლეობის დიდი უმრავლესობის— ფერადკანიანების აშკარათ გამოცხადებამ მეორე ხარისხოვან მოქალაქეებათ, ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა მთელს აფრიკაში. სამხრეთ-აფრიკის ყოფილმა პრემიერმა, ახლა ოპოზიციის მეთაურმა სმეტსმა განაცხადა: „კანონის შედეგები კატასტროფიული იქნება. მთელი სამხრეთ-აფრიკის ფერადკანიანებს უკმაყოფილება და აღშფოთება მოედვა. ეს კანონები წარმოადგენენ თოფის წამლის საწყობში გადასროლილ ყუმბარას".

ინდოელების უფლების ასეთმა შეზღუდვამ უდიდესი აღშფოთება გამოიწვია აგრეთვე ინდოეთში, საიდანაც ცენტრალურ მთავრობას აუარებელი პროტესტები ეგზავნება.

მუშათა საერთაშორისო მოძრაობა

მუშა-ზანგების მდგომარეობა ამერიკაში

შეერთებულ შტატებში ამაყ ამერიკელებს არ სურთ მოგზაურობა ერთ ვაგონში ზანგთან. ამიტომ ზანგებს არ უშვებენ ყველა ვაგონებში. მათთვის სპეციალური ვაგონებია დანიშნული. მაგრამ „დემოკრატიულ" ამერიკაშიც არსებობენ გამონაკლისები კანონიდან. ასეთ გამონაკლის ამერიკაში წარმოადგენენ პირველი კლასის ვაგონები.

მკითხველმა არ უნდა იფიქროს, რასაკვირველია, რომ თითქოს ასპროცენტიანი ამერიკელები, რომლებიც პულმანის რბილ ვაგონებით მოგზაურობენ, იყვენ გამსჭვალულნი დემოკრატიული იდეებით. არა. აქ საქმე უფრო მარტივია. მოგზაურობა ზანგთან ერთ ვაგონში ამერიკელისათვის შეურაცხყოფაა, მაგრამ შეიძლება ზანგი გამყოლის ყოლა.

განა შეიძლება სხვა ვინმეს გაუვლეფა ასე განუკითხავად და უზომოდ, როგორც ზანგის? რომელი ამერიკელი მუშა დასთანხმდება იმუშაოს პირუტყვივით, არ იძინოს (მთელი ღამის განმავლობაში ფხიზლად უნდა იყოს: იქნებ „ბატონს" რამე დასჭირდეს), ხელფასათ მიიღოს გროშები!

ამიტომ არის, რომ პულმანის კომპანიას გამყოლებათ მხოლოდ ზანგები ყავს. მათი რიცხვი 12.000 აღემატება.

ყველა ისინი შეუკავშირებელი არიან და გაფანტულობის გამო არ შეუძლიათ ბრძოლა თავისი რასიული და ეკონომიური ინტერესებისათვის. თეთრკანიანი რკინისგზელები, დაწყებული მეისრეთი და გათავებული ინჟინრით, დარაზმული არიან პროფკავშირებში. მხოლოდ 12.000 ზანგ-გამყოლს ვერ მოუპოვებია თანასწორობა. მათი მხრივ პროფკავშირის დაარსების ცდას სასტიკ წინააღმდეგობას უწევენ არა მარტო რკინისგზების მეპატრონეები, არამედ შეერთებული შტატების მთელი ბურჟუაზია.

მაგრამ ვაგონების გამყოლები ზოგჯერ (როცა ყვლეფა და დამცირება საზღვარს [illegible]) ცდილობენ შეკავშირებას. ასეთ [illegible] წინათ. ზანგმა-გამყოლებმა მოითხოვეს გათანასწორება თეთრ-კანიან რკინისგზელებთან. ბურჟუაზიის კამპანიამ ამ „თავხედური" მოთხოვნილების წინააღმდეგ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ეს კამპანია ჩატარებული იქნა პულმანის კომპანიის დირექტორის რობერტ ლინკოლნის მეთაურობით. რობერტ ლინკოლნი არის შვილი ავრაამ ლინკოლნის, რომელმაც 1863 წ. მოსპო მონობა ამერიკაში.

სახელგანთქმული მამის ამ ულირსმა შვილმა დაიწყო იმით, რომ დაითხოვა მოძრაობის ყველა ხელმძღვანელები და ორგანიზატორები. შემდეგ მან კავშირი შეკრა შავ სამღვდელოებასთან და ზანგების ბურჟუაზიასთან. ამას შედეგათ მოჰყვა ის, რომ ზანგი გამყოლი სადაცარ მიბრუნდებოდა ყველგან უარყოფით დამოკიდებულებას ხვდებოდა მოძრაობისადმი.

მაგრამ გამყოლების მხარეზე იყო ზანგ-მუშების სიმპატიები. ზანგ-მუშების განკარგულებაშია რამდენიმე გაზეთი. ბრძოლა გახანგრძლივდა. ბურჟუაზიამ ბრძოლის ასპარეზზე გამოიყვანა ახალი მოკავშირე—ამერიკული შრომის ფედერაცია, რომელსაც რეფორმისტები ხელმძღვანელობენ.

საქმე იმაშია, რომ ზანგ-მუშების მიღება პროფკავშირებში ძლიერ გაძნელებულია. ზანგ-მუშებს სრულიად არ იღებენ კვალიფიციურ მუშების პროფკავშირებში.

ეს გარემოება დიდ უკმაყოფილებას იწვევდა ზანგ-მუშებში და აძლიერებდა მათ შორის დამოუკიდებელი პროფკავშირების შექმნის ტენდენციას.

ამ განწყობილებამ გამოხატულება ჰპოვა ზანგ-მუშების უკანასკნელ კონგრესზე.

ბურჟუაზიის მოხოვნით რეფორმისტულმა პროფკავშირებმა გააუქმეს ზოგიერთი დაბრკოლებანი ზანგ-მუშების შესასვლელად პროფკავშირებში და ამრიგად შეეცადენ ნიადაგი გამოეცალათ მოძრაობისათვის ზანგ-მუშების დამოუკიდებელი პროფკავშირების სასარგებლოდ.

მაგრამ რეფორმისტების ამ ცდამ შედეგი [illegible] ზანგმა-გამყოლებმა არ დაჰყარეს იარაღი და დღემდი განაგრძობენ ბრძოლას თავისი ადამიანური და ეკონომიური უფლებებისათვის.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

სპარსელი ვაჭრები კამენევთან

მოსკოვი, 2 აპრილი. საგარეო და შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარს ამხ. **კამენევს** ეწვია სპარსელ ვაჭრების დელეგაცია სპარსეთის საელჩოს სავაჭრო ატაშეს ნამიდ - ხანის თანხლებით. წვეულებას დაესწრო ნიჟეგოროდის ბაზრობის კომიტეტის თავმჯდომარე **მალიშევი**. დელეგაცია საუბრის დროს შეეხო ორივე ქვეყნის სავაჭრო ურთიერთობის საკითხებს.

კამენევი გაეცნო დელეგაციის მიერ გამოთქმულ სურვილებს, და აღუთქვა მას დახმარება საბჭოთა კავშირის და სპარსეთის სავაჭრო ურთიერთობის გაადვილების საქმეში.

ამხ. ტრილასერის დანიშვნა

მოსკოვი, 2 აპრილი. საკავშირო ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით მიხეილ აბრამისძე ტრილასერი დაინიშნა საბჭოთა კავშირის გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს თავმჯდომარის მოადგილედ.

ღირსეული სასჯელი

ლენინგრადი, 2 აპრილი. საგუბერნიო სამმართველომ კოსტრომის და იაროსლავის გაერთიანებულ სელის ფაბრიკების ლენინგრადის განყოფილების გამგეს ილინს 70,000 მანეთის გაფლანგვისათვის დახვრეტა მიუსაჯა.

სახელმწიფო ბიუჯეტი

მოსკოვი, 2 აპრილი. საბჭოთა კავშირის ცაკის საბიუჯეტო კომისიის პლენუმის დილის და საღამოს სხდომამ 1 აპრილს მოუნდა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილის მუხლობრივ გარჩევას. ცხოველი აზრთა გაცვლა - გამოცვლა გამოიწვია ფინანსთა საბჭოს ვარაუდმა არაპირდაპირ გადასახადების და აქციზის დარგში.

საფეიქრო მანქანების მიღება

მოსკოვი, 2 აპრილი. თებერვლის ბოლო რიცხვებიდან უცხოეთიდან დაიწყო იმ საფეიქრო მანქანების მიღება, რომელიც ინგლისში და გერმანიაში იყო შესყიდული. 1 აპრილამდე მურმანსკის ნავთსადგურიდან მოვიდა 2012 ტონა ინგლისური მანქანა, ბალტიის ზღვის ნავთსადგურებიდან —770 ტონა გერმანული და 130 ტონა ინგლისური მანქანა; რკინისგზით გერმანიიდან მიღებულია 100 ტონა მანქანა.

სულ მარტის განმავლობაში მიღებულია 223 ვაგონი, რაც 7 მატარებელს შეადგენს. ეს რაოდენობა მხოლოდ შესყიდული მანქანების ერთ ნაწილს შეადგენს, დანარჩენების მიღება გაგრძელდება მახლობელ თვეებში.

აღმშენებლობა 1925-26 წელში

მოსკოვი, 2 აპრილი. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში საამშენებლო დარგის მუშაკთა ცეკას თავმჯდომარე **ბოგდანოვმა** განაცხადა, რომ 1925—26 წლის განმავლობაში აღმშენებლობისთვის ნავარაუდევია 900 მილ. მანეთი, რაც წინა წლის აღმშენებლობას 50 პროცენტით აღემატება. საამშენებლო დარგის მუშების კადრი მიმდინარე წელს დაახლოებით 800.000 კაცს უდრის. საკავშირო ორგანოები იღებენ ზომებს საამშენებლო მუშაობის დასაწყებათ გაზაფხულზე. წარსული სეზონის პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ სოფლებიდან ქალაქებში ჩამოსული მუშები ვერ არიან უზრუნველყოფილი ბინის მხრივ. სამეურნეო ორგანოებთან და კერძო მწარმოებლებთან შეთანხმების გზით კავშირი მიაღწევს სასეზონო მუშების ბინით უზრუნველყოფას. მომავალ სეზონში სათანადო ორგანოებში საბოლოოდ გადაწყვეტილ იქნება საკითხი საამშენებლო დარგის მუშების სოციალურ დაზღვევის შესახებ.

საგარეო ვაჭრობა

მოსკოვი, 2 აპრილი. საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმის პლენარულ სხდომაზე მოსმენილ იქნა საგეგმო კომისიის სავაჭრო სექციის დასკვნა ვაჭრობის სახ. კომისარიატის მოხსენების გამო კავშირის საგარეო ვაჭრობის შედეგების შესახებ 1924—25 წლის განმავლობაში.

პრეზიდიუმი ამ შედეგების შეფასების დროს აღნიშნავს, რომ წარსულ საოპერაციო წელს იმპორტის ზრდა იყო უფრო მნიშვნელოვანი ექსპორტთან შედარებით, რითაც შეიქმნა სავაჭრო ბალანსის პასიურობა 162 მილ. მანეთის რაოდენობით, მაშინ როცა 1923 — 24 წელში სავაჭრო ბალანსის აქტიურობა გამოიხატებოდა 83 მილ. მანეთში.

პრეზიდიუმი სთვლის, რომ ახლო მომავლისათვის საჭიროა უზრუნველყოფილ იქნეს სავაჭრო ბალანსის ისეთი აქტიურობა, რომელიც დაჰფარავს ვალიუტის მოთხოვნილებებს და, კერძოთ, შესაძლებლად გახდის სამანევრო სავალიუტო ფონდის დაარსებას.

უკრაინა

შაქრის წარმოება

ხარკოვი, 2 აპრილი. საბოლოოდ გამოირკვა შაქრის კამპანიის შედეგები უკრაინაში. **წელს უკრაინაში მუშაობდა 102 შაქრის ქარხანა, შარშან — 91. ქარხნებმა გამოუშვეს 46.500.000 ფუთი შაქრის ფხვნილი, 40%-ით მეტი, ვიდრე ეს ნავარაუდევი იყო.**

შაქრის თვითღირებულება წელს შარშანდელთან შედარებით შემცირდა 84 კაპიკით ფუთზე. ამჟამად განაგრძობს მუშაობას 11 სარაფინადო ქარხანა. 1 აპრილისათვის ამ ქარხნებმა დაამზადეს 18 მილ. ფუთი რაფინადი, საწარმოვო პროგრამაზე 80%-ზე მეტი. რაფინადის წარმოება დამთავრდება მაისში.

საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანია

მოსკოვი, 2 აპრილი. რ. ს. ფ. ს. რ—ის მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარმა სმირნოვმა „როსტა"-ს თანამშრომელთან საუბრის დროს საგაზაფხულო სასოფლო - სამეურნეო კამპანიის შესახებ განაცხადა, რომ **საგაზაფხულო კამპანია ვითარდება იმ დროს, როცა ჩვენმა სასოფლო-მეურნეობამ თითქმის სრულიად მიაღწია ომის წინა დროინდელ დონეს:**

ნათესების სივრცე 1916 წლის სივრცის 95 პროცენტს უდრის, მესაქონლეობა — 90%, ტეხნიკურ კულტურების თესვა ომის წინანდელ ნორმებს აღემატება, რამაც ხელი შეუწყო საგლეხო მეურნეობის საქონლიანობის ზრდას. ამიტომ საადგილ - მამულო ორგანოების მუშაობა მომავალ საგაზაფხულო კამპანიისათვის დამყარებული იყო არა იმდენად რიცხობრივ ზრდაზე, რამდენადაც ჩვენი სასოფლო მეურნეობის პროდუქციის თვისობრივ გაუმჯობესებაზე.

მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატი გზავნის სოფლად 500,000 ფუთამდე სათესლეს, რომელიც გლეხობას დაურიგდება ნისიათ, ორი წლის ვადით. გლეხობას მიეცემა 2 მილიონ ფუთამდე დახარისხებული სათესლე მასალა.

მარცვლეულობის საწმენდ პუნქტებში გლეხებს შეუძლიათ 20 მილ. ფუთი სათესლე მასალის გაწმენდა.

სოფლისათვის მანქანების და იარაღების მიწოდების გეგმის მიხედვით 54 მილ. მანეთი დასჭირდება. მიუხედავათ ფინანსიური ხელმოკლეობისა, გაზაფხულზე სოფლად გაიგზავნა 9000-დე ტრაქტორი.

„ჩვენს სასოფლო - მეურნეობაში —სთქვა დასასრულ სმირნოვმა—**დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს მთავრობის მიერ განსაკუთრებული 77 მილიონიანი ფონდის შექმნა საგლეხო მეურნეობათა გარდასაქმნელად გვალვიან რაიონებში"**.

საგარეო ვაჭრობა

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

მოსკოვი, 2 აპრილი. საკავშირო სახ. კომისართა საბჭომ საბოლოოდ განიხილა პროექტი დებულებისა ერთიანი სასოფლო - სამეურნეო გადასახადის შესახებ 1926 — 27 წლისათვის.

პროექტის თანახმად, გადასახადით იბეგრება მთელი მოსახლეობა, რომელსაც შემოსავალი აქვს მევენახეობისა, მესაქონლეობისა, სათიბებისა, სასოფლო - მეურნეობის სპეციალურ დარგისა და მიწათ-მოქმედების გარეშე სამუშაოსაგან.

ყოველ მეურნეობაში შემოსავალი იბეგრება არა ნატურალურად, არამედ ფულის ერთეულებში, როგორც მიმდინარე წელს.

სასოფლო - სამეურნეო გადასახადით არ იბეგრება მოჯამაგირეების, აგრონომების, ტყის გამგეების და მოსამართლეების სამუშაო ხელფასი. მცირე შეძლების მეურნეობანი თავისუფლდებიან გადასახადისაგან, თუ მათი შემოსავალი კანონით დაწესებულ მინიმუმს არ აღემატება.

კამათში აქტიური მონაწილეობა მიიღეს სახ. კომისართა საბჭოს წევრებმა და მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენლებმა, რომელნიც განსაკუთრებით დაინტერესებული იყვნენ ახალი კანონის პროგრესიით და გადასახადის მოკავშირე რესპუბლიკებს შორის მონაწილეობით.

საკავშირო სახ. კომისართა საბჭომ მიიღო პროექტი დებულებისა ერთიან სასოფლო - სამეურნეო გადასახადის შესახებ მთელ რიგ შესწორებებისა შეტანით. მიღებული კანონპროექტი წარედგინება საკავშირო ცაკის მეორე სესიას.

რემედასის პირველი ყრილობა

ბაქო, 2 აპრილი. 1 აპრილის საღამოს სხდომაზე სწარმოებდა კამათი დროებითი ცეკას მოხსენების გარშემო. კამათში გამოირკვა, რომ აზერბეიჯანის ცეკა ვერ არის საკმაოდ დაკავშირებული როგორც რემედასის ცენტრალურ კომიტეტთან, ისე ადგილებთან, მოისუსტებს გეგმიანი მუშაობა, განსაკუთრებით სოფლად. მუშაობა კლუბებში უმთავრესად კრებებით განისაზღვრება. შემუშავებულ იქნა ზომები რემედასის მუშაობის გასაცხოველებლად. აგიტპროპის მუშაობისათვის გამოყენებულ უნდა იქნეს ბაქოს რადიოსადგური, კინოფილმი და სხვ.

ყრილობამ მოიწონა დროებითი ცეკას მუშაობა. სოფლად მუშაობისათვის პრაქტიკულ ღონისძიებათა შესამუშავებლად არჩეულია 2 კომისია.

პარტიული ცხოვრება

ქალთა ორგანიზაციების მო[illegible]

„სოციალისტური საზოგადოების შენება დაიწყება მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენ მივაღწევთ რა ქალთა სრულ თანასწორობას, შეუდგებით ახალ მუშაობას ქალთან ერთად, რომელიც განთავისუფლებული იქნება წვრილ, ტვინის დამჩლუნგებელი, არა საწარმოო მუშაობისაგან".

ვ. ი. ლენინი.

ამ რამოდენიმე სიტყვაში უდიდესმა ბელადმა და კაცობრიობის განთავისუფლებისათვის მებრძოლმა დასახა ქალთა შორის მუშაობის მიზნები, ამოცანები და თვით პროგრამა. ჩვენ, რასაკვირველია, დეკრეტით ვერ მივაღწევთ „ქალების სრულ განთავისუფლებას", და რომ ეს ასე იყვეს, ჩვენ გვმართებდა ზეიმი, რადგან საბჭოთა სინამდვილეში ქალი უფლებრივობის მხრივ სავსებით გათანასწორებულია მამაკაცთან. სწორედ ამიტომ არ შეჩერდა ლენინი ამ დებულებაზე, არამედ განავითარა და გააფართოვა ის: როცა „შეუდგებით ახალ მუშაობას ქალთან ერთად"... მაგრამ იმისათვის, რომ ქალმა შესძლოს მამაკაცთან ერთად მუშაობა, საჭიროა მისი მომზადება ამ ახალი მუშაობისათვის, რადგან „ხანგრძლივმა დამჩლუნგებელმა და არა საწარმოო მუშაობამ, მოადუნა ქალში მისწრაფება საზოგადოებრივ მუშაობისაკენ, შემოქმედების ხალისი და ახალის შექმნის სურვილი". 1920 წლიდან დაწყებული კომპარტია მეცხრე ყრილობის დადგენილების თანახმად აწარმოებს სპეციალურ მუშაობას ქალთა შორის. იმავე წლიდან სწარმოებს ამ მუშაობის აღრიცხვა და ამავე წლიდან იზრდება მუშა და გლეხ-ქალთა მასების აქტივობა. რამდენადაც ძლიერია ეს ზრდა, მით უფრო რთულდება მუშაობა ქალთა შორის, მით უფრო საჭირო ხდება ხელმძღვანელობა. სწორედ აქ იწყება ახალი ხანა ქალთა შორის მუშაობის სფეროში. ქალთა ორგანიზატორების სახით წამოყენებული უფრო მეტად აქტიური და შეგნებული ქალები, სამწუხაროდ, ვერ არიან საკმაოდ მომზადებულნი იმისათვის, რომ აწარმოონ საორგანიზაციო მუშაობა ქალების საბჭოთა აღმშენებლობაში ჩასაბმელად.

აი რატომ სდგას საქართველოს კომპარტიის ცეკას ქალთა განყოფილების წინაშე საკითხი ქალთა ორგანიზატორების მომზადების შესახებ, რომლის ნაწილობრივად გადაჭრას ის შეუდგება მიმდინარე წლის აპრილიდან, ქალორგანიზატორთა სამთვიანი კურსების დაარსებით.

ადგილები განაწილებულია საბჭოთა საქართველოს ავტონომიურ რესპუბლიკებს და მაზრებს შორის შემდეგნაირად:

აფხაზეთს—2 ადგილი, აჭარისტანს—2, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქს—1, ქუთაისის მაზრას—2, ოზურგეთის—2, რაჭის—2, ლეჩხუმის—1, სენაკის—2, ზუგდიდის—2, გორის—2, დუშეთის—1, თბილისის—2, თელავის—1, სიღნაღის—2, ახალციხის—1, ახალქალაქის—1, ფოთის—1, სვანეთის—1.

ხსნის რა სამთვიან კურსებს, ქალთა განყოფილება მიზნად ისახავს მისცეს ქალთა ორგანიზატორების მცირე წრეს აუცილებელი ცოდნა პარტიულ და საბჭოთა ცხოვრების სფეროში და იმ საკითხების შესახებ, რომლებიც ქალთა ორგანიზატორებს ყოველდღიურ მუშაობაში ხვდებიან. ამის მიხედვით არის შემუშავებული პროგრამა.

სწავლის სურვილი და ენერგია, რომელსაც იჩენენ კურსებზე ჩამოსული ქალთა ორგანიზატორები, საქ. კომპარტიის ცეკას ქალთა განყოფილებას იმედს აძლევს, რომ კურსების მუშაობა ნაყოფიერი იქნება. ის ფიქრობს აგრეთვე, რომ ამ კურსების მუშაობით შეიქნება გამოცდილება შემდეგი საქმიანობისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცეკას ქალთა განყოფილება.

თფილისის ორგანიზაციის მე-3-ე რაიკომის პლენუმი

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მესამე რაიკომის პლენუმზე დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები:

საგიტაციო განყოფილების ანგარიში, ქალთა განყოფილების ანგარიში და ორგგანყოფილების ანგარიში.

საპროპაგანის მუშაობა

საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო რაიკომის წევრთა სწორი ხარისხობრივი აღრიცხვის ჩატარება. ამასთან ერთად სწარმოებდა იმ წევრების და კანდიდატების ხარისხობრივი შემადგენლობის დამატებითი აღრიცხვა. რომელნიც არ არიან გატარებული შემოწმებაში.

არა ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა პროპაგანდისტების სწორ ხარისხობრივ სიის შედგენას და წერა-კითხვის უცოდინარ და მცირე ცოდნის მქონე წევრების და კანდიდატების აღრიცხვას, რომელიც დამთავრებულ იქნა სამოსწავლო წლის დამდეგს.

წერა-კითხვის უცოდინარები და მცირე ცოდნის მქონე წევრები და კანდიდატები იგზავნებოდენ სალიკვიდაციო პუნქტებში. 1925—26 სამოსწავლო წლისათვის რაიონში მოწყობილია 2 შემოკლებული სკოლა, 10 უმაღლესი საბჭოთა-პარტიული სკოლა, 14 ნორმალური სკოლა, 7 ლენინური წრე, 5 სასოფლო სკოლა და 14 უპარტიოთა სკოლა. სულ მოეწყო 52 სკოლა 1547 მსმენელით. ასეთი იყო მდგომარეობა 1925 წლის შემოდგომისათვის, მაგრამ მუშაობის პროცესში მოხდა ერთგვარი ცვლილებები: მთელ რიგ მიზეზების გამო, სკოლების რიცხვი შემცირდა, მაგალითად: პოლიტცოდნის 14 ნორმალურ სკოლიდან სულ დატოვებულ იქნა 10, რადგან 2 ქართული და 2 რუსული სკოლა შემოკლებულ სკოლად გადაკეთდა. 7 ლენინურ წრიდან გაუქმებულ იქნა ორი წრე. ამჟამად ჩვენ 52 სკოლას მაგიერ გვაქვს 42 სკოლა, რომლებშიაც მსმენელთა რიცხვი 1382 კაცს უდრის.

სკოლების ორგანიზაციული ხელმძღვანელობა შემდეგში გამოიხატა: რაიკომებში [illegible] ძახება მოხსენებების წარმოსადგენად სკოლების მნიშვნელობის შესახებ, იმართებოდა მამასახლისთა თათბირები. სწარმოებდა აგრეთვე აგიტპროპორგანიზატორების გამოწვევა სკოლების მდგომარეობის გასაშუქებლად. სკოლებს წიგნები ეგზავნებოდა შეძლებისდაგვარად.

აგიტპროპორგანიზატორების და საგიტაციო-საპროპაგანდო კომისიების საგიტაციო კვალიფიკაციის ასამაღლებლად, საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების მიერ სათანადო ზომები იყო მიღებული

მასიური აგიტაციის დარგში არის დეფექტები, აგიტაციას კვლავ მყვირალა გამოსვლების ხასიათი აქვს, ის ნაკლებ არის დაკავშირებული წარმოების კონკრეტიულ პირობებთან. ტეხნიკური მხარეც ვერ არის დამაკმაყოფილებლად დაყენებული. კამპანიების ჩატარების აღრიცხვაში ბევრია ნაკლი.

თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების მიერ დავალებული კამპანიები თავის დროზე იყო ჩატარებული.

კამპანიები უჯრედებში, გარდა რეზოლიუციისა ცეკას ანგარიშის გამო, ჩატარებული იყო ადგილობრივი ძალებით.

პლენუმმა მოისმინა რა საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების ანგარიში, აღნიშნა მთელი რიგი მიღწევები და გაწეული მუშაობა სავსებით დამაკმაყოფილებლად სცნო.

პლენუმმა მოისმინა აგრეთვე მესამე რაიონის მუშა და გლეხ-ქალთა შორის მუშაობის განყოფილების მოხსენება.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილებამ მოაწყო ქალთა კომისიები შემდეგ უჯრედებში: 1) ტყავის ტრესტში, 2) საპნისა და ზეთის ტრესტში, 3) მშენებელთა კავშირის უჯრედში, 4) სად. ნავთლუღთან, 5) № 14 ქარხკომის უჯრედში, 6) ქალაქის სასაკლაოსთან, 7) ქალაქის საავადმყოფოსთან, 8) საქ. საფეიქრო სინდიკატთან, 9) სახალხო კვების უჯრედში, 10) ქალაქის აბანოებთან. სულ ქალთა კომისიებში მუშაობს 38 მუშაკი, მათ შორის 26 ქალი, 12 მამაკაცი. ქალები მონაწილეობას იღებენ სხვა კომისიების მუშაობაშიაც, მაგალითად: საორგანიზაციო კომისიაში მუშაობს 5 ქალი, საგიტაციო კომისიაში ჩაბმულია 8 ქალი, კომკავშირთან დამოკიდებულების კომისიაში მუშაობს 5 ქალი.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ქალთა განყოფილებამ ჩაატარა დელეგატ-ქალების გადარჩევის კამპანია ქალაქში და მაზრაში. რაიონში არის 10 სადელეგატო კრება. 8—მაზრაში და 2—ქალაქში. ქალაქში არსებობს განსაკუთრებული სადელეგატო კრება თურქ ქალთა კლუბთან—თურქ ქალებისათვის.

დელეგატ-ქალების შემადგენლობა რაიონში ასეთია: სულ დელეგატ-ქალების რიცხვი 339-ს უდრის, აქედან მუშა-ქალი—110, მოსამსახურე—11, დიასახლისი—69, გლეხი-ქალი—149.

ეროვნების მიხედვით შემადგენლობა ასეთია: ქართველი—70, სომეხი—86, რუსი—78, თურქი—93 და სხვ. ეროვნების—12. პარტიული შემადგენლობა: კომპარტიის წევრია 7 დელეგატი-ქალი, კომკავშირის—7, უპარტიო—325.

მუშაობა თურქ-ქალებს შორის სწარმოებს უმთავრესად მუსლიმან ქალების კლუბის შემწეობით, კლუბის გარშემო თავს იყრის 200-დე მუსლიმანი ქალი.

ქალთა განყოფილების მუშაობა პლენუმმა სავსებით დამაკმაყოფილებლად სცნო და მიუთითა აგრედვე დეფექტებზე, როგორიც არის ქალთა ორგანიზატორების არა საკმაო მომზადება ადგილებზე და ქალების არასაკმაო მონაწილეობა საბჭოთა სამეურნეო და პროფმუშაობაში.

№

ადგილობრივ ორგანიზაციებში

კომუჯრედის მოძრავი კრებები სოფლად

(ქვ.-ჭალა, გორის მაზრა)

ა. წ. 27 მარტს გადატანილი იქნა სოფ. კოდისწყაროში ქვ.-ჭალის კომუჯრედის კრება, რომელიც არის აღნიშნულ სოფლებზე მიმაგრებული. კრებას დაესწრო 5 პარტწევრი, 7 პარტკანდიდატი და 48 კაცი უპარტიო გლეხი. დღის წესრიგში იდგა საკითხი მოხსენება კოოპერაციის შესახებ, გაზ. „ახალი სოფლის" გავრცელებაზე და ადგილობრივი საკითხები.

პირველი საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. გ. ტოგონიძემ, რომელმაც ნათლად დაასურათა კოოპერაციის მნიშვნელობა. მომხსენებელს მრავალი შეკითხვები მისცეს.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიც უპარტიო გლეხებმა მიიღეს მონაწილეობა. გლეხები აღნიშნავდენ კოოპერაციის სარგებლობას, მაგრამ მაგრამ საყვედურს გამოსთქვამენ იმის გამო, რომ საქმე ვერ არის დაყენებული შესაფერისად და ამის გამო კოოპერატივები ზარალობენ.—გლეხები მოითხოვდენ, რომ კოოპერატივი, პირველი მოთხოვნილების საგნები ყოფილიყო უმთავრესად.

ამხ. მომხსენებელმა დაარწმუნა გლეხები, რომ კოოპერაციის მდგომარეობა თანდათან გამოსწორდა ადგილობრივ კოოპერატივის მიერ, იმ მიზნით, რომ უფრო უკეთ ემსახუროს კოოპერატივის წევრებს, ეწყობა საქონლის დატარება სოფლად.

გლეხობა კმაყოფილი დარჩა მოხსენებით და გამოსთქვა სურვილი ჩაეწეროს წევრათ კოოპერატივში. აირჩიეს ამხ. გიორგი ღვინიაძე, რომელსაც დაავალეს შეკრიფოს საწევრო ფული კოოპერატივისათვის.

გაზ. „ახალი სოფლის" გავრცელება დაავალეს ამხ. კოლია ღვინიაძეს, კრებაზე დამსწრე გლეხებმა იქვე გამოიწერეს 12 ეგზემპლიარი გაზეთი.

ადგილობრივ კითხვებში გაირჩა გლეხების მიერ დასმული ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის დაცვის საკითხი. უნდა აღინიშნოს, რომ კრება საქმიანი იყო და უაღრესად ცოცხლად ჩატარდა.

ე. კალანდაძე.

საყურადღებო მოხსენება

26 მარტს, მუშკოოპის კლუბის დარბაზში საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისიის წევრმა ამხ. **ჯორბენაძემ** მოხსენება გააკეთა მუშკოოპის ფურნის, ტრანსპორტის და ცენტრალურ კომუჯრედის გაერთიანებულ კრებაზე, პარტ დისციპლინის შესახებ. მან მარტივ და გასაგებ ენაზე გააშუქა კრების წინაშე პარტ-დისციპლინის დაცვის მნიშვნელობა.

მომხსენებელმა მოიყვანა მაგალითები პარტიული დისციპლინის დარღვევის შესახებ და აღნიშნა, რომ დისციპლინის დამრღვევნი სახელს უტეხენ პარტიას უპარტიო მასის ფართე ფენებში. რასაკვირველია, პარტია ცდილობს გამოასწოროს ასეთი წევრები, მაგრამ როდესაც ეს არ ხერხდება, მაშინ ის უკიდურეს ზომებს მიმართავს და პარტიის სახელის გამტეხებს აძევებს თავის რიგებიდან.

მომხსენებელს მისცეს უამრავი წერილობითი შეკითხვები, რომელზედაც მან სრულიად დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, რომელშიც მამაკაცებთან ერთად ქალებმაც მხურვალე მონაწილეობა მიიღეს, კრებამ შესაფერისი რეზოლიუცია გამოიტანა და ამავე დროს, სთხოვა ამხ. ორბენაძეს, რომ ასეთი მოხსენება ხშირად გააკეთოს უჯრედის კრებებზე.

მ. კიკნაძე.

ქალთა შორის

ხელმძღვანელობა სუსტია

(ხაკურალეშის თემი, ლეჩხუმის მაზრა).

დიდი ხანი არ არის, რაც ამ თემში ქალთა ორგანიზაცია დაარსდა. გლეხ-ქალთა შორის დიდია მუშაობის სურვილი, ისინი ძალიან ეტანებიან ორგანიზაციას, მაგრამ რადგანაც უკანასკნელი ჯერ ძალიან ახალი არის, ამიტომ მუშაობა მოისუსტებს. მაზრის ქალთა განყოფილება შესაფერისი ყურადღებით ვერ ეკიდება საქმეს.

მაზრის ქალთა განყოფილებამ უნდა მიხედოს ამ ახალ დაარსებულ ორგანიზაციას, თორემ ის დაიშლება.

მთისძირელი.

პოლიტსკოლების მუშაობა

(სართიჭალა)

თემში ირიცხება 12 პარტწევრი და 48 კანდიდატი. მათ შორის სამი ქალია. თემში სამი მოძრავი და ორი სტაციონალური პარტსკოლა არსებობს. მათ შორის სამი ქართულზე, ერთი გერმანულზე და ერთი რუსულ ენაზე. სკოლაში უკვე დაამთავრდა მეცადინეობა. მუშაობა საშუალოთ დამაკმაყოფილებლათ ჩატარდა. დანარჩენ სამ სკოლაში ახლო მომავალში მოხდება გამოშვება. უნდა აღინიშნოს, რომ მოძრავმა სკოლებმა დიდი სარგებლობა მოუტანა თემს. სკოლებში მსმენელებათ არიან უპარტიო სოფ. ინტელიგენცია და გლეხობაც, რომლებიც ძალიან ეცნობიან პოლიტიკურ ცოდნას.

შიშინაშვილი.

ახალგაზრდათა კომუნისტური გვარდია

ჩვენი უჯრედის საქმიანობა

(ქართული სამხედრო პოლიტსკოლა)

ქართული სამხედრო პოლიტსკოლის ახ. ლ. კ. კავშირის უჯრედი წარსული წლის ზაფხულის ბანაკობიდან დაბრუნების დღიდან შეუდგა კავშირის გაბმას სამხედრო და სამოქალაქო ახ. ლ. კ. კავშირის უჯრედებთან. ეს კავშირი მდგომარეობს იმაში, რომ უჯრედს გამოყოფილი ჰყავს აქტიური წევრები, რომლებიც მიმაგრებული არიან სხვა უჯრედზე. მიმაგრებული ამხანაგები ყოველთვის დადიან თავის უჯრედების კრებებზე. ხშირად იმართება გაერთიანებული კრებები სამოქალაქო უჯრედებთან ერთად.

17 მარტს მოეწყო გაერთიანებული კრება ჩვენი სკოლის და სამხედროვაჭრობის ახ. ლ. კ. უჯრედის. მოხსენება იქნა გაკეთებული პარიზის კომუნის 55 წლის თავის შესახებ. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. ანდღულაძემ, რომელმაც ვრცლად გააშუქა პარიზის კომუნის წარმოების ისტორია და მისი დამარცხების მიზეზები.

მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია მსმენელთა შორის. ასეთი კრებები არ არის იშვიათი. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს უჯრედს სამოქალაქო ორგანიზაციებთან კავშირის საქმე შესაფერის სიმაღლეზე აქვს დაყენებული.

გ. ჩიტაიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა საქართველო

მევენახეობის საჭიროებისათვის

ქუთაისი, 2 აპრილი. ბათომის ნავთსადგურში მიღებულია 25.000 ფუთი შაბიამანი და 7.000 ფუთი გოგირდი, რომელიც გამოწერილი ჰქონდა სასოფლო - სამეურნეო ბანკის ქუთაისის განყოფილებას.

შაბიამანი და გოგირდი განაწილებულ იქნება დასავლეთ საქართველოს საკრედიტო ამხანაგობებს შორის მევენახეებისათვის მისაწოდებლად.

ბეკონის ქარხანა

ახალ - სენაკი, 2 აპრილი. სამაზრო აღმასკომმა საქართველოს სახ. კომისართა საბჭოს წინაშე აღძრა შუამდგომლობა ახალ-სენაკის მაზრაში ბეკონის ქარხნის გახსნის შესახებ.

სამაზრო კოოპერატიული ქსელი

ახალ - სენაკი, 2 აპრილი. ამჟამად მაზრაში ითვლება 5 სარაიონო მთლიანი სამომხმარებლო საზოგადოება 10.983 წევრით და 68 კოოპერატივით.

სამაზრო საკრედიტო გეგმა

ახალ - სენაკი, 2 აპრილი. ახალ-სენაკის საკრედიტო საზოგადოებამ საქართველოს სასოფლო - სამეურნეო ბანკს წარუდგინა დასამტკიცებლად მიმდინარე სამეურნეო წლის საკრედიტო გეგმა 150.000 მანეთის რაოდენობით.

აღნიშნულ გეგმაში ნაგულისხმევია ასიგნობები: დასამზადებელ ოპერაციებისათვის — 50.000 მანეთი, მაზრის არტელებისათვის — 18.000 მანეთი და გლეხთა მეურნეობებისათვის, კრედიტის სახით, — 82.000 მან.

ყაჩაღების თავდასხმა

თელავი, 2 აპრილი. 31 მარტს 4 გლეხს, რომლებიც მთებიდან ბრუნდებოდენ, თავს დაესხა ორი შეიარაღებული პირი. გლეხებსა და ყაჩაღებს შორის მომხდარ შეტაკების დროს ერთი ყაჩაღი მოკლულ იქნა, ხოლო მეორე გაიქცა.

მოკლული აღმოჩნდა სოფ. ალვანის მცხოვრები თუში ალექსი შაურიძე, პროფესიონალი მძარცველი, რომელმაც ამ დღეებში ალაზანის ხიდთან გაძარცვა რამდენიმე კაცი.

მკვდარი სულების წინააღმდეგ

უკანასკნელ საარჩევნო კამპანიის დროს ბევრი საყვედურები გაისმოდა თემსაბჭოების ზოგიერთ წევრების მიმართ, რომ ისინი არ ესწრებოდენ სხდომებს და ცოცხალ მონაწილეობას არ იღებდენ საბჭოს მუშაობაში.

იყო ისეთი მაგალითებიც, როცა საბჭოს წევრი მთელი წლის განმავლობაში ერთხელაც ახლოს არ გაკარებია საბჭოს კარებს და მხოლოდ ქაღალდზე თუ ირიცხებოდა დეპუტატათ, თორემ სხვა მხრივ ის არაფრით არ წააგავდა საბჭოს წევრს.

ბევრ შემთხვევაში ეს საყვედური სავსებით საფუძვლიანი იყო. აქა-იქ მართლაც მოიძებნებოდენ ისეთი დეპუტატები, რომელთა საბჭოში არჩევაც გაუგებრობით თუ შეიძლებოდა აგვეხსნა. ისინი არავითარ ინტერესს არ იჩენდნენ საზოგადო საქმეებისადმი. მათი ყურადღება უმთავრესად საკუთარ მეურნეობის და პირად ინტერესებისაკენ იყო მიპყრობილი. ზოგჯერ კი საბჭოებში ისეთებიც იყვნენ, რომელნიც არც თავს არგოდენ არც სხვას.

ასეთი „დეპუტატები" უკანასკნელ არჩევნების დროს სავსებით ღირსნი იყვნენ იმ საყვედურების, რომელიც მათ მიმართ გაისმოდა საარჩევნო ყრილობებზე. მათ გლეხკაცობა უკვე განმეორებით აღარ ირჩევდა საბჭოში.

მაგრამ ხელაღებით მთელი ცოდვების მიწერა ამ უმოქმედო დეპუტატებზე არ შეიძლება. აქ უთუოდ ერთგვარი დანაშაული მიუძღვისთ თვითონ თემსაბჭოებსაც და მათ ხელმძღვანელებს. საქმე იმაშია, რომ ზოგჯერ საბჭოს მუშაობა ვერაა იმდენათ დამაკმაყოფილებელი, რომ მან მიიზიდოს ყველა წევრები და მათ ამ მუშაობაში მონაწილეობის წადილი გაუღვიძოს.

პირველყოვლისა აღსანიშნავია დროის უთადარიგოთ ფლანგვა. ჩვენ მიჩვეული ვართ ხშირ-ხშირ სხდომებს და გრძელ ოქმების წერას. თვით საქმის შესრულებაზე კი ბევრათ უფრო ნაკლებათ ვზრუნავთ. გლეხისათვის ხშირად თვითეული საათი მამასისხლად ღირს. საბჭოს ან მისი სექციების ხელმძღვანელები ამას ყოველთვის ანგარიშს არ უწევენ და ამრიგად დაუზოგავათ იფლანგება ძვირფასი სამუშაო საათები.

ერთხელ და ორჯერ საზოგადოებრივ მუშაობაში ახლად ჩაბმული გლეხი კიდევ მოდის ასეთ კრებებზე, მაგრამ, როცა სიტყვის შემდეგ ის საქმეს ვერ ხედავს, ის თანდათან შორდება საბჭოს ან მის სექციის მუშაობას.

ამჟამად მაგალითად სოფლად გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს. ხვნა-თესვის თვეებში, გლეხს ზოგჯერ ერთი დღე თავის სარჩოთ უღირს.

ამიტომ საჭიროა საბჭოს და მისი სექციების მუშაობა ისე სწარმოებდეს, რომ ის არ აფერხებდეს საბჭოს წევრების მეურნეობის მოვლას.

გარდა ამისა, უნდა შემოკლებულ იქნას სხდომების და კრებების რიცხვი და მუშაობის მთელი სიმძიმე უნდა გადატანილ იქნას დადგენილებათა ხორცის შესხმაზე და სისრულეში მოყვანაზე.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საბჭოს შემადგენლობის უმოქმედობა დამოკიდებულია არა მარტო წევრების თვისებებზე, მათ დაუდევრობა-გულგრილობაზე, არამედ თვით საბჭოს მუშაობის ჯეროვნად დაყენებაზე. ამაზე უნდა იფიქრონ თემსაბჭოების ახალ ხელმძღვანელებმა, თუ მათ უნდათ განდევნონ საბჭოს შემადგენლობიდან მკვდარი სულები.

დებირი.

ნახშიროსანი ვაჟკაცი
(ცაიში, ზუგდ. მ.)

მთვარიანი ღამეა. ირგვლივ სრული სიწყნარე. დამშვიდებულია ადგილობრივი აფთიაქის გამგე ილიკოც, რომელიც ზის აგუზგუზებულ ბუხართან და თავის პაწაწინა ბავშვებს ემუსაიფება. აქვე მყოფი ახალგაზრდა სტუმარიც ამ საერთო საუბარშია გართული. შუა ბაასში იქნებოდენ, როდესაც გარედან ძახილი მოისმა.

— ვინა ხარ?..—შესძახა დამშვიდებით ილიკომ.

— ვინ ვიქნები, კაცი ვარ, ადამიანი, ავადმყოფი მყავს და წამლისათვის მოვსულვარ —მოისმა გარედან.

— წადი, შვილო, კარები გაუღე—უთხრა ილიკომ ახლო მდგომ შვილს. ბავშვიც მიტრიალდა და სწრაფად შეასრულა მამის დავალება. ოთახში შემოვიდა [illegible] კაცი, რომელსაც პირი-სახე ნახშირით მოთხუპნული ჰქონდა, წელზე სავაზნე ჰქონდა ტყვიებით და ხელში „ბრაუნინგი" მოემართა.

— ამხანაგო! თქვენთან მოლაპარაკება მსურს. გაძლევ წინადადებას გარედ გამომყვე—მიმართა შემოსულმა ილიკოს.

— უკაცრავად, თუ სიტყვა გაქვთ ჩემთან, შეგიძლიათ აქვე მითხრათ და, თუ წამალი გნებავთ, ესეც ხომ ადვილათ მოსაგვარებელი საქმეა—უპასუხა თავაზიანათ ილიკომ.

— მე კარგად მესმის რა წამალიცა მსურს. ერთხელ და საბოლოოთ გაძლევ წინადადებას, რომ გარედ გამომყვე—არ იშლიდა თავისას მოსული და თანაც რევოლვერს ატრიალებდა.

ახალგაზრდა სტუმარი, კომკავშირელი არ დაიბნა, ის კომკავშირელი იყო და კომკავშირელს მამაცობაში აბა ვინ აჯობებს?

— ხელები მაღლა—შესძახა მან მომხდურს და რევოლვერიც მკერდში უსწორა. მოტყდა „ნახშიროსნის" ვაჟკაცობა. შეიქნა ყვირილ-კივილი, ხმაურობა, ყვირილი, იხელთა რა დრო დაუპატიჟებელმა სტუმარმა იკადრა გაქცევა.

მას აღმოაჩნდა მეორე ამხანაგი. მათ სურვილს შეადგენდა აფთიაქის გაძარცვა, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ.

კარგა ხანია ჩვენს მაზრაში ადგილი არ ჰქონია ასეთს მოვლენას და ვფიქრობ, მაზრის ადმინისტრაც. ამის წინააღმდეგ მიიღებს გადამჭრელ ზომებს.

ლიმი.

საბჭომ თაოსნობა უნდა გამოიჩინოს
(ს. სამება და ვანი, გურია)

მთელი გურია მდ. სუფსის მიერ გაყოფილია ორად. ვინ იცის ამ მდინარეს, რამდენი დესეტინა ნოყიერი მიწები გაუხრებია. მაგალითისათვის საკმარისია დავასახელოთ სოფელი სამება და ნაწილობრივ ვანი. მდინარემ წყალდიდობის დროს გააფუჭა საუკეთესო სახნავ-სათესი მიწების 50 პროცენტი. გურია ისედაც დიდ სივიწროეს განიცდის ამ მხრივ და ეს გარემოება კიდევ უფრო აუარესებს საქმეს.

გლეხობა ბევრჯელ შეეცადა, მაგრამ საჭირო ჯებირების აგება ვერ შესძლო. საჭიროა ადგილობრივმა საბჭოებმა მიაქციოს ამას ყურადღება. კოლექტიური მუშაობით შესაძლებელია დაფანტული მდინარის ერთ კალაპოტში ჩაყენება. ჯებირების გაკეთებით ორივე სოფელს 150 დესეტინა მიწა შეემატება.

დ. ვაჩეიშვილი.

უდანაშაულო „დამნაშავენი"
(წერილი სიღნაღის მაზრიდან)

აურაცხელ ხალხს მოეკრიბა თავი. მაჩხაანის ვერც ერთი შენობა ამდენ ხალხს ვერ დაიტევდა. სასამართლოს სხდომა ამიტომ თეატრის ეზოში იქნა გადატანილი.

ნაშუადღევის 12 საათი იქნებოდა, რომ თავმჯდომარის ზარი გაისმა. საბრალდებლო სკამზედ დასხდნენ მაჩხაანის რაიკომის ყოფ. მდივანი—ალექსი ბაიდოშვილი და მაჩხაანისვე რაიაღმასკომის ყოფ. თავმჯდომარე—ილო ჩერქეზიშვილი. გამოწვეულია 65 ვი გლეხკაცობა. აქვე არიან ექსპერტები.

ბაიდოშვილს ბრალს სდებენ შემდეგში: როცა ის იყო ქვემო მაჩხაანის სახალხო სახლის სამშენებლო კომისიის თავმჯდომარე, დაუდევრად და უყურადღებოთ ეპყრობოდა თავის მოვალეობას, რასაც შედეგათ მოჰყვა სახალხო სახლის ანგარიშების არევ-დარევა და 427 ფუთი ხორბლეულის და 192 სული ცხვარის ზარალი, ე. ი. ბოროტ-მოქმედება, რომელიც გათვალისწინებულია ს. ს. კოდექსის 111 მუხლის 1 ნაწილში.

მეორეს, ილო ჩერქეზიშვილს, საბრალდებლო ოქმის თანახმად, ჰქონდა რა ჩაბარებული ქვემო-მაჩხაანის სახალხო სახლის 1.885 მანეთი, ამ ფულიდან მიუთვისებია 248 მანეთი და 32 კაპ., ე. ი. ჩაუდენია ბოროტმოქმედება, რომელიც გათვალისწინებულია ს. ს. კ. 116 მუხლის 1-ლი ნაწილში.

სანამ ბრალდებულთა დაპატიმრება მოხდებოდა, ხალხში ტრიალებდა ისეთი ხმები, რომ ბრალდებულებმა გაფლანგეს და მიითვისეს ათასი თუმნები. ამ მითქმა-მოთქმამ და ხმებმა პრესაშიაც კი იჩინეს თავი.

დაიწყო მოწმეების დაკითხვა. დაკითხვიდან ირკვევა, თუ რამდენი შემოწირულება შემოვიდა სულ გლეხობიდან ცხვრით, ხორბლით ან ფულად. სხდომა მთელი დღე გასტანა, მაგრამ საკითხები მაინც ვერ ამოიწურა. იგი გრძელდება 23-საც. მოსმენილ იქნა ექსპერტების და ბუღალტერების აზრი. შეჯამდა მიღებული ციფრები და აღმოჩნდა, ბუზი სპილოთ ყოფილა გაზვიადებული. არავითარ გაფლანგვას, არავითარ მითვისებას არ ჰქონია ადგილი. ბაიდოშვილის ანგარიში ყველას მიერ აღიარებულ იქნა სწორად უკანასკნელ ერთ კაპეიკამდე. ილო ჩერქეზიშვილს ანგარიშებით დაუკლდა მხოლოთ ცხრა მანეთი.

ამასთანავე მთელ რიგ პასუხისმგებელ მუშაკთა დაკითხვიდან გამოირკვა, რომ, როგორც ბაიდოშვილი, ისე ჩერქეზიშვილი ყოფილან პატიოსანი და უანგარო მუშაკები. მათ ხელში გაუვლია ათას თუმნებს სახალხო ფულს და არ ყოფილა შემთხვევა, რომ ერთი კაპეიკი დაკლებოდესთ. ბანდიტიზმის მოსპობაში, ავანტიურის ჩაქრობაში, კოოპერაციის აღორძინებაში, სკოლების მოწყობაში, წყალ-სადენების მოწყობაში ესენი ყოფილან სამაგალითო მოღვაწენი.

ორი საათის თათბირის შემდეგ სასამართლომ გამოიტანა განაჩენი, რომლითაც ბაიდოშვილი და ჩერქეზიშვილი სრულიად გამართლებულ იქნენ. განაჩენი ხალხმა მიიღო აღტაცებით და ტაშის ძახილით.

დამსწრე.

სენაკი

საჭიროა ტრაქტორისტთა კურსების დაარსება. სენაკის მაზრ. მოსახლეობა უმთავრესად ხვნა-თესვას მისდევს. ჩვენი ხელისუფლება უკვე შეუდგა სასოფლო მეურნეობის ტრაქტორიზაციაზე ზრუნვას. ახლო მომავალში ალბათ ჩვენს მაზრაშიც დაიხვნება ყანები ტრაქტორების საშუალებით.

საჭიროა ამთავითვე ზრუნვა იმაზე, რომ იმ დროისათვის, (ეს კი არც ისე შორს არის) როდესაც მაზრას საკმაოთ ექნება ტრაქტორები, შესაფერისად მომზადებული ტრაქტორის მუშაკები გვყავდეს. ზედმეტი არ იქნება, რომ ახალ-სენაკის სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმთან გაიხსნებოდეს ტრაქტორისტთა კურსები.

ე. ჯანაშია.

ალბულალი

წითელი სასადილოა, თუ სამიკიტნო. ალბულალის კოოპერატივის გამგეობამ იჯარით გასცა კერძო პირზე წითელი სასადილო. მოიჯარადრე ტყავს აძრობს მუშა-მოსამსახურეებს. გარდა ამისა, სასადილოში არ არის დაცული სისუფთავე და უწესრიგობა სუფევს.

დიგი ჩიბათელი.

გაფლანგვის ხანი.
(ცაგერი, ლეჩხუმის მაზრა).

ცაგერში დაარსდა საკრედიტო ამხანაგობა. ამ ამხანაგობის გამგემ გაფლანგა 600 მანეთი. ის გაასამართლეს, ფული აზღვევინეს და გაანთავისუფლეს. შემდეგ მეორე გამგემ შეჭამა ფულები, ის დააპატიმრეს და გამსახლში ზის. მესამეჯერ ამხანაგობის ფული (900 მანეთი) მოლარე ყურაშვილმა გაფლანგა.

გაფლანგვა ცაგერის სამფგანშიც მოხდა. იქ მოქ. გეგეჭკორმა და ნადირაძემ გაფლანგეს ფულები, მაგრამ ისინი არავის დაუსჯია.

გლეხობა უკმაყოფილოა მით, რომ გამფლანგველებს სასტიკ პასუხს არ სთხოვენ.

გრამი.

ფხიზელი მილიცია.
(გორი).

26 მარტს, გორის გამასწორებელ სახლიდან გაიქცა 9 სისხლის სამართლის ბოროტმოქმედი. როგორც გამოირკვა, ისინი გასაქცევად ემზადებოდენ სამი დღის განმავლობაში. მეოთხე დღეს გასტეხეს სატუსაღოს კარები და გაიქცენ. თან გაიყოლეს 4 შაშხანა თოფი და ერთი რევოლვერი.

სამაზრო მილიციამ დააპატიმრა გაქცეულები სამი საათის შემდეგ სოფ. ავაზანში. გორის მაზრის მ. და გ. მილიცია მადლობის ღირსია ასეთი სიფხიზლისათვის.

სიკო.

წერილებიდან

სოფ. ლასურიაში
(ლეჩხუმის მაზრა)

მიწების ყიდვა-გაყიდვა ხდება. ამ სოფელში არის იშვიათი მიწის კოდექსის დარღვევა. არის მიწის „იჯარით" გაცემის და ყიდვა-გაყიდვის შემთხვევები. ადგილობრივი ხელისუფლება ღებულობს ზომებს, მაგრამ მაზრის საადგილ-მამულო განყოფილება არ ეკიდება საქმეს ჯეროვანი ყურადღებით.

ლი.

კიკაბის უბანი
(სურამის თემი, გორ. მ.)

წყალსადენის გამოყვანაში არავინ გვეხმარება. სოფელს არა აქვს წყარო. გლეხობა მონდომებულია გაიყვანოს წყალსადენი, მაგრამ ჯერ ერთი, მას სილარიბის გამო არ გააჩნია ამისათვის საჭირო ნივთიერი საშუალებები, ხოლო მეორე ის, რომ საჭირო თაოსნობას არავინ კისრულობს. სურამის თემის საბჭოს, რომელიც ახლად არის არჩეული, დავალებული აქვს ამ საქმის მოგვარება.

ს. ბლიაძე.

ახალდაბა
(გორის მაზრა)

მკლავჯაძე აქაც გაჩნდა. 29 მარტს, სოფელ ახალდაბაში ბორჯომიდან ჩამოვიდა ლ. ბლიაძე. ის გაილეშა სამიკიტნოში და შემდეგ გლეხებს დაერია. სხვას რომ ვერაფერი დააკლო, გლეხი იაგორ ბლიაძე ჩაიგდო ხელში და, ხალხი რომ არ ყოფილიყო, მოკვლას უპირებდა.

კოჭი.

ნოსირის თ. (სენ. მ.)

[illegible] ერბლებმა, კოხ-სამკითხველოსათვის კოხტა სახლი ააშენეს, გამგე კი სამაზრო პოლიტგანმა დაუნიშნა, მაგრამ სამკითხველო თითქმის 24 საათი დაკეტილია, თუ იკითხავთ რატომაა სამკითხველო დაკეტილი, გეტყვიან: „გამგე გალიჩაზე (მდინარის სახელია) წავიდა სათევზაოთ.

ასეთი გამგის დანიშნისათვის. მადლობას ვერავის ვეტყვით.

ჭ.

კლუბის შენობა არ გვივარგა
(გალი, სამურზაყანო)

დიდი ხანია რაც გლეხობა და მუშები კლუბის აშენებას მოითხოვენ, მაგრამ აღმასკომის დაპირებები, დაპირებათ რჩება, ხოლო კლუბის აშენებას არ დაადგა საშველი. არის პატარა დარბაზი ცხრა-წლედში, „მუშათა კლუბის" სახელწოდებით, სადაც გაკეთებულია მერხების ბუდის ოდენა სცენა, მაგრამ ისიც არ არის რიგიანათ მოწყობილი. რასაკვირველია, ასეთი დონით საკლუბო მუშაობა შორს ვერ წავა.

ქურო.

საგარეჯო
(გარე-კახეთი)

მადლობა საქართველოს საბჭოთა-სავაჭრო მუშაკთა კავშირის ცენტრ. გამგეობას. ს. საგარეჯოში კლუბი არ გვქონდა, წარსულ თვეებში საბჭოთა-სავაჭრო მუშაკთა კავშირის ადგილობრივმა კომიტეტმა, რომელიც აერთიანებს ორმოცზედ მეტ თანამშრომელს, დაადგინა „კლუბის" გახსნა საგარეჯოში და კიდევაც მოიყვანა სისრულეში თავისი დადგენილება. ამავე კავშირის კულტკომისიის ინიციატივით, კლუბი უკვე მზად არის. კლუბი არის ამხ. გ. ყურულაშვილის სახელობის. კავშირის ცენტრ. გამგეობამ სათანადო ლიტერატურა და საჭირო თანხა გაიღო კლუბის შეკეთებისა და ინვენტარის შესაძენად. ამ მოკლე ხანში მოხდება მისი გახსნა.

გარსიაშვილი.

სოფლის ქრონიკა

◆ **ახალციხის** საკრედიტო ამხანაგობამ დაადგინა გამოითხოვოს მთავრობიდან სესხად თანხები მაზრებში წყალსადენების გასაყვანათ.

◆ **რაჭის** აღმასკომმა უკვე დასახლა და მოაწყო ახალ ადგილზე სოფ. ზუბეულის მეწყერისაგან დაზარალებული 15 ოჯახი.

◆ **სურამის** აღმასკომმა შეუდგა კლუბის ახალი შენობის აგებას.

◆ **სარწყავი არხები.** ჯაყისბანის და ბოლოშეთის (ახალ. ქალ მ.) გლეხები შეუდგენ სოფლებში სარწყავ არხების გაყვანას.

რემედასის პირველი კონფერენციისათვის

დღეს, 3 აპრილს, იხსნება რემედასის სრულიად საქართველოს პირველი კონფერენცია. გავიდა ათი თვე რემედასის ცეკას გაფართოებულ პლენუმის შემდეგ, რომელიც მოწვეული იყო წარსული წლის მაისში. ამ ხნის განმავლობაში ჩვენი ორგანიზაციის მუშაობაში ბევრი რამ შეიცვალა.

რემედასის წევრთა რიცხვი გაიზარდა. 60.000 ნაცვლად ამჟამად ჩვენს ორგანიზაციაში ითვლება 80.000 წევრი.

მაისის პლენუმის დადგენილების თანახმად, ორგანიზაციის მეცადინეობა უნდა ყოფილიყო მიმართული მუშაობაში მშრომელ გლეხობის ფართო მასების ჩაბმისაკენ.

ჩვენს ორგანიზაციაში აქტივის შექმნის საკითხი აგრეთვე მნიშვნელოვანი იყო ჩვენი ორგანიზაციისათვის. ამჟამად მდგომარეობა გაცილებით უკეთესია. ჩვენ გვყავს 750 აქტიური წევრი, აქედან 90 პროც. უპარტიოებია.

შეიძლება გადაჭრით განვაცხადოთ, რომ რემედასმა ჩვენს რესპუბლიკაში დიდი ყურადღება დაიმსახურა მშრომელ მასებს შორის. და ეს გასაგებიც არის. რემედასის საქმე—მუშათა კლასის საქმეა.

ისტორიულ მტრის, ბურჟუაზიის წინააღმდეგ მშრომელთა ერთიანი ფრონტის გარეშე შეუძლებელია გამარჯვება.

შემდეგი მიღწევა, რომელსაც ხაზი უნდა გაესვას—ეს არის ის, რომ ამჟამად საქართველოში ყველა მაზრებში და ავტონომიურ რესპუბლიკებში ჩვენ გვაქვს რემედასის ორგანიზაციები.

1925 წლ. განმავლობაში ჩვენ გავგზავნეთ საქართველოდან 24.000 მანეთი რევოლიუციის მებრძოლთა დასახმარებლათ.

ორგანიზაციაში ჩაბმული არიან, როგორც წითელ არმიელები, ისე ახალგაზრდობა და პიონერები.

საკითხები, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ამ კონფერენციამ—შემდეგია:

გამომუშავებული უნდა იქნას მუშაობის გაღრმავების მეთოდები.

ჩვენ უნდა გადავიდეთ მეთოდიურ და სისტემატიურ მუშაობაზე უჯრედებში. ამიერიდან მუშაობის უმთავრეს ცენტრათ ჩვენ უნდა ვაღიაროთ რემედასის უჯრედი. ჩვენ უფრო უნდა დავუახლოვდეთ „რემედასის" მასას და მიტინგური მუშაობა შევცვალოთ მეთოდიური მუშაობით.

კონფერენციამ ხაზი უნდა გაუსვას გეგმიან სამუშაოზე გადასვლის საჭიროებას. გეგმიან მუშაობის გარეშე ვერ მივაღწევთ სასურველ შედეგებს.

ორგანიზაციის ყველა წევრთა აღრიცხვის და რემედასის ერთიანი საწევრო წიგნაკის შემოღების საკითხიც უნდა წარმოადგენდეს კონფერენციის განხილვის საგანს. 1924 წლიდან ჩვენ არ მოგვეხდინია ხელახალი აღრიცხვა და ჩვენთვის საჭიროა იმის გამორკვევა, თუ რამდენი წევრია ორგანიზაციაში.

შემდეგი საკითხია—საწევრო გადასახადების აკრეფის და ცენტრში გადაგზავნის საკითხი. საქმე იმაშია, რომ ადგილობრივ მომუშავე ამხანაგები ხშირად დიდხანს აჩერებენ გასაგზავნ თანხებს. ეს ხელს უშლის საერთო მუშაობას და კონფერენციამ უნდა სთქვას თავისი სიტყვა ამ საკითხზე.

განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეპყრას კონფერენცია რემედასის სასოფლო უჯრედების განმტკიცების და გლეხთა აქტივის შექმნის საკითხს.

რემედასის თანხიდან აპარატის შესანახავად ხარჯების გაწევის საკითხი სერიოზულად უნდა იქნას განხილული, ვინაიდან არიან ისეთი სამაზრო და საოლქო კომიტეტები, რომელნიც ხარჯავენ უფრო მეტს, ვიდრე ეს გათვალისწინებულია ხარჯთაღრიცხვაში ან სრულიად ხარჯთაღრიცხვის გარეშე იხარჯება თანხები და, რა თქმა უნდა, უფრო მეტი, ვიდრე ამის უფლება გვაქვს.

აი ის საკითხები, რომლებსაც უნდა მიაქციოს ყურადღება კონფერენციამ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი მუშაობის ყველა მტკივნეულ საკითხებს კონფერენცია სათანადოთ გადასჭრის.

ჯიჯაძე.

ეკონომიური ცხოვრება

რამდენად შეასრულეს ჩვენში საქონლის შემოტანის გეგმა

საერთოდ საბჭოთა კავშირში სამრეწველო საქონლის ნაკლებობის გამო, მიმდინარე წლის პირველი ხუთი თვის განმავლობაში საქართველოში საქონლის შემოტანის გეგმა სავსებით ვერ იქნა განხორციელებული.

უმთავრესად დანაკლისი შემოტანაში ემჩნევა ლითონებსა და მის ნაწარმოებს. გეგმით გათვალისწინებული იყო ამ საქონლის 363.000 ფ. შემოტანა, რეალურათ კი შემოტანილ იქნა 60.075 ფუთი, ანუ 16,8 პროც.

ასეთივე მდგომარეობას ვხედავთ სილიკატური საქონლის შემოტანის მხრივ, ეს საქონელი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 104 ვაგონისა, ხუთი თვის განმავლობაში შემოტანილია 45-ნახევარი ვაგონი, ანუ 43,7 პროც.

აღნიშნულ პერიოდში განზრახული იყო 39 ვაგონი ასანთის შემოტანა: ფაქტიურად კი შემოტანილ იქნა 23 ვაგონი ანუ 60 პროც.

შაქრის შემოტანის გეგმა შესრულებულია თითქმის სრული 100 პროცენტით.

ნაწილობრივი დანაკლისი ემჩნევა ფართლის შემოტანას. მიუხედავათ დიდი მუყაითობისა, ნაცვლად გათვალისწინებული 203 ვაგონისა ხუთ თვეში შემოიტანეს 190 ვაგონი, რაც შეადგენს 13.000.000 მეტრს საქონელს, ანუ საერთო გეგმის 83.3 პროცენტს.

რაც შეეხება ქაღალდის შემოტანას, მისი გეგმა შესრულებული იქნა 295 პროცენტით; კალოშების—70 პროცენტით და პურეულის—27 პროცენტით.

მარილის შესახებ უნდა ითქვას, რომ კიდევ საჭიროა 74.000 ფუთის შემოტანა.

კოოპერაცია

კოოპერატიული აპარატის გაუმჯობესებისათვის.

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექცია შეუდგა მუშაობას კოოპერატიული აპარატის გასაუმჯობესებლად.

ამ მუშაობას, რომელიც ჩატარებული იქნება ცენტრის დავალების თანახმად, მიზნად აქვს ნამდვილად გააუმჯობესოს კოოპერატიული ორგანიზაციების მნიშვნელოვანი დარგები და შეიმუშაოს საბოლოო დასკვნები და კონკრეტიული ღონისძიებანი კოოპერატიული აპარატის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად.

აღნიშნული მუშაობის მიზანს შეადგენს კოოპერატიული აპარატის რაციონალიზაცია, ურთიერთ კავშირის დამყარება სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში და გამომუშავება ნორმებისა, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელოს მომავალში კოოპერაციამ თავის მუშაობაში.

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობას საფუძვლად დაედება მასალები, რომლებიც მიღებული იქნა 1924—25 წელში ქვედა საფეხურის კოოპერაციის გამოკვლევიდან.

პირველ რიგში ჩატარებული იქნება მუშაობა საფინანსო-ოპერატიული მუშაობის სისტემის და მეთოდების გასაუმჯობესებლად და როგორც სოფლის, ისე ქალაქის კოოპერაციის საქმიანობის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად.

სასოფლო მეურნეობა

ექსკურსიების საკითხის განხილვა

ამ რამოდენიმე ხნის წინეთ თბილისში, ამიერ-კავკასიის სასოფ.-სამ. გამოფენის კომიტეტთან შესდგა განსაკუთრებული კომისიის სხდომა, რომელმაც განიხილა სასოფ.-სამ. გამოფენაზე გლეხების ექსკურსიის მოწყობის საკითხი.

სხდომაზე დაესწრენ გამოფენის კომიტეტის, „ზაკგოსტორგის", ა.-კ. საგეგმო კომისიის, საქართველოს პროფსაბჭოს, ა.-კ. ფედერაციის რესპუბლიკების მიწად-მოქმედების კომისარიატების და საქართველოს გლეხთა ცენტრალური სახლის წარმომადგენლები.

სხდომაზე მოსმენილ იქნა ა.-კ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს მოხსენება, გამოფენის კომიტეტთან საექსკურსიო ბიუროს დაარსების აუცილებლობის შესახებ. ამ ბიურომ უნდა გამოარკვიოს რაოდენობა გლეხებისა, რომელთა გატარება შესაძლებელი იქნება გამოფენაზე და ამასთან დაკავშირებული საკითხები.

კომისიამ გამოარკვია, რომ გამოფენაზე შესაძლებელი იქნება 5.000 გლეხის გატარება.

საქართველოს პროფსაბჭოს დაევალა, გამოფენის ხელმძღვანელ ორგანოსთან ერთად აღძრას შუამდგომლობა რკინის გზის წინაშე, რათა გლეხებს მიეცეს შეღავათები გამოფენაზე გამომგზავრების დროს.

ამასთან ერთად, გამოყოფილ იქნა კომისია ექსკურსიის დეტალური გეგმის დასამუშავებლათ.

მიწათ მოწყობა

ბორჩალოს მაზრაში

ბორჩალოს მაზრის ს. ილმაზლოს და ქესალოს მცხოვრებლებმა, რიცხვით 51 კომლმა, შუამდგომლობა აღძრეს საქ. მიწათმოქმ. სახ. კომისარიატის წინაშე, რომ რადგან მიწა საკმაო რაოდენობით არ მოეპოვებათ, მიეცეს მათ მიწა ყარაიაზის რაიონში, სადაც ისინი გადასახლდებიან.

მიწათ-მოქმ. კომისარიატმა იქონია მსჯელობა ამ საკითხზე და, გაითვალისწინა რა, რომ ყარაიაზში არ მოიპოვება თავისუფალი სამოსახლო ადგილები, ამავე დროს თვით ბორჩალოს მაზრაში კი შეიძლება გამოინახოს მიწების საკმაო რაოდენობა, გადასწყვიტა აღნიშნულ გლეხების შუამდგომლობის დასაკმაყოფილებლად შესაფერი ზომები მიიღოს მხოლოდ ბორჩალოს მაზრაში მიწათ-მოწყობის დამთავრების შემდეგ.

მიწათ-მოსაწყობი მუშაობა ამჟამად მთელ საქართველოში და კერძოდ ბორჩალოს მაზრაში გაცხოველებით მიმდინარეობს. მიწათ-მოწყობა ბორჩალოს მაზრაში გადასწყვეტს არა მარტო ილმაზლოს და ქესალოს მცირე მიწის მქონეთა მოთხოვნილებებს, არამედ ბორჩალოში შეიძლება გადასახლებულნი იქნენ გლეხები სხვა ადგილებიდანაც.

მელიორაცია

სოფლების მორწყვა ახალციხის მაზრაში.

საქართველოს სხვა მაზრებს შორის ახალციხის მაზრა ყველაზე უფრო გვალვიან მაზრათ ითვლება. მთელ რიგ სოფლებში წყალი სრულიად არ იშოვება და სასმელ წყლისათვის გლეხებს უხდებათ ძალიან შორს სიარული. გარდა ამისა, ახალციხის მაზრა ითვლება დიდ მოსავლიან კუთხედ. იქ მოდის განსაკუთრებით ისეთი ჭირნახული, რომელიც დიდათ არ საჭიროებს წვიმას და გვალვაშიაც ხარობს. მაგრამ იმ მიზნით, რომ მაზრაში იხეიროს სხვა კულტურებმა, საჭირო იქნება გვალვიან ადგილების მორწყვა.

ამ მიზნით სამაზრო აღმასკომმა დაავალა კომუნალურ განყოფილებას ჩაატაროს სოფლებში შესაფერი ტეხნიკური საგამოკვლევო მუშაობა და გამოარკვიოს, თუ პირველ რიგში რომელ სოფლებში უნდა იქნას გაყვანილი წყალსადენი და ან რომელი სახნავი ადგილები უნდა მოირწყოს.

ამჟამად წინასწარი მუშაობა უკვე მიმდინარეობს შემდეგ სოფლებში: უდე, ღელვანი, ადიგენი, მოხე, ენთელი, ვალე, ჯაყისმანი და აბალოშეთში.

ამავე დროს სამაზრო აღმასკომმა დაავალა სამაზრო სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობას გამოითხოვოს ცენტრიდან საჭირო თანხები აღნიშნულ სამუშაოთა ჩასატარებლად.

საგარაკო სეზონისათვის

დასასვენებელ სახლების გამგეობა

წელს დასასვენებელ სახლების ადმინისტრატიული გამგებლობა გადაცემული აქვთ სოციალური დაზღვევის რესპუბლიკანურ სამმართველოებს, რომელთაც დაკისრებული აქვთ დასასვენებელი სახლების ყოველგვარ ხარჯების დაფარვა, დასასვენებლად გაგზავნილ მუშა-მოსამსახურეთა შენახვა და სხვა. დასასვენებელი სახლების მდგომარეობა და აგრეთვე დასასვენებელ სახლებში ადგილების დანაწილების ზედამხედველობა და კანტროლი დაკისრებული აქვს საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს. წინა წლების მსგავსად, დასასვენებელ სახლებს ეყოლება თავისი გამგეობა, რომელშიაც შევლენ დამზღვევი ორგანოები და ცალკე კავშირების წარმომადგენლები.

სექტორები დასასვენებელ სახლებთან

წლევანდელ საგარაკო სეზონისათვის მოგვარებულ იქნა ერთი საკითხი, რომელიც გასულ წელს გაუგებრობასა ან უკმაყოფილებას იწვევდა მუშა- მოსამსახურეთა შორის. გასულ წელს ესა თუ ის მუშა- მოსამსახურე ვერ ხვდებოდა ვერც დასასვენებელ სახლში და ვერც სანატორიუმში იმ მიზეზის გამო, რომ არც ისეთი ავადმყოფი იყო, რომ სანატორიუმში გაეგზავნათ და არც საკმაო ჯანმრთელი, რომ დასასვენებელ სახლში მოხვედრიყო. ამ ნაკლის გამოსასწორებლად დასასვენებელ სახლებთან ეწყობა სპეციალური სექტორი ისეთი ავადმყოფებისათვის, რომელნიც სანატორიუმებში ვერ იგზავნებიან პირველ რიგში. სექტორი ეწყობა წაღვერის დასასვენებელ სახლთან, სექტორს ექნება თავისი სამზარეულო და სასადილო.

ადგილების რაოდენობა დასასვენებელ სახლებში

დასასვენებელ სახლებში წელს გაიგზავნება 5.000 მუშა-მოსამსახურე. დასასვენებელ სახლებში ადგილების რაოდენობა (საწოლებით) უდრის დაახლოებით—760. აქედან ყველაზე მეტი ადგილი აქვს წაღვერის დასასვენებელ სახლს, სადაც—350 საწოლია, შემდეგ მცხეთას—100 საწოლი, ბორჯომს—70, სურამს—50, გაგრას—30, წებელდას—20, შუამთას—20 და ბოდბეს—15.

ამ ჟამად ყველა ამ ადგილებში მიმდინარეობს გაცხოველებული მზადება. სწარმოებს ამ აგარაკების კეთილმოწყობა, სახლების შეკეთება და სხვა.

სამეცნიერო დაწესებულებებში

ა.-კ. სამეცნიერო ასოციაცია

სამეცნიერო გამოკვლევების გამოცემა

ამჟამად ამ.-კავკ. სამეცნიერო ასოციაცია დასაბეჭდათ ამზადებს ეთნოგრაფ ჩურსინის შრომას „აფხაზეთის ეთნოგრაფია". ამავე დროს სწარმოებს ყარაბაღის და ქურთისტანის საექსპედიციო გამოკვლევის დროს შეგროვილი მასალის მეცნიერული დამუშავება.

სამეცნიერო ექსპედიციის მოწყობა

აპრილის შუა რიცხვებიდან განახლდება სამეცნიერო ექსპედიციების მოწყობა. გამომუშავებული გეგმის მიხედვით ასოციაციის პირველი ექსპედიცია წელს მოეწყობა აჭარისტანში. ექსპედიციის სამუშაო პროგრამაში შედის საბჭოთა აჭარისტანის მოსახლეობის ყოფა - ცხოვრებისა, ეკონომიურ - სამეურნეო პირობებისა და ისტორიულ წარსულის დაწვრილებითი გამოკვლევა. ექსპედიციის მუშაობა ადგილობრივ — აჭარისტანში გაგრძელდება ორ კვირას. შემდეგ ექსპედიცია შეუდგება დაგროვილი მასალის დამუშავებას და რამოდენიმე თვის შემდეგ გამოსცემს შრომას, რომელშიაც შევა აჭარისტანის ისტორიულ, ეთნოგრაფიულ და ეკონომიურ - სამეურნეო მიმოხილვა.

მიმდინარე წლის ზაფხულში ასეთივე ექსპედიციები მოეწყობა დარალაგეზსა და ნახჩევანის მხარეში (სომხეთი).

სვანეთ - ხევსურეთის მეცნიერული გამოკვლევა

თავის საექსპედიციო მუშაობას ასოციაცია საფუძვლად უდებს პირველ რიგში ამიერ-კავკასიის იმ ხალხების და კუთხეების გამოკვლევას, რომელნიც შედარებით სხვებთან ეკონომიურად და კულტურულად ჩამორჩენილნი არიან. ასოციაციის შემდეგი მუშაობაც სწორედ ამ მიმართულებით იწარმოებს. კერძოთ ასოციაციის უახლოეს ამოცანას წარმოადგენს სვანეთის და ხევსურეთის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების და ეკონომიურ - სამეურნეო მდგომარეობის გამოკვლევა.

მუშათა ცხოვრება

ქორწინების ახალ კანონპროექტის შესახებ
(მუშის შენიშვნა)

დიდი კამათია გაზეთებში ქორწინების ახალი კანონპროექტის გარშემო. ამ ახალ კანონპროექტს ბევრი ჰყავს როგორც მომხრე, ისე მოწინააღმდეგეც. მხოლოდ მათ შორის არავითარი მონაწილეობა ჯერ-ჯერობით არ მიუღიათ კამათში მუშკორებს, რაც აიხსნება იმით, რომ მუშკორებში ნაკლებად მოიპოვებიან იურიდიულად მომზადებული მუშები და ძნელია მათთვის ასეთი ძნელი საკითხის გადაჭრა.

ამისათვის მინდა ორიოდე სიტყვა ვსთქვა ახალი კანონპროექტის გარშემო და განსაკუთრებით ხაზი გაუსვა რეგისტრაციის საკითხს. პროექტის ის მუხლი, რომელიც უფლებას ანიჭებს ყველას ურეგისტრაციოდ და ფაქტიურად იცხოვროს მეორე პირთან, მიუღებელია. თუ დღეს მამაკაცი არსებულ ქორწინების კანონებს არღვევს და ბოროტად იყენებს, რომ მასზე სუსტი ადამიანი (ქალი) დასჩაგროს, რეგისტრაციაში გაუტარებლობის შემდეგ მამაკაცი უფრო მეტი ბოროტებით ისარგებლებს ფაქტიურად სხვა პირთან კავშირით, რაც გამოიწვევს ოჯახის მთელს არევ-დარევას და ანარქიას.

შეუძლია თუ არა ცოლს კონტროლი გაუწიოს მის მეუღლეს ასეთ შემთხვევაში? ქალი, როგორც სუსტი არსება, ყოველთვის ვერ შესძლებს სასამართლოებში სდიოს მამაკაცს, რომელიც ბოროტი განზრახვით არა ერთსა და ორ ადამიანს გააუბედურებს. მართალია, საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებში სწორუფლებიანობა არსებობს ორივე სქესთა შორის, მაგრამ ეს ჯერ კიდევ ქაღალდზე სწერია დეკრეტის სახით, სინამდვილეში ბევრგან ვხედავთ უსამართლობას. ეს უსამართლობანი არსებობენ ჯერ-ჯერობით და კარგა ხანსაც იარსებებენ, სანამ ჩვენი სამეურნეო-სამრეწველო დონე არ იქნება აყვანილი იქამდე, რომ თავისუფლად შეგვეძლოს ახალი ქორწინების კანონპროექტის ცხოვრებაში მთლიანად განმტკიცება. ამისთვის საჭიროა რომ კანონპროექტის მუხლი რეგისტრაციის შესახებ გაუქმდეს.

მეორე მოსაზრება, რომელიც მიღებული უნდა იქნეს მხედველობაში, არის ის, რომ ქორწინების ახალი კანონპროექტი მარტო ქალაქში მცხოვრებთათვის ხომ არ უნდა იწერებოდეს. მას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს და მაშასადამე, აქ საჭირო მეტი შორსმჭვრეტელობა მისი ცხოვრებაში გატარების დროს და ისიც უმტკივნეულოდ.

როგორია ამ შემთხვევაში სოფლის ყოფა-ცხოვრების საკითხი? საქართველო გლეხური წვრილი მეურნეობის ქვეყანაა. მასში მრეწველობის განვითარებას ეყრება საფუძველი მხოლოდ საბჭოთა წყობილების დროს. ამისთვის საჭიროა ანგარიში გაეწიოს მოსახლეობის უმრავლესობას და კანონპროექტის ახალი დებულებანი მთლიანად მისაღები გახდეს განსაკუთრებით გლეხობისათვის. თუ კი რეგისტრაცია სავალდებულო არ იქნება, როგორც ამას კანონპროექტი ისახავს, მაშინ ეს კანონპროექტი გლეხობის უმრავლესობის თვალში ყოველივე ნდობას დაჰკარგავს და სოფლის ცხოვრების პირობებში დიდ არევ-დარევას შეიტანს.

ავიღოთ მაგალითისთვის სოფლის გლეხი. ხომ ყველამ კარგად ვიცით, რომ სოფლის და სხვაგან მცხოვრებ გლეხისათვის არსებობს ერთნაირი ორგანო „მმაჩის" სახით. სოფელი საბჭოთა ხელისუფლებას და ყველა იქ არსებულ ორგანოებს ნდობით უყურებს; თუ წინათ ის ალმაცერად უყურებდა „მმაჩის" ორგანოს და ერიდებოდა იქ მისვლას სხვადასხვა აქტების ჩასაწერად, დღეს სოფელი დარწმუნდა, რომ მას ხელისუფლება უადვილებს აქტების კანონიერ ნორმებში ჩამოყალიბებას და უქარწყლებს იმ რწმენას, რომლითაც ის შეპყრობილი იყო აქამდე „ღვთის შიშით" და მღვდელთან მირბოდა რჩევა-დარიგებისათვის; ასე რომ გლეხობა თანდათან ეგუება ასეთ წესს.

ახალი ქორწინების კანონპროექტი კი სავალდებულოდ არ ჰხდის რეგისტრაციას. როგორ შეხვდება სოფელი ასეთი მუხლის დაკანონებას? რასაკვირველია, უარყოფითად. რატომო, იტყვიან. აი რატომ. გლეხის ფსიქოლოგია ყოველივე ფაქტიურ ცოლქმრობას თავისებურად უყურებს. თუ ვინმე ასეთი იქნება სოფლად, მას „არაწმინდათ" უყურებენ და ათასნაირ ჭორს სთხზავენ მის წინააღმდეგ. განსაკუთრებით კი ამ შემთხვევაში ქალი იჩაგრება, რომელსაც მეტ სახელად „ხასას", ე. ი. „საყვარელს" არქმევენ და მას თავიანთ წრეში არ აჭაჭანებენ; მათ მიერ შობილ შვილებს კი დამამცირებელი „ბუშის" სახელით ნათლავენ.. . ეს ჯერ კიდევ ბევრგანაა დასავლეთ საქართველოში და, ვგონებ, აღმოსავლეთშიაც.

ყველაფერ ამას ანგარიში უნდა გაეწიოს ხელისუფლების მიერ.

მუშკორი უ. ჯაში.

რა პირობებში უხდება ზაჰესის მუშ. კომს მუშაობა

თბილისის ახლოს კეთდება გრანდიოზული საქმე (ელსადგური). ეს სადგური იქნა დაწყებული 1922 წელს სექტემბერში, დღიდან სადგურის დაწყებისა თანდათანობით ჩამოყალიბდა მუშათა კომიტეტი.

მუშათა კომიტეტს ჰქონდა და აქვს საქმე უმთავრესად გლეხურ ელემენტებთან. 1922-1925 წლამდე საქმე ფართოვდებოდა. 1925 წ. ნახევრიდან კი იწყო მუშაობის შემ- [illegible] უნდა შემცირებულიყო და შემცირდა კიდეც.

მაშინ, როდესაც მუშაობა ფართოვდებოდა, ყველა მუშა კმაყოფილი იყო, თავჩაღუნული გულმოდგინედ მუშაობდა. დღევანდელ პირობებში მუშაობა კი ძალზე რთულია. მოავონეს მუშას, რომ მას ვითომდა აქვს ზედმეტი ნამუშევარი წინა წლებში ე. ი. 1923-24-25 წ. (ან ვინმე ბოროტ პირმა განზრახ წააქეზა იგი, მუშკომის რომელიმე პირის საწინააღმდეგოდ) და შემოატანინებენ განცხადებებს. ამის გამო მუშკომი ამ ბოლო დროს თითქმის 60%-ით სულ ძველი საქმეების კვლევა-ძიებას უნდება.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამ 60%-დან 2% თუ გამოირევა, რომ მართლაც მუშას თავის უვიცობისაგან დაუშვია შეცდომა, რომელსაც თავისი დახარჯული შრომის ხელფასი არ მიუღია, თორემ დანარჩენი 58% სულ სიყალბეს შეიცავს დოკუმენტების მიხედვით (ტაბელებით).

ყველა ეს კი გამოწვეულია იმით, რომ ზაჰესის მუშაობა უკვე თავდება. უმუშევრებად მრავალნი რჩებიან და ეს ხელს უწყობს ყოველგვარ უსიამოვნების გართულებას.

აქედან ცხადია, თუ რა პირობებში უხდება მუშათა კომიტეტს მუშაობა, როდესაც ასეთ რთულ კითხვებს უყენებენ მას განზრახ ბოროტი პირნი.

სინამდვილის დასამტკიცებლათ მოვიყვან რამოდენიმე ფაქტს: ჯერ კიდევ გასულ წელს ჩვენ საამშენებლო უბანზე არსებულ გერმანელების საწყობში მუშაობდა სტუდ. ვინმე სარალიძე შავი მუშის თანამდებობაზე. ეხლა, როდესაც ამ საწყობის ლიკვიდაცია ხდება, ის აცხადებს, რომ იგი მუშაობდა ვითომდა უფროს მუშათ და შვიდი თვის განმავლობაში ჯამაგირს იღებდა როგორც შავი მუშა. (ამ ხნის განმავლობაში მან მიიღო ჯამაგირი 14-ჯერ და ყველაზე ხელი მოწერილი აქვს). მას ამ ხნის განმავლობაში ხმა არ ამოუღია და ახლა კი ბოლო დროს ასეთ პრეტენზიებს აცხადებს. მას კი უფროს მუშად არასდროს არ უმუშავნია, ვინაიდან შავი მუშა უფრო მეტს ღებულობდა ზედმეტი ნამუშევრობით.

აღსანიშნავი არის კიდევ ამავე საწყობის შავი მუშების ბეჟაშვილის და ცალქალამანიძის საქციელი. ვითომდა ესენი ზედმეტს მუშაობდნენ და არ ეძლეოდათ ჯილდო. მაგრამ, რომ გამოვარკვიეთ, აღმოჩნდა, რომ ისინი მეტს ღებულობდენ, ვინემ თვითონ მოითხოვდენ.

აი როგორ მსჯელობენ აღნიშნული პირნი. საჩივრის დროს არც კი უკვირდებიან იმას, თუ რას ღებულობდენ და რაზე ჩივიან; აცხადებენ პრეტენზიას ვითომ თორმეტ-თორმეტ საათს მუშაობდენ დღეში და ამ ზედმეტისა მათ არ ეძლევათ, მაგრამ გამორკვევის შემდეგ თორმეტი საათის მაგივრათ თოთხმეტი საათის ჯილდოს ღებულობდენ.

ასეთი გაუგებრობა აქ ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა. საჭიროა ამ უმზგავსობას სასტიკი ბრძოლა გამოუცხადონ თვით მუშებმა.

„ზაჰესი"-ს მუშკომის თავმჯდომარე უმიკაშვილი.

ჩვენი მუშური მადლობა ენერგიულ მუშაკს

საქ. ცაკთან არსებული სრულიად საქართველოს ინვ. დამხმარე კომიტეტის საექსპლოატაციო განყოფ. გამგეა არის ამხ. ი. ნინუა, რომელიც ფხიზლად ადევნებს თვალყურს დამხმარე კომიტეტის საქმიანობას, რათა გააუმჯობესოს მრავალ წლების ნაწამები ხალხის ეკონომიური მხარეები და დაეხმაროს უვადო შვებულებაში მივლინებულ წითელარმიელებს და მათ ოჯახებს. თავისი ენერგიული მუშაობით, მან უზრუნველყო 32 ომის ინვალიდი და მათი ოჯახის წევრები, რომლებიც ჩააბა მუშაობაში და სათანადო საქმიანობა მიუჩინა ყოველივე მათგანს.

ჩვენ სრულიად საქართველოს ინვალიდთა დამხმარე კომიტეტის თანამშრომლები გულითად მადლობას უძღვნით ი. ნინუას და უსურვებთ მას გაორკეცებულ მუშაობას მომავალშიც.

ინვალიდთა ჯგუფის მინდობილობით: კ. გუბისპირელი.

ტყიბულის მაღაროებში

ტყიბულის მაღაროებში არის 936 მუშა-მოსამსახურე. აღნიშნულ მოსამსახურეების ზედამხედველობა შრომის დაცვის დარგში ქუთაისის სამაზრო შრომის დაცვის ინსპექციამ იკისრა. გასულ წლის მარტის თვიდან პირველ რევიზიის მოხდენისთანავე აღმოჩნდა მაღაროებში შრ. კანონების მთელი რიგის დარღვევა, როგორიცაა სპეც-ტანსაცმლის და საანგარიშო წიგნაკების უქონლობა, ზედმეტი საათების მუშაობა ნებადაურთველად, ზედმეტ მუშაობისათვის ჯილდოს მიუცემლობა, უბედურ შემთხვევების უყურადღებოთ დატოვება და სხვა მრავალი. ამ ბოლო ხანებში კი თითქმის აღნიშნული დეფექტები მოსპობილია გარდა სპეც-ტანსაცმელების საკითხისა. ეს უკანასკნელი ამჟამად დაახლოებით 100 კაცს კიდევ მიუღებელი აქვს.

აღნიშნულ დეფექტებს გარდა ამხ. მეძმარიაშვილის რევიზიის დროს, თებერვლის დამლევს აღმოჩნდა ფრიად საყურადღებო და მნიშვნელოვანი შრომის კანონების დარღვევა. ამათში ხაზგასმით აღსანიშნავია შემდეგი: 1925 წლის განმავლობაში კანტორას გაუცია ზედმეტი საათების და დატვირთვის ჯილდოს სახით 14.448 მ. და 07 კ. აქედან მუშებზედ არის გაცემული 8.023 მ. და 86 კ. მოსამსახურეებზე 6.957 მანეთი და 48 კ. 582 მ. 80 კ. კი საჩივრის საშუალებით მიიღეს ტელეფონისტებმა.

შრომის ინსპექცია ამ საქმეს ალბად გადასცემს შრომის სახ. კომისარიატს და მუშათა და გლეხთა ინსპექციას შესაფერისი ზომების მისაღებად, რისთვისაც ალბად დამნაშავე მიიღებს შესაფერ ჯილდოს.

№.

მუშათა ქრონიკა
(რკინისგზელთა ცხოვრებიდან)

◆ **საშუამავლო ბიურო ხაშურში.** ა.-კ. შრომის სახალხო კომისარიატმა დაადგინა მოაწყოს ხაშურში საშუამავლო ბიურო უმუშევარ რკინისგზელების სამუშაოზე გადასაგზავნათ.

◆ **პროფბიბლიოთეკა.** ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირმა გაიღო სახსარი პროფბიბლიოთეკის შესაძენათ. ბიბლიოთეკა იმუშავებს რკინისგზის ხაზებზე.

◆ **ორი საათი.** ა.-კ. რკ. გზ. საგზაო კომიტეტმა რკინისგზათა სამმართველოსთან ერთად გამოსცა ბრძანება, უკანასკნელი კურსის რკინისგზელ მუშფაკელებისათვის სამუშაო დღის ორი საათით შემოკლების შესახებ.

◆ **სატესტაციო კომისია.** ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირმა გამოჰყო სატესტაციო კომისია პასუხისმგებელ პროფმუშაკების სატესტაციოთ. კომისიაში შედიან: ამხ. ამხ. სტეპანოვი, კოლოსოვი და სხვები.

◆ **ოთხი მონაგარიშე.** ა.-კ. რკინისგზების სამმართველომ ტრანსპორტის განათლების სამმართველოს კურსებზე მოსკოვში მიავლინა ოთხი მსმენელი მონაგარიშე.

◆ **ძველ რკინისგზელებს.** ა.-კ. საგზაო კომიტეტმა მიმართა რკინისგზის ცეკას დააჩქაროს დამსახურებულ რკინისგზელების ფულადი ჯილდოს გაცემის საკითხი.

◆ **კულტმუშაობის გაძლიერება.** ა.-კ. [illegible] დადება ბაქოს, განჯის და ლენინაკანის საუბნო პროფკავშირებს კულტმუშაობის გაძლიერების შესახებ. წინადადება ეხება კურსების და წრეების მოწყობას და ვაგონ-ბიბლიოთეკების მუშაობის რაციონალიზაციას.

◆ **საავადმყოფოების ასაგებათ.** ა.-კ. საგზაო კომიტეტმა მიმართა სამასალო დარგს მიაწოდოს თავის დროზე მასალები ჯანმრთელობის სამმართველოს ლენინაკანში და ლობანში წარმოებულ სამუშაოებზე საავადმყოფოების ასაგებათ.

◆ **ორი კვირით.** ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირმა ა.-კ. რკინისგზის გამგეობასთან ერთად გამოსცა ბრძანება, რათა უკანასკნელი კურსის მსმენელი მუშფაკელები-რკინისგზელები გაანთავისუფლონ სამსახურიდან ორი კვირით გამოცდების დროს.

— **თბილისის ტრამვაის სახელოსნოში.**— ტრამვაის ქართულმა დრამწრემ მუშათა კლუბში გამართა წარმოდგენა „ვაჭრების ტალკვესი"; მაყურებელი მუშები კმაყოფილნი დარჩნენ.

— ახლო მომავალში ტრამვაის დრამწრე გაემგზავრება საშეფო სოფელში წარმოდგენის დასადგმელად.

— **ექსკურსია.** ტრამვაის სახელოსნოს კულტკომისიამ მოაწყო ექსკურსია საქართველოს რევოლიუციის მუზეუმში. ექსკურსიას დაესწრო 60 მუშა.

— **ბაღის გაშენება.** ტრამვაის მუშათა კლუბის გამგეობა უკვე შეუდგა კლუბის ეზოში ბაღის გაშენებას.

პროფკავშირებში

შრომის კანონმდებლობის და კანონიერების განმტკიცებისათვის

უკვე რამოდენიმე წელი არსებობს შრომის კანონთა კოდექსი; მისი შემდეგი განვითარებისა და ახსნა-განმარტების მიზნით გამოიცა და ყოველ წლიურად გამოდის რამოდენიმე ათეული დადგენილება, განმარტება, ცირკულიარი და ინსტრუქცია. შრომის კანონმდებლობა ამ ჟამად გამოცემულია მოზრდილ ტომებათ; მისი მოცულობა იზრდება ყოველწლიურად და სხვ.

ეს ყველაფერი მოწმობს იმას, თუ რა დიდი ყურადღება ექცევა საბჭოთა ხელისუფლების მიერ შრომის დაცვის საკითხების იურიდიულად ჩამოყალიბებას და საერთოდ შრომის ყოველგვარი ექსპლოატაციისაგან დაცვას.

ამას გარდა არსებობენ შრომის დაცვის ყოველნაირი ინსტიტუტები. გარდა შრომის სახალხო კომისარიატისა, ჩვენ გვაქვს შრომის პროკურატურა, შრომის ზედამხედველობის ბიურო, შრომის სასამართლოები, შრომის ინსპექცია, პროფკავშირები და მათი ადგილობრივი პროფუჯრედები (ფაბქარკომები და ადგილკომები), შრომის დაცვის კომისიები. საკონფლიქტო-შემფასებელი კომისიები და პროფრწმუნებულთა ინსტიტუტი. ყველა ეს ორგანოები იცავენ შრომას ყოველგვარ ექსპლოატაციისაგან; ებრძვიან შრომის კანონების დარღვევას, ცდილობენ ყველგან ჩამოაყალიბონ და განამტკიცონ შრომის ნორმალური პირობები, დაამყარონ დამქირავებელთა და დაქირავებულთა შორის ნორმალური ურთიერთ დამოკიდებულება, აღადგინონ შრომის დისციპლინა და სხვადასხვა. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ამ მიმართულებით ბევრი რამ გაკეთდა და მოწესრიგდა, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი გასაკეთებელი გვაქვს შრომის დაცვის და დისციპლინის დარგში.

როგორც შრომის სასამართლოს და შრომის ინსპექციების მასალებიდან სჩანს, ზოგიერთ ჩვენ წამოწყება-დაწესებულებებში შრომის კანონები ხშირად ირღვევა.

ასე ხდება ცენტრში. რაც შეეხება პერიფერიებს, იქ უფრო ცუდი მდგომარეობაა. იქ არ არის დაცული შრომის ნორმალური დრო; სწარმოებს ზედმეტი საათების მუშაობა ხშირად სათანადო ჯილდოს გაუცემლად, არ არის შესაფერისად დაცული შრომის სანიტარული და ჰიგიენური პირობები; მუშა-მოსამსახურეები ხშირად ძალზე დატვირთული არიან სხვა დასხვაგვარ ზედმეტი სამუშაოებით; შრომის ხელფასის გაცემის დაგვიანება ზოგიერთ დაწესებულებაში თითქმის ჩვეულებრივ მოვლენად იქცა; მუშახელის მიღება-დათხოვნის დარგშიც ბევრგან ადგილი აქვს დაუშვებელ უკანონობას და არევ-დარევას და სხ.

ყველაფერ ამის მიზეზათ უნდა ჩაითვალოს შრომის დაცვის ქვედა ორგანოების იურიდიულად მოუმზადებლობა, შრომის კანონმდებლობის უცოდინარობა, ზოგჯერ დაწესებულების ხელმძღვანელის ბიუროკრატიული ჯიუტობა და ის ფაქტიც, რომ თვით ჩვენი მუშები ძალიან ნაკლებათ იცნობენ შრომის კანონმდებლობას და თავიანთ კანონიერ უფლებებზე მათ აქვთ ძალზე ბუნდოვანი წარმოდგენა, რასაკვირველია, ყველაფერ ამას მოსდევს შრომის დაცვის ნიადაგზე აუარებელი გაუგებრობა-კონფლიქტები, რაც შრომის ნაყოფიერებას ძალზე აფერხებს.

ამიტომ შრომის დაცვაში საბჭოთა კანონიერების განმტკიცებისათვის აუცილებლად საჭიროა: **ა) მუშათა მასაში შრომის კანონმდებლობის ცოდნის გავრცელება; ბ) პროფუჯრედების, შემ.-საკონფლიქტო კომისიების და შრომის დაცვის ქვედა ორგანოების იურიდიულად მომზადება სათანადო კურსების გახსნით; გ) შრომის კანონთა დამრღვევ დამქირავებლის სასტიკ პასუხისგებაში მიცემა სისხლის სამართლის წესით, სამსახურიდან მოხსნით, თავისუფლების აღკვეცით და სხვა.**

მხოლოდ ასეთი რადიკალური ზომები ერთხელ და სამუდამოთ ბოლოს მოუღებენ იმ ყოვლად დაუშვებელ მოვლენებს, რომლებსაც ამ ჟამად აქვს ადგილი ჩვენს სინამდვილეში.

დინამიტი.

პროფმუშაობის ქრონიკა

მელითონეთა პროფკავშირში

— **უმუშევართა იურიდიული დახმარება.** მელითონეთა პროფკავშირმა გადასწყვიტა იურიდიული დახმარება გაუწიოს უმუშევარ კავშირის წევრებს.

— **უმუშევართა შორის კულტურული მუშაობისათვის.** უმუშევართა შორის კულტურულ მუშაობის საწარმოებლად კავშირმა გამოჰყო განსაკუთრებული კომისია.

სურსათ-გემოვნების მუშაკთა კავშირში

— **მუშათა კლუბი ქალაქის სასაკლაოზე.** სურსათ-გემოვნების მუშაკთა კავშირის გადაწყვეტილებით ქალაქის სასაკლაოზე მუშებისათვის კლუბი გაიხსნება.

ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირში

— **ავტო-კლუბის გაფართოება.** ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირმა საჭიროთ სცნო ავტო-კლუბის გაფართოება.

შორაპნის სამპროფბიუროში

— **სასპორტო დარბაზის მოწყობა.** შორაპნის სამპროფბიურო შეუდგა სასპორტო დარბაზის მოწყობას.

— **მუშების საცხოვრებელ ბინების გამოკვლევა.** შორაპნის სამპროფბიურო ამ ახლო ხანში შეუდგება ჭიათურის სამრეწველო რაიონის მუშათა ბინების გამოკვლევას.

ბორჯომის სამპროფბიუროში

— **საურთიერთო დამხმარე სალაროების გამოკვლევა.** სამპროფბიურომ დაადგინა ახლო მომავალში შეუდგეს ადგილობრივ საურთიერთო დამხმარე სალაროების გამოკვლევას.

— **იურიდიული ბიურო.** პროფბიუროსთან დაარსდა იურიდიული ბიურო, რომელიც უფასო რჩევა-დარიგებას აღმოუჩენს მუშებს.

— **გაზეთ „ნორჩი პიონერი"-ს გამოწერა.** სამპროფბიურომ გამოუწერა პიონერთა ორგანიზაციებს გაზეთი „ნორჩი პიონერი".

— **ფიზკულტურის მუშაობის გასაცხოველებლად.** სამაზრო ბიუროს პლენუმმა საჭიროთ სცნო გააცხოველოს საქმიანობა ფიზკულტურაში.

სამხრეთ-ოსეთის პროფსაბჭოში

— **საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის ორგანიზაცია.** სამხრეთ-ოსეთის პროფსაბჭოს დადგენილებით ქ. ცხინვალში არსდება საბინაო-სამშენებლო კოოპერაცია.

რკინისგზელთა პროფკავშირში

— **ჩიხის გაწმენდა.** სადგურ ჭიათურის საწარმოო თათბირმა მიმართა სადისტანციო სამსახურს მიიღოს სასწრაფო ზომები სადგ. ჭიათურის ჩიხების გასაწმენდათ.

— **წყლის მარაგი.** სადგურ ხაშურის გაერთიანებულმა საწარმოო თათბირმა მიმართა ადმინისტრაციას მოაწყოს ხაშურის დეპოში წყლის მოსამარაგებელი ქვაბები.

— **ახალგაზრდათა წარმომადგენლების თათბირი.** 10 აპრილს ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირი იწვევს რკინისგზის პროფკავშირში შემავალ ახალგაზრდების წარმომადგენლების თათბირს.

ქუჩების დამოედნების გასუფთავება

თბილისის აღმასკომის ადმინისტრატიული განყოფილება, ჯანმრთელობის და კეთილმოწყობის განყოფილებებთან ერთად, 5 აპრილს მოახდენს ქ. თბილისის და მისი მიდამოების გაწმენდა-გასუფთავებას. ამ ღონისძიებისათვის მიმართვა გამოწვეულია ზოგიერთი ქუჩების და, უმთავრესად, საბაზრო მოედნების მეტის-მეტი სიბინძურით.

ქალაქის წმენდის უკეთესად და სწრაფად ჩატარებისათვის მოახდენენ: მილიციის საერთო შემადგენლობის, მეეზოვების, საექიმო პერსონალის და კეთილმოწყობი განყოფილების ტეხნიკური პერსონალის მობილიზაციას.

ქალაქს გარეთ სიბინძურის გადასაყრელ ადგილებში მოგროვილ სიბინძურეს დასწვავენ. გაწმენდის შემდეგ ქუჩებსა და მოედნებს მორწყავენ, რისთვისაც გამოყენებულ იქნება ტრამვაის სარწყავი სატარებელი ვაგონი—ქვაბები.

ქალაქის გასუფთავებასთან ერთად, დათვალიერებულ იქნებიან: სასადილოები, თევზის სავაჭროები, საყასბოები და სხვა. მათ მთელი უვარგისი საქონელი ჩამოერთმევათ და დამნაშავენი დაჯარიმებულნი იქნებიან.

აღნიშნულ სამუშაოებს უხელმძღვანელებს სპეციალური კომისია, რომელშიაც შედიან: ადმინისტრატიული განყოფილებიდან ამხ. **მკურნალი,** ჯანმრთელობის განყოფილებიდან—ექ. **ვეფხვაძე,** კეთილმოწყობ განყოფილებიდან—ამხ. **აგარანოვი** და აგრეთვე სამხედრო-სანიტარო განყოფილებისა და კომუნალურ მეურნეობის წარმომადგენელი.

რკინის გზებზე

ავტოტრანსპორტის ტარიფის გამომუშავება

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით ავტოტრანსპორტის ტარიფის გამომუშავება გადაეცა ა.-კ. რკ. გზებთან არსებულ საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირს.

ამჟამად საქციო საზ-ბა „ზაკავტოპრომტორგ"-ი იმუშავებს ტარიფების პროექტს, რომელიც მოკლე ხანში წარედგინება განსახილველად და დასამტკიცებლად აღნიშნულ თათბირს.

მერმისში უკვე ყველა სატარიფო საკითხებს განიხილავს ზემოთ დასახელებული თათბირი, რაც ხელს შეუწყობს სარკინიგზო და საგზატკეცილო ტრანსპორტების ტარიფების ურთიერთთან შეთანხმებას.

განათლების ფრონტზე

საგაზაფხულო დასვენება.

განათლების კომისარიატის დადგენილებით, საგაზაფხულო დასვენება ყველა შრომის სკოლებში და სპეცტეხნიკუმებში, როგორც თბილისში, ისე პროვინციებში, იწყება 4 აპრილის და სრულდება 11 აპრილს, ხოლო მუშფაკებში 1 აპრილს და გათავდება 12 აპრილს. ეს დადგენილება არ ვრცელდება საბავშვო ბაღებსა და სახლებზე.

სტატისტიკური კრებული.

განათლების კომისარიატმა რესპუბლიკაში სწავლა-განათლებისა და სკოლების მდგომარეობის დასახასიათებლად, გადასწყვიტა ყოველწლიურად გამოსცეს სტატისტიკური კრებული.

ბრძოლა წ.-კ. უცოდინარობასთან.

1924 წლის დასაწყისში მთელ რესპუბლიკაში 15 წლიდან 40 წლამდე წერა-კითხვა იცოდა 357.340 მშრომელმა, უცოდინარი კი იყო 369.247.

სალიკვიდაციო სკოლების საშუალებით 24—25 წლის განმავლობაში წერა-კითხვა შეისწავლა 52.462 კაცმა. აქედან აღმოსავლეთ საქართველოში—31.923 უცოდინარმა, დასავლეთ საქართველოში—20.539 უცოდინარმა. დარჩა უცოდინარი 316.786 მოქალაქე.

ამრიგად საერთოდ საქართველოში მშრომელი მოსახლეობის 44,7 პროც. წერა-კითხვის მცოდნეა, 54,8 უცოდინარი, გამოურკვეველია 0,5 პროც. განზრახულია ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავზე წ.-კ. შეასწავლონ ყველა უცოდინარს. ამ მიზნით პოლიტგანათლების მთავარმმართველობა აწარმოებს სათანადო მუშაობას.

რადიო

თბილისის გადამცემი რადიო-სადგური ამუშავდა

დიდი ხანია, რაც თბილისის გადამცემმა რადიო-სადგურმა შესწყვიტა რადიო-კონცერტების გადაცემა. ბევრმა რადიო მოყვარულმა დაკარგა იმედი იმისა, რომ კონცერტების გადაცემა განახლდებოდა. ზოგმა რადიო-მოყვარულმა თავისი რადიო-აპარატების ნაწილები გაყიდა ჩალის ფასად. მაგრამ ვინც სასოწარკვეთილებას არ მიეცა, ბედმა გაუღიმა. პროფსაბჭოს კულტგანყოფილებამ პირველ აპრილს საღამოს 8 საათზე ნავთლუღის რადიო სადგურიდან რადიო მოყვარულებს 1.480 მეტრის ტალღაზე გადასცა რადიო-კონცერტი იმღერა სახელ. ოპერის მსახიობმა ვენაძემ, სახ. ოპერის მსახიობმა ქუთსიაშვილმა, კაპელინცკიმ დაუკრა ვიოლონზე. კულტგანყოფილების მიერ მოწყობილი რადიო-კონცერტი მოულოდნელი და უძვირფასესი საჩუქარი იყო რადიო - მოყვარულებისათვის. ამ საღამოს რადიო-კონცერტი უბრალო დეფექტორიან მიმღებებზედაც საუცხოვოდ და გარკვეულად ისმოდა.

რადიო მოყვარული **ი. ჯ.**

სასამართლო

წყალსადენის სამმართველოს თანამშრომელთა საქმე

მეორე სხდომაზე სასამართლო შეუდგა ბრალდებულთა დაკითხვას. ბრალდებული **ჭანტურია** უამბობს სასამართლოს, რომ მან მიიღო ბუღალტერიდან 3.000 მან. წყალსადენის სამმართველოსათვის შაბის შესაძენათ. დავალება მან პირნათლად შეასრულა. 3.000 მანეთის ხელმეორედ მიღებას ბრალდებული უარყოფს. ბრალდებული **ქავჟარაძე, გოგოშიძე და ჯაველიძე** აღნიშნავენ მუშაობის იმ მძიმე პირობებს, რომელიც 1923 წ. არსებობდა წყალსადენის სამმართველოში.

მესამე სხდომაზე სასამართლო შეუდგა მოწმეთა დაკითხვას. მოწმე დიასამიძე (წყალსადენის სამმართველოს გამგე) აცხადებს, რომ მისი დავალებით ბრალდებული ჭანტურია გაგზავნილი იყო როსტოვში წყალსადენის სამმართველოსათვის საჭირო მასალების შესაძენათ. ამ მიზნით მას მიეცა 3.000 მან., ცინაიდან მაშინ ბონების კურსი დღითი-დღე იცვლებოდა, ამიტომ 300 ჩერვ. შეეცხო დავალა ბრალდებულ **დერჟიბაშევს.** აღმასკომიდან ნასესხები 3.000 ჩერვონ. მან. გადაეცა ჭანტურიას. შემდეგ, მე გავეცი განკარგულება,—განაგრძობს მოწმე—ბონებით აღნიშნული ვალი ჭანტურიას ხელით გაეგზავნათ აღმასკომისათვის. ხელმეორედ 3.000 მან. ბონებით მიიღო თუ არა ჭანტურიამ, მოწმემ არ იცის.

დაკითხული იქნა მოწმე **ბახტაძე** და სხვ. საერთოდ ირკვევა, რომ ბანკიდან გამოტანილი. 340 მ. ჩეკით წყალსადენის ბუხჰალტერიას არ ჰქონია გატარებული. 1923 წ. წყალსადენის სამმართველოს ქალაქის აღმასკომიდან უსესხია 3.000 ჩერვონული მანეთი ვალის დასაფარავათ; იმავე წელს აგვისტოში წყალსადენის სამმართველოს გაუცია 3.000 მან. ბონებით. ეს თანხა აღმასკომის ბუჰგალტერიას არ ჰქონებია გატარებული წყალსადენის სამმართველოს შემოსავლის ანგარიშში.

მოწმეების დაკითხვა გრძელდება.

სამხედრო ტრიბუნალში.

საქართველოს სამხედრო ტრიბუნალის 31 მარტის სხდომაზე გაარჩია მე-5-ე ლეგი-[illegible] საქმის შინაარსი ასეთია: 1925 წ. 8 მარტს საღამოს მოქ. ჩხაიძე მთვრალი მიდიოდა ქუჩაში. მას გზაში შემოხვდენ ნაცნობები ბეგულოვები, რომელთაც ხელით მოჰყავდათ ველოსიპედი. ჩხაიძე, რომელსაც მიწაზე ძლივს ედგა ფეხი, ართმევს ბეგულოვებს ველოსიპედს და სცდილობს მასზე დაჯდომას, მაგრამ, როგორც კი ფეხი შესდგა ველოსიპედზე, მაშინვე ყირამალა გადატრიალდა. თავისიი [illegible] ველოსიპედი და წინადადება მისცეს ჩხაიძეს დაებრუნებინა ის უკანვე. ეს იწყინა ჩხაიძემ, იძრო რევოლვერი, ერთს თავში ჩაარტყა კონდახით, ხოლო მეორეს ესროლა და დასჭრა.

ტრიბუნალმა აღნიშნული გარემოება დამტკიცებულად სცნო და ბრალდებულ ჩხაიძეს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლით.

საპატიო სტუმრები ჩვენს რედაქციაში

გუშინ, 2 აპრილს. საქ. კომპარტიის ცკას ახლად მოწყობილ სტამბას, რომელიც იმყოფება კამოს ქუჩაზე № 68, ეწვიენ საქ. ცაკის თავმჯდომარე ამხ. **ფილიპე მახარაძე** და საქ. ცაკის მდივანი ამხ. **ს. თოდრია.**

პატივცემულმა ამხანაგებმა პირველ ყოვლისა დაათვალიერეს „კომუნისტის" და „მუშის" საროტაციო მანქანები. შემდეგ ისინი ეწვიენ ლინოტიპის განყოფილებას. აქ ამ დროს გაცხოველებული მუშაობა სწარმოებდა. თვალის დახამხამებაში იბადებიან ტყვის ახალ-ახალი სტრიქონები და განცვიფრებას იწვევს ყალიბიასოების ავტომატიურად გადარჩევა.

ამის შემდეგ საპატიო სტუმრები ეწვიენ ასოთ-ამწყობთა განყოფილებას. მუშები ყველგან დიდის სიამოვნებით ეგებებოდენ ამხ. ფილიპეს. ესაუბრებოდენ შინაურულად და აძლევდენ დამაკმაყოფილებელ ახსნა-განმარტებას ყველა მის შეკითხვებზე.

ბოლოს ამხ. ფ. მახარაძემ და ს. თოდრიამ ინახულეს „კომუნისტის" და „მუშის" რედაქციები, სადაც ესაუბრენ გაზეთების მუშაკებს.

ამხ. ფილიპემ კმაყოფილება გამოსთქვა ამ ახალი სტამბის შეძენის გამო, რომელიც ჩვენი პერიოდულ გამოცემებისათვის უთუოდ დიდ წარმატებათ უნდა ჩაითვალოს.

ქრონიკა

თბ. კომენდატისაგან.

თბილისის კომენდანტი ამით აცხადებს, რომ 5—15 აპრილამდე ვერცხლის მთაზე (ქალაქიდან აღმოსავლეთით) აფეთქებული იქნება უვარგისი ყუმბარები, ხოლო მუშაობის გათავების შემდეგ აფეთქების ველი დახურული იქნება. ორმოები, რომელშიაც შეიძლება ჩაეფლოს ყუმბარები და ნამსხვრევები, ამოვსებული იქნება მიწით და ოთხივე მხარედან აღნიშნული იქნება სვეტებით; ამ სვეტებზე იქნება წარწერა იმის შესახებ, რომ ამ ადგილას მიწის გათხრა აკრძალულია.

თბილისის აღმასკომში.

ტყის მოშენება. თბილისის მიდამოებში ტყის მოსაშენებლად დღემდე აღმასკომმა გაიღო 20.000 მანეთი.

◆ **ქუჩების შეკეთება.** ქალაქის კეთილმოწყობის განყოფილება შეუდგა განაპირა რაიონებში ქუჩების საფუძვლიანად შეკეთებას.

◆ **ალბულაღის სასოფლო-სამეურნეო** კომუნას აღმასკომმა აჩუქა 3 ცხენი.

◆ **სუჩუენის ტყიანი ხევი** აღმსკომს განზრახვა აქვს გადასცეს პოლიტეხნიკუმს სასოფლო-სამეურნეო დარგის სტუდენტებისათვის მეტყეობის შესასწავლად.

◆ **ვერის გზატკეცილზე** ამ დღეებში დაიწყება მიმოსვლა.

მიწათ-მოქმ. სახ. კომისარიატში.

ქონების აღრიცხვა. მიწათმოქმედების სახ. კომისარიატი შეუდგა ყველა თავის ქვემდებარე დაწესებულებების ქონების აღრიცხვას.

◆ **ღორის საჯიშე.** მიწათმოქმედების კომისარიატი მეღორეობის განვითარების მიზნით აწყობს ღორის საჯიშეს.

◆ **ხარჯთაღრიცხვა.** მიწათმოქმ. კომისარიატი შეუდგა 1926—27 წლის ხარჯთაღრიცხვის შედგენას.

◆ **თამბაქოს მცოდნეთა** საკავშირო თათბირზე მოსკოვში, მიწათმოქმედების სახ. კომისარიატი აგზავნის თავის წარმომადგენლებს.

◆ **შაბიამანი და გოგირდი.** მიწათმოქმედების კომისარიატმა შეიძინა 1000 ფუთი „კორონა"-ს ხარისხის და 500 გოგირდი.

სამეურნეო დაწესებულებებში.

თამბაქოს დამზადება. ა.-კ. სახ. ვაჭრობის კომისარიატი აბხაზეთში ამზადებს 100.000 ფუთ თამბაქოს საზღვარგარეთ გასასაღებლად.

◆ **საბეჭდი მანქანები.** სახელმწიფო ვაჭრობამ ამერიკიდან მიიღო 350 ცალი „უნდერვუდ"-ის საბეჭდი მანქანები.

◆ **სამკურნალო მცენარეულობის** დასამზადებლად სახ. ვაჭრობის კომისარიატმა გადასწყვიტა მისცეს ავანსები კერძო პირებს და სახ. ორგანიზაციებს.

სახალხო მამულების ტრესტში.

◆ **ვაზის ლერწის მიღება.** სახ. მამულებ. ტრესტმა ამერიკიდან მიიღო 800.000 მეტრი ამერიკული ვაზის ლერწი.

◆ **ღვინის გასაღება.** სახალხო მამულების ტრესტმა უზბეკისტანში გაასაღა ღვინოების დიდი პარტია.

◆ **სეტყვის წინააღმდეგ.** სახ. გამოცე-[illegible] მიიღებს სეტყვის საწინააღმდეგო შუშხუნებს.

შრ. სახ. კომისარიატში.

უბედურ შემთხვევებთან საბრძოლველად წარმოებებში, შრომის სახ. კომისარიატთან დაარსდა ცენტრალური კომისია.

◆ **შრომის კომისარიატი** ახლო ხანში გამოუშვებს ცალკე წიგნად შრომის მომქმედ დადგენილებებს და კანონებს.

◆ **საამშენებლო კავშირის** წევრებისათვის შრომის სახალხო კომისარიატმა შეადგინა სანგარიშო წიგნაკების ახალი ფორმა.

ჯანსახკომში.

სულით ავადმყოფთა ექიმების ყრილობა ჯანსახკომის ცნობით, შესდგება მოსკოვში შემოდგომაზე.

◆ **რუსეთის ჯანმრთელობის** კომისარიატის თხოვნით, საქ. ჯანსახკომი შეუდგა საქართველოში რენტგენის სხივებით მკურნალობის შესახებ მასალების შეგროვებას, რენტგენით მკურნავთა საკავშირო ყრილობისათვის.

სხვადასხვა.

— 5 აპრილს ბათომში მიღებული ფორდზონის სისტემის 400 ტრაქტორი შემდეგნაირად იქნება განაწილებული: 150 ფორდზონი განაწილებული იქნება საბჭოთა რუსეთის სახელმწიფო სავაჭრო სამმართველოს მიერ, 250 ფორდზონს მიიღებს ამიერ-კავკასია—აქედან 120 მიეცემა აზერბეიჯანს და 70 ამიერ-კავკასიის ბამბის კომიტეტს, დანარჩენი 60 ტრაქტორი განაწილებულ იქნება საქართველოსა და სომხეთს შორის.

◆ **„ეკონომისტი".** გამოვიდა „ეკონომისტი" № 2. ჟურნალში მოთავსებულია წერილები, ნარკვევები და შენიშვნები, თეორიტიული საკითხები, მიმოხილვები, ეკონომიური ქრონიკა და ბიბლიოგრაფია.

◆ **შინამრეწველთა და ხელოსანთა** კავშირის ახალ თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. დავით ინასარიძე.

კრებები და მოხსენებები.

◆ **განათლების მუშაკთა სახლში.** დღეს, საღამოს 7 საათზე, განათლების მუშაკთა სახლში ამხ. გოგიაძე გააკეთებს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „მხარეთმცოდნეობა სკოლაში". საღამოს 8 საათზე გაიმართება კინო.

◆ **საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში.** დღეს, საღ. 7 საათზე საქართველოს მუზეუმის აუდიტორიაში (კალოუბნის ქ., № 1) მოხდება საზოგადოების ჩვეულებრივი კრება, რომელზედაც 1) თ. სახოკია წაიკითხავს მოხსენებას—„მეგრული ქორწილი" (სამეგრელოს ეთნოგრაფიიდან) და 2) მ. ხუბუა—„პატრონყმობის დროინდელი ერთი ტერმინის შესახებ". კრებაზე დასწრება თავისუფალია.

◆ **ინჟ. ქიქინაძის ლექცია.** დღეს, 3 აპრილს, საღამოს 7 საათზე, სახ. უნივ. პოლიტეხნიკურ ფაკულტ. სტუდენტთა სამეცნიერო ტეხნიკურ წრეში ინჟ. ბ. ქიქინაძე ქართულ ენაზე წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: **„გლენოს (იტალია) საგუბრის დარღვევა და მისი მთავარი მიზეზები".** ლექცია შესდგება მინერალოგიურ აუდიტორიაში დასწრება თავისუფალია.

შემთხვევები.

— [illegible] 1 აპრილს უცნობის მიერ დაჭრილ იქნა მოქ. ა. მინდიაშვილი.

— იმავე დღეს ლუთისო და გ. ფიცხელაურის ჩხუბის დროს დაჭრილ იქნა გაყმაწვილი შალვა ფანჩვიძე.

◆ **დაკარგვა.** უგზო-უკვლოდ დაიკარგა სოფ. წმანის (შორ. მ.) მცხოვრები 16 წლ. ყმაწვილი შალვა ფანჩვიძე.

ხელოვნება

ქართული საოპერო სტუდიის გამოსვლა.

„ჯამბაზები".

ოპერა დაიდგა **ქ. მარჯანიშვილის** და **ახმეტელის** ახალი ესკიზების მიხედვით. ეს დადგმა არის ორიგინალური, სრულიად გასაგები მაყურებელისათვის და რეალური. წარმოდგენა, როგორც ყოველთვის, იწყება შესავლით, მაგრამ აქაც სრულიად ახალი სცენაა. შესავალში მსახიობი მოუთხრობს მაყურებლებს, თუ როგორ უნდა დამალონ მსახიობებმა თავიანთი განცდები სცენის ინტერესებისათვის. შემდეგ იწყება 1-ლი სურათი, რომელიც აჯადოებს მაყურებელს თავისი ორიგინალობით და რეალობით. სცენაზე გამოდიან მხიარული სოფლელები, რომელნიც იტალიური ტემპერამენტით ხვდებიან ნანატრ სტუმრებს—მსახიობებს. მეტად ორიგინალურია ამ მსახიობთა დასის ასვლა სცენაზე პარტერიდან.

რაც შეეხება შესრულებას, უნდა ითქვას, რომ სჩანს მეტად სერიოზული ერთსულოვანი მუშაობა.

მასიური სცენები საუცხოვოა.

მეტად მუსიკალურად მღერის შესავალს **ცირღილაძე,** მაგრამ ახალგაზრდა მსახიობმა თავი- უფრო თავისუფლად უნდა გაშალოს თავისი ხმა. საჭიროა გრიმის და მიმიკის მეტი დამუშავება.

ანდღულაძის ხმა (კანიო—ჯამბაზი) იშვიათი და ლამაზია. მას ეტყობა მუშაობა, მის სიმღერაში მეტი დინამიკა და ნაკლები ფრაზეროვკაა. სცენიური შესრულების მხრივ ამ პარტიას ესაჭიროება მეტი დამუშავება. განსაკუთრებით მე-2-ე აქტში (სცენა სცენაზე) საჭიროა ხაზგასმით იქნას განსხვავება ნამდვილ კანიოს და მსახიობ კანიოს შორის. მსახიობმა საუცხოვოდ შეასრულა ცნობილი არიოზო—„იცინე ჯამბაზო".

მშვენიერი ხმა მომღერალ ქალს **მრავალს.** 1-ლი აქტის არიის მეორე შესავალში საჭიროა უფრო სწორი ინტონაცია.

მუსიკალურია მომღერალი **ხვანიძე,** მაგრამ მას ესაჭიროება მაღალი რეგისტრების დამუშავება.

სილვიოს პარტია შეასრულა **თარხნიშვილმა.** იგი მუსიკალური მომღერალია.

ახალგაზრდა ორკესტრმა **ივანე ფალიაშვილის** ხელმძღვანელობით სახელოვნად შეასრულა თავისი ამოცანა.

პ. ბ.

ხელოვნების ქრონიკა.

◆ **წითელ თეატრში** კვირას, 4 აპრილს, წარმოდგენილი იქნება ნ. ნაკაშიძის „ვინ არის დამნაშავე". დადგმა ალ. წუწუნავასი, ახალი დეკორაციები—ზავიშვილისა.

◆ **პოეტმა ბესო გორდეზიანმა** სთარგმნა და ამ დღეებში გამოვა გეორგ გროსსის და ვილანდ გერცფელდეს—„ხელოვნება განსაცდელშია".

◆ **„პიკის ქალი".** დღეს ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება „პიკის ქალი".

◆ **„ვირის ჩრდილი".** ხუთშაბათს რუსთაველის თეატრში პირველად წარმოდგენილი იქნება „ვირის ჩრდილი".

◆ **რუსთაველის თეატრში** დღეს წარმოდგენილი იქნება „ლამარა".

◆ **„ჯამბაზები".** კვირას რუსთაველის თეატრში მეორეთ წარმოდგენილი იქნება ქართულ ენაზე „ჯამბაზები".

◆ **საქველმოქმედო საღამო.** კვირას, 4 აპრილს, დღის 11 საათზე, მეცხრე შრომის სკოლის (ცხრაწლედის) მშობელთა კომიტეტის ინიციატივით კინო „პალას"-ში ნაჩვენები იქნება „სამი სიცოცხლე" (ორივე სერია ერთად), რომლის წმინდა შემოსავალი გადაიდება ამავე სკოლის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ და სკოლისათვის საჭირო ნივთების შესაძენად.

ნიჭიერი

უხელო მხატვარი.

1914 წლის 17 მაისს დადიშკელიანების ოჯახში დაიბადა ბავშვი, რომელსაც არც ერთი ხელი არ ჰქონდა. მშობლები ბავშვს განსაკუთრებული მზრუნველობით მოეკიდნენ.

დღეს ალექსანდრე (შურა) დადიშკელიანი უკვე 12 წლისაა და საკვირველებას წარმოადგენს.

უხელებო ბავშვს შეუძლია გააკეთოს ყველაფ. ის, რასაც აკეთებს ხელების მქონე ადამიანი; შეუძლია კერვა, წერა, ხერხის და მრავალი იარაღის ხმარება, ბურთის თამაში, სხვდრული გავლის დროს დაფ-დაფის ხმარება, ჯომარდობა და სხვ.

მშობლების სიტყვით, ბავშვს თავიდანვე ეტყობოდა განსაკუთრებული გონიერება და ნიჭი. საკმაოა ბავშვმა ერთხელ ნახოს, თუ ვინ რას როგორ აკეთებს, რომ შემდეგ თითონ გააკეთოს იგივე ნივთი. ბავშვს განსაკუთრებული ნიჭი აქვს ხატვაში. განსაკუთრებით უყვარს მითიურ გმირების ხატვა და სხვ.

ადგილობრივ გერმანულ საზოგადოებას იგი აუყვანია და თავის ხარჯზე ასწავლის გერმანულ ტეხნიკუმში. ბავშვი სწავლაში ჩვეულებრივ გულმოდგინეობასა და ნიჭს იჩენს და ითვლება ერთ-ერთ საუკეთესო მოწაფედ.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

შაბათს, 3 აპრილს, საღამოს 6 საათზე სანიტ-განათლების კლუბის დარბაზში (ევანგულოვის ქ. № 13) გაიხსნება **რუმედასის სრულიად საქართველოს კონფერენცია.**

კონფერენციაზე პროვინციიდან ჩამოსული დელეგატები უნდა გამოცხადდენ მანდატების მისაღებათ რუმ. საქ. ცეკაში.

— **წერკუმსის ქალაქის რაისაბჭო** იუწყება, რომ 10 აპრილისათვის მოწვეულია **წერკუმსის კონფერენცია,** ხოლო 10 აპრილამდე სწარმოებს მოსამზადებელი მუშაობა წერკუმსის ყველა უჯრედებში.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის **მესამე რაიკომი** იუწყება, რომ შაბათს, 3 აპრილს, საღ. 6 საათზე, მესამე რაიკომის ბინაზე შესდგება **მე-3-ე რაიკომის გაფართოებული პლენუმი** უჯრედების მდივნებთან ერთად.

— საქართველოს კომპარტიის **თბილისის კომიტეტის საალრიცხვო-განმანაწილებელი** განყოფილება სთხოვს შემდეგ ამხანაგებს გამოცხადდენ ამ. **ჩარკიანთან:** აქსენტი მოსეს ძე კოკაია, სოფიო ფეოდორის ას. ქორიძე, გიორგი სერგის ძე [illegible], ალექსანდრე პავლეს ძე მუშკუდიანი, გერასიმე ფრიდონის ძე კუბლაშვილი, გიორგი როსტომის ძე ანასაშვილი, გრიგორი ვლადიმირის ძე გუშჩინი, ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე არხიპოვი, მიხეილ ვასილის ძე გორშკოვი, ივანე სტეფანეს ძე სანოგოვი, ლეონ ამალის ძე ხაქამიროვი, ნაუმ ტიმოთეს ძე ზინჩენკო, კარო მაკარის ძე სერებრიაკოვი, ხარიტონ კონსტანტინეს ძე ჯინჭარაძე, ტატიანა დიმიტრის ასული კანანაძე.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის **მეორე რაიკომი** იუწყება, რომ დღეს, 3 აპრილს, საღ. 5 ს., მუშკოოპის კლუბის ბინაზე (კირკის ქ., № 7) შესდგება გაფართოებული **პლენუმი** აქტივთან, უჯრედთა ბიუროების წევრებთან და მეორე რაიკომის დაბალი საფეხურის პარტორგანიზატორებთან ერთად.

სავალდებულოა რაიკომის ყველა წევრების და კანდიდატების, უჯრედთა ბიუროების წევრების, აქტივის და დაბალ საფეხურის პარტორგანიზატორების დასწრება დაუგვიანებლად.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის **განყოფილება** წინადადებას აძლევს შემდეგ ამხანაგებს გამოცხადდენ სამი დღის განმავლობაში თბილისის კომიტეტის საალრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. **ჩარკვიანთან:** მაქსიმე თეიმურაზის ძე ვალიშვილი, მიხეილ ანდრიას ძე ვანინი, სერგო ივანეს ძე ვარნაზოვი, სიმონ არტემის ძე ვართანოვი, სათენიკ კონსტანტინეს ას. ვართანიანი, ეკატერინა ივანეს ას. ვასილიევა, ვასილ პავლეს ძე ვედერკო, სოფრონ სტეფანეს ძე ვეროიკვინი, ფრანც იოსების ძე ვინგი, იური ეფრემის ძე ვირასოვი, ვასილი ანდრიას ძე ვოლკოვი, მიხეილ ანდრიას ძე ვოლკოვი, ალექსანდრე ბორისის ძე ვისოცკი, რუბენ ტერ-აკოპოვი, ნერსეს ონნის ძე ვართანოვი.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის **ქალაქის რაიკომი** იუწყება, რომ დღეს, საღ. 6 საათზე, ქალაქის აღმასკომის ბინაზე შესდგება **ქალაქის რაიონის უჯრედთა ბიუროების კონფერენცია.**

დღის წესრიგში სდგას: რაიკომის აგიტ-პროპგანყოფილების ანგარიში. სავალდებულოა ბიუროს ყველა წევრების და უჯრ. მდივნების დასწრება.

იურიდიული რჩევა-დახმარება

მაქვს თუ არა უფლება მივიღო მიწის ნახევარი ნორმა

კითხვა

ვმსახურობ არსენალის ცეხში „მეჰაუნუქედ". ვღებულობ ჯამაგირს მე-6-ე ხარისხით 36 მან. 25 კაპ. ჩემს კმაყოფაზე იმყოფებიან დედა შრომის უნარ მოკლებული და სამი და მოსწავლენი. გორის მაზრა სოფ. თეზში მაქვს მამაპაპეული მამული—(ნახევარი ნორმა) სახლ-კარით და ვენახით სახნავ - სათესი მიწით, რაც მაქვს სანახევროდ გაცემული.

გთხოვთ მომცეთ განმარტება აქვს თუ არა სოფელს უფლება ჩამომართვას აღნიშნული მამული.

(საწევრო წიგნაკის № 871).

მუშა-ქალი ალექსანდრა შერმადინი

პასუხი

ბინის კოდექ. მუხ. 67-ის თანახმად, თქვენ, როგორც ფიზიკური შრომის მუშას, გაქვთ უფლება მოითხოვოთ ნახევარი ნორმის (პირადი სარგებლობისათვის) დატოვება.

მშობლების საზრდოს და საერთო ქონების გაყოფის შესახებ

კითხვა

ვართ სამი ძმა. სამივე შინაურულად გაყრილნი. გვყავს მოხუცებულნი დედ-მამა, რომელნიც უნდა ერჩინა ერთ უფროს ძმას ზედმეტ აღებულ ვენახში, მაგრამ დღემდე დედ-მამას ვინახავთ სამივე ძმები, რადგან უფროსი ძმა ყურადღებას არ აქცევს.

ამიტომ გთხოვთ განმარტოთ, [illegible] თუ არა სამივე ძმებს [illegible] ნახვა და შესაძლებელია თუ არა [illegible] ქონების ხელახლა გაყოფა [illegible].

რკ. გზის მთავარ სახელოსნოს მღებავის თანაშემწე **დიაკონიძე.**

პასუხი

დეკრეტი № 28-ის მუხ. 126-ის თანახმად, შვილები ვალდებულნი არიან არჩინონ თავიანთი გაჭირვებულნი და შრომის უნარმოკლებულნი მშობლები, თუ ამ უკანასკნელთა არ ეძლევათ არავითარი სარჩო-საბადებელი სახელმწიფო დაწესებულებებიდან.

რაც შეეხება კომლის გაყრას, თანახმად მიწის კანონთა კოდექ. მუხლი 47-ისა კომლისმიწას და საერთო ქონება განაწილებულ უნდა იქნეს კომლის შემადგენელ ოჯახისა და ცალკე სარგებლობისათვის. გაიყოფა მხოლოდ ის ქონება, რაც საერთო სარგებლობაშია. შესაძლებელია გასაყოფი ქონებიდან გამორიცხულ იქნეს არა თუ იმ წევრის მიერ პირადად შეძენილი ქონება. ისინი კი, ვინც გაყრას აპირობენ, წარადგენენ მიწის და ქონების გაყოფის ადგილობრივ რაიონულ აღმასკომში გაყოფის ფარდის ქაღალდს (იხ. იქავე მუხ. 51 52).

გაყრა, რომელიც რეგისტრაციაში არ არის შეტანილი, კანონიერად არ ჩაითვლება. (იხ. იქავე მუხ. 58).

გერმანე იოსების ძე, კოტე და რევაზ გოგიტიძენი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 4 აპრილს, ვერის ნიკოლოზის ეკლესიის სასაფლაოზე, დღის პირველ საათზე, გადახდილ იქნება პანაშვიდი პირველის საყვარელ მეუღლისა და უძვირფასესი მეგობრის და მეორეთა მეხსიერებიდან წარუხოცელ, მუდამჟამ სახსოვარ საყვარელ დედიკოს

ნადია იესეს ასული გოგიტიძის

გარდაცვალებიდან 40 დღის თავზე

1—1 ქვ. 2042

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ლევან იოსების ძე, დედა დარია შვილებით, მამიდა ბარბალე (ბაბუცა), ბიძა პეტრე მეუღლით აბდუშელიშვილები, გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობრებს, რომ კვირას 4 აპრილს, 12 საათზე, ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე გარდახდილი იქნება მათთვის დაუვიწყარი

ეკიმ ელისაბედ (ლიზა) გიორგის ასული

აბდუშელიშვილის

ორმოცი დღის წირვა-პანაშვიდი 1 1 2051

კვირას, 4 ამა აპრილს, დამსახურებული პედაგოგის

სტეფანე დავითის ძის გაგუას

გარდაცვალების 40 დღის თავზე კალოუბნის ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი, რაც ეცნობება ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებთა.

1—1 2046

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები მიხეილ დიმიტრის ძე და ოლღა ვასილის ასული ჯავახიშვილები, დეიდა სოფიო ვასილის ასული მარტიროსოვისა შვილებით გიორგი და ვლადიმერით, ბიძაშვილი თამარა ივანეს ასული მეუღლით ილია თალაქვაძეთი და ბიცოლა ალექსანდრა სიმონის ასული ხანდამიშვილისა შვილით ირაკლით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

თამარა მიხეილის ასული

ჯავახიშვილი-პერსიანოვისა

ცხედარს გამოასვენებენ საკუთარი ბინიდან ვერცხლის ქ. № 41 4 აპრილს, შუადღის 12 ს. დაკრძალავენ ვერის სასაფლაოზედ.

2044 1—1

საქართველოს კინო მრეწველობის ამ. საზოგადოების ახალი
სურათი
„ნათელა"
(უტუ მიქავა)
რეჟისორი — ა. ი. ბეკ-ნაზაროვი
ოპერატორი — ს. ა. ზაბოზლაევი
აპოლლო
არტისტო
ლოლეი
კასა ღიაა საღ. 5 ს—დან 1 სეანსის დასაწყისი საღ. 6 ს.
0—3 ნ. 864
გაძლიერებული სიმებიანი ორკესტრი.

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით
რენტგენი დარსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
ნერვიულ და [illegible] ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით [illegible]
მიღება 2— დ 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.
50—30

სათვალეების მორგება
უფასოდ
[illegible] ოპტიკური განყოფილება [illegible] დღის 3—5 დ. პლეხანოვის გამზირი № 106 ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ 13—3.
25—11

რუსთაველის თეატრი
დღეს, 3 აპრილს
უკანასკნელად ამ სეზონში
ლამარა
კვირას, 4 აპრილს,
საოპერო სტუდიის წარმოდგენა
I. ჯამბაზები
სამშაბათს, 6 აპრილს
უკანასკნელად ამ სეზონში
დეზერტირკა
6.989

სახელმწიფო ოპერა
დღეს, 3 აპრილს,
პიკის ქალი
კვირას, 4 აპრილს.
პრაგოვის გასტროლი
ლაკმე
დამსახურებული მსახიობის პოპოვას მონაწ.
სამშაბათს 6 აპრილს
თამარ ცბიერი

სახელმწიფო ოპერა
სამშაბათს, 6 აპრილს
და
ხუთშაბათს, 8 აპრილს
ახალი ორიგინალური ქართული ოპერა
„თამარ ცბიერი"
მუსიკა მ. ა. ბალანჩივაძის
დადგმა ა. რ. წუწუნავასი
დირიჟორობს ს. ა. სტოლერმანი
ახალი კოსტიუმები და დეკორაციები მხატვარ [illegible] შევარდნაძის ესკიზებით.
6. 99

თბ. აღმასკომის ადმინისტრატიული განყოფილება

ამით აცხადებს, რომ კვირას, 4 აპრილს, დილის 11 საათზე, მ-გ. მილიციის საწყობში მდებარე მე-4-ე სამილიციო რაიონში, ორბელიანის ქ. № 22 დამზღვევ სალაროს ვალის დასაფარავად შესდგება

საჯარო ვაჭრობა

რომელზედაც გაიყიდება აწერილი საოჯახო და სახელოსნო ნივთები ქვემოდასახელებულ პირების:

ოქმები: 1. მირზაბეკიანცის № 1019,1365 და 1883, 2. ტუმასოვის № 1432, 3. გევორქოვის № 1449, 4. ლალიანცის № 1816, 5. პაპიანცის № 462, 6. აბასოვის № 1056 და 1462, 7. საგამომცემლო კომისიის „ახალი სოფელი" № 1781, 8. კუცენკოსი № 1589, 9. გავთიანცის № 152 და 10. კუპრაშვილის № 68.

აწერილი ტანისამოსის შკაფები, ტყავის საკერავი მანქანები, წიგნები, სარკეები, ნოხები. მაგიდები და სხ.

ადმინისტრატიული განყოფილების უფროსი ხმალაძე.

1 ნ. 998

აღმასკომის წყალსადენის განყოფილება

ამით აცნობებს თავის აბონენტებს, რომ სხ. და სხ. ტეხნიკურ დაბრკოლებათა გამო წყლის აღრიცხვის და ანგარიშთა შედგენის ზოლი სისტემის ცხოვრებაში გატარება გადადებულია 1 თვით ე. ი. ა.-წ. 1 მაისისთვის

აპრილის ანგარიშები დაიგზავნება აპრილშივე და ასეთების განაღდებაც სავალდებულო 10 დღეში. დირექცია

ნ. 997

საბჭოთა საქ. მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის ჯიშიან ცხენების მოსაშენებელი განყოფილება

აცხადებს, რომ ა. წ. 4 აპრილს, 11 საათზე ცხენების თავლაში კლარა ცეტკინას ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 198 დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ჯიშიან ცხენების ქარხანაში გაზრდილ 3 ჭაკი-ცხენის გასასყიდათ.

1 1 ნ. 994

ქალ. ზესტაფონი
25 თებერვლის ქუჩა № 58
დაარსდა
სავაჭრო საწარმოო ამხანაგობა
„გლეხთა დახმარება"
რომელიც აწარმოებს ყოველგვარ სავაჭრო საწარმოო ოპერაციას. ამხანაგობა გატარებულია რეგისტრაციაში ქალ. ზესტაფონის სახალხო ნოტარიუსთან რეესტრის № 28 ქვეშ, და შორაპნის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტში
1926 წლის 20 მარტის თარიღით № 5182
ამხანაგობა „გლეხთა დახმარება".
7—4 ნ. 961

ქ. თბ. მე-3 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი ქ. ს. ძამოევი

ამით აცხადებს, რომ ის 5 აპრილს 1926 წ. დღის 12 ს. სახლში № 8 შემახის ქუჩაზედ საჯარო ვაჭრობით გაყიდის სარქის არუთინას ძე ლალაიანცის უძრავ ქონებას, რომელიც შესდგება ორ სართულიანი სახლიდან, რომლის ნახევარი გაიყიდება ლუსიკ დანდუროვის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის ოლქის სასამართლოს 2 მარტს, 1926 წ. თარიღით, № 22026 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ვისაც ხსენებული სახლის შეძენა სურს უნდა წარმოადგინოს თბ. აღმასკომიდან და უფროს ნატარიუსისგან მოწმობა, რომ არც მათ, არც მათ მცირეწლოვან შვილებს უძრავი ქონება არა აქვთ. ვინაიდან ეს საჯარო ვაჭრობა არის მეორე, ამიტომ დაიყება შეძლეული ფასიდან.

2038 1—1

გარე-უბნის სასამართ. აღმასრულებელი ქ. ოდიშარია

აცხადებს, რომ ის 15 აპრილს 1926 წ. საათის 1 საბჭოს ქ. № 4 საჯარო ვაჭრობით გაყიდის ბაგრატ ადამიას მოძრავ ქონებას. მავთულს წონით 600 კილოს და ლურსმანს 351 კილოს. შეფასებულ 261 მ. 48 კ. დასაკმაყოფილებლად „ივგოსტალ"-ისა ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან.

2040 1—1

გარე-უბნის სასამართ. აღმასრულებ. ქ. ოდიშარია

აცხადებს, რომ ის 17 აპრილს 1926 წ. საათის 10-იდან ქ. ქოსადოში საჯარო ვაჭრობით გაყიდის მოძრავ ქონებას ბინიატ ადი გაჯი, ისახან ისა, გუსეინ გაჯი, ისმაილ, ახმედ, მეით აბდულა, ბაგირომარ, ეიუბბაბა. აბდულა ალიბეკ, ვადი გაჯი ისკანდერ, ვადი ქიასუმ, ქიარიმ ქოჯა, ადიგაჯი ოღლების კამეჩებს, ხარებს, ხალიჩებს, ძროხებს, ფურგონებს, ცხენს, ქამარს და სხ. შეფასებულს 1705 მან. დასაკმაყოფილებლად რუბენ სიმონიანისა ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან.

2041 1 1

ქ. თბ. მე-2 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი ა. ა. გეგეჭკორი

ამით აცხადებს, რომ ის 6 აპრილს 1926 წ. დღის 12 ს. დარაბაში № 1828—1829 მუხრანის ბაზარში საჯარო ვაჭრობით გაყიდის გიორგი მამასახლისოვის მოძრავ ქონებას: ათწილად სასწორს, ხალიჩას, ყუთებს და სხ. შეფასებულს 200 მ. ანტონ ჟუჩანეიშვილის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის 1 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 25 ნოემბრის. 1925 წ. თარიღით, № 5638 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა.

1—1 2039

ქ. თბ. მე-2 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი ა. ა. გეგეჭკორი

ამით აცხადებს, რომ ის 6 აპრილს 1926 წ. შუა დღის 3 ს. სახლში № 11 რტიშჩევის ქუჩაზედ საჯარო ვაჭრობით გაყიდის მარიამ იაგუბოვის მოძრავ ქონებას: როიალს შეფასებულს 250 მ., ეგნატე გაბლიანის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 23 თებერ. 1926 წ. თარიღით, № 312 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა.

1—1 2043

ექიმი არსენ ვადაჭკორია
ღებულობს ქალთა ავადმყოფებს და აგრეთვე უწევს სამეანო დახმარებას დილის 8—10 ს. საღამოს 4—7 საათამდე.
(ყოფილი ოლღას) ლენინის ქ. № 35
25—11

ექიმი მ. ა. ლუკომეცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე. ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე.
საპიორის ქუჩა № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—18

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი
იმელის პროსპექტი, № 10, ვორონცოვის ხიდის ძალიან ახლოდ ყოფ. ბო-მონდი.
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეები, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე (ტრიპერი) სპეციალისტი. ავადმყოფებს მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე 25—17.

თვალის ექიმი
ა. გ. მალაევი
ღებულობს ავადმყოფებს დილით 8—9 სათ. საღამოს 6—7 საათ. ლისაბედის ქუჩა № 47, ტელეფ. № 5—90 თვალის საავადმყოფო.
25—12

ექიმი ი. დ. თოფურიძე
კალინინის ქუჩა (ყოფ. ნიკოლაევ.) № 3. ღებულობს ავადმყოფებს. კანის, სიფილისი და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი) და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა დაავადებები) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.
25—17

ექიმი
ნ. გ. ახვერდოვი
ქალთა ავადმყოფობა და მეანობა (ელექტრონით და სინათლით მკურნალობა)
ავადმყოფების მიღება დილით 9—11 სათ. საღამოს 4—7 საათამდე, ელბაქიძის დაღმართი № 15. (ყოფილი ვერის დაღმართი). 25—1

ექ. ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 1—2 საათ დღე და 6—8 ს. საღამოთი, ქალებისა და ბავშვების 5—6 ს.
მისამართი: რუსთ. პროსპ. № 18 (შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან) 25—13

ექიმი
დ. ა. გედევანიშვილი
ღებულობს ავადმყოფებს დაავადებულ საერთო ნერვიულ სისტემის სენით, აგრეთვე მკურნალობს სულით ავადმყოფებს
დილის 9—11 ს., საღამოს 4—5 ს. ინგლაძის ქ. (ყოფ. საპიორის) № 3.
25—8

ექიმი გ. მ. ფხალაძე
კანის და ვენერიული სნეულებანი
(სიფილისი „606"—„914")
ავადმყოფების მიღება: კაცებისა—დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—8, საათ. ქალების საღამოთი 5—6 საათ მისამართი: მოსკოვის ქ. № 4. ყოფ. კაბინეტი რეზნო მაჩაბლისა (ზემმელის აფთიაქის პირდაპირ).
25—18

ექ. ვასილი ნიკიფორეს ძე ჩუპრინინი
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. მიღება: დილის 9—11-დე და საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: საბჭოთა (ყოფ. ჩერქეზიშვილის ქ.) 87. 25—11

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი
მიღება ავადმყოფ. დილით 8-ნახ.—9-ნახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე. სომხის ბაზარი, № 3. ერევნის მოედნიდან მეორე სახლი. 25—25

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა.
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 საათ.
ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი № 8.
25—17

ექიმი ნ. ტურიაშვილი
სამშობიარო და ქალის სნეულებანი მიღება საღ. 3—6, საბჭოთა (ყოფილი ჩერქეზიშვილის) ქუჩა № 22.
25—20

პროფ. გრ. მუხაძე
ავადმყოფობის შემდეგ განახლა ავადმყოფების მიღება
მიღება სწარმოებს საღამოს 5-დან—6 საათამდე კვირა დღის გარდა მისამართი: პლეხანოვის პროსპექტი № 58, ტელეფონი № 5—77.
25—7

ექიმი გ. ნ. მაგაკიანი
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა.
მიღება საღამოს 5—7 საათამდი. ბებუთოვის ქ. № 38. 25—8

ექიმი ზ. ა. თარუმოვი
შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი.
მიღება საღამოს 5-დან 6 ნახ. საათამდე სასამართლოს ქ. № 12. ტელეფონი 22—59. 12—9

დოქტორი გ. მებრაბიანი
ფილტვების, გულის და ციების
წამლობა ხელოვნური მთის მზით პნევმოტორაქსის და ტუბერკულინის, რენტგენის და სინათლის ელექტრონის სამკურნალო კაბინეტში—იღებს 9—1 საათ. დილ. 5—8 საღ. ბებუთოვის ქუჩა, № 23.
25—1

კბილის ექიმი
ფ. თ. რატიან-თუხარელისა
კბილის და ღრძილის ავადმყოფობა, ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. ბარიატინის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ). 25—25

მედიცინის დოქტორი
ბ. ა. ახვერდოვი
ვენერიული სნეულ. და სიფილისი დილის 9—12 საათამდე, საღამოს 6—8 ნახ. საათამდე.
პლეხანოვის პრ. № 7 (შესავალი ამავე სახლის კუთხიდან).
25—7

მედიცინის დოქ. ა. ა. მონსე
დაბრუნდა და განაახლა მიღება. მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობანი. იღებს დილის 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა. კამოს ქ. № 17, ზემო სართული ყოფ. დიდი მთავრის ქ., ვორონცოვის ხიდის მახლობლად).
25—19

დაიკარგა კავშირის საწევრო წიგნაკი № 11353, უმუშევრობის წიგნაკი № 8709 და პირადობის მოწმობა ილია იოსების ძე მენალარიშვილის სახელზე, ჩ. გ. 1—1 2045

დაიკარგა უვადო პირადობის მოწმობა აქვსენტი სერაპიონის ძე აფხაზავას სახელზე ჩ. გ. 1—1 2047

დაიკარგა სამხედრო საალრიცხვო ბარათი № 9 თედორე როსტომის ძე პატარაიას სახელზე, ჩ. გ. 2048 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 822 მიხეილ ეგნატეს-ძე მიქავას სახელზე, ჩ. გ. 2048 1—1

დაიკარგა პარტიული წიგნაკი № 501316 აქვსენტი ივანეს-ძე გიგინეიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2048 1—1

დაიკარგა ქ. გორის კომუნალური ბანკის მოწმობა № 1039, აქციის ღირებულება 50 მანეთის, ვახტანგ ალექსანდრეს-ძე სუხიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2048 1—1

დაიკარგა პროფკავშირის წიგნაკი № 370, ივანე სირაძის სახელზე, ჩ. გ. 6. 996 1—1

დაიკარგა მშენებელთა კავშირის წიგნაკი № 256, ქრისტეფორე ფოფხაძის სახელზე, ჩ. გ. 6. 996 1—1

დაიკარგა ლომბარდის ქვითრები № 11873 და № 11874 ნიკა მეიშვილის სახელზე, ჩ. გ. 1—1 2035

დაიკარგა კავშირის წიგნაკი № 2202 შალვა დოხნაძის სახელზე ჩ. გ. 1—1 2037

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა, კამოს ქუჩა, 68
ტირაჟი — [illegible]